# არსენალი

№ 26 (69). 26 დეკემბერი - 8 იანვარი. 2008. ფასი 1,5 ლარი. „კვირის პალიტრა". სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი.



## რა პრობლემები ელოდება არმიას 2009 წელს

1425
2008

## რუსული დანაკარგების ახალი ფოტოფაქტები

## რას უპირებს ობამა აშშ-ის სპეცსამსახურებს

## პენტაგონის დასკვნები ქართულ ჯარზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნუთუ არმიის ნაკლოვანებების დასანახავად აუცილებლად ომი იყო საჭირო?

12



2009 წელს არმიას ახალი პრობლემები ექნება გადასალახავი

7



რუსული არმიის დანაკარგების ფოტოფაქტები

16

XXI საუკუნის უპილოტო ავიაცია

25





საალყე ტექნიკა შუა საუკუნეებში

26



ავტომატური ყუმბარსატყორცნი თანამედროვე ომებისთვის

53

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

**ქალეიდოსკოპი**

4 ახალი ამბები

**მომავლის პრობლემები**

7 2009 წელს ქართულ არმიას ახალი პრობლემები ექნება გადასალახავი

**ახალი შეიარაღება**

8 ჩინეთი მართვადი ავიაბომბების წარმოებას შეუდგა;
9 გერმანია სადესანტო კატარღების რობოტიზაციას იწყებს

**მეზობელო კარისაო**

10 კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაცია სამხედრო თანამშრომლობას აღრმავებს

**შეფასებები**

12 ნუთუ არმიის ნაკლოვანებების დასანახავად აუცილებლად ომი იყო საჭირო?

**ინტერვიუ მებრძოლთან**

14 „ალფას" ასმეთაურის თვალით დანახული ცხინვალის ომის შეცდომები და საათნახევრიანი ალყის კოშმარი

**ომის შედეგები**

16 რუსული არმიის დანაკარგების ფოტოფაქტები

**ისტორიული პარალელები**

19 უცხო სპეცსამსახურების ისტორია კავკასიაში

**სპეცსამსახურები**

21 შეძლებს კი ბარაქ ობამა აშშ-ის სპეცსამსახურების „გაცოცხლებას"?

**სიახლე შეიარაღებაში**

25 XXI საუკუნის უპილოტო ავიაცია

**სპეცრაზმების ისტორიიდან**

32 სასტიკი შერჩევა – გერინგის „მწვანე ეშმაკები"

**წვრთნა**

37 პრაქტიკული სროლა

**ომების მსოფლიო ისტორია**

42 საალყე ტექნიკა შუა საუკუნეებში

**ფლოტი**

46 ქართული ფლოტის გასაჭირი

**ფსევდოისტორია**

49 საქართველოსთან ომის რუსეთის გმირები

**კროსვორდი**

52 არსენალკვორდი

**არსენალის იარაღის მაღაზია**

53 ავტომატური ყუმბარსატყორცნი თანამედროვე ომებისთვის

## რედაქტორის სვეტი

ახალ, 2009 წლის დამდეგს საქართველოში ისევ დაძაბულობაა. მოსახლეობის დიდი ნაწილი რუსი ოკუპანტების მორიგ შემოტევას ელოდება...

არეულობაა მთელ მსოფლიოში. გლობალური ეკონომიკური კრიზისის ფონზე ყველას თავისი პრობლემები აწუხებს, აშშ ახალარჩეული პრეზიდენტის მოლოდინშია...

ამ მომენტით კრემლმა შეიძლება მართლაც ისარგებლოს და სანამ დასავლეთი საშობაო არდადეგებზე და თავის პრობლემებშია ჩაფლული, სცადოს საქართველოს ანექსიის გაგრძელება. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა რუსეთიც მოიცვა, გაუფასურდა რუსული რუბლი, გაიზარდა უმუშევრების არმია. ეს და სხვა მიზეზები იძლევა იმის იმედს, რომ იმპერიალისტურ რუსეთს არ ეცლება საქართველოსთვის და ახალი წლის დღეებს მშვიდობიანად შევხვდებით...

„არსენალის" მკითხველებს ვულოცავთ ახალ 2009 წელს და იმედი გვაქვს, მომავალ წელსაც ერთმანეთის ერთგულნი დავრჩებით!

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
23.12.2008

გაზეთ „კვირის პალიტრის"
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საბრძოლო ქვეითთა მანქანა CV90 ჰოლანდიისთვის

ნიდერლანდების არმიის სახმელეთო ჯარებმა შვედური კომპანია Bae Systems Hagglund-ის წარმოებული ხუთი საბრძოლო ქვეითთა მანქანა CV90 მიიღეს. ახალი მანქანების გამოცდა ქალაქ ამერსფორტის ერთ-ერთ რაიონში ჩატარდა ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლების თანდასწრებით. CV90-ების საერთო პარტია, რომელიც ნიდერლანდებმა შეუკვეთა, 192 ერთეულს შეადგენს. დაგეგმილია, რომ საბრძოლო ქვეითთა მანქანები, ასევე სადაზვერვო მანქანები Fennek-ი და მრავალმიზნობრივი ჯავშანტრანსპორტიორი Boxer-ები შეცვლიან ჯავშანმანქანა YPR-ებს, რომლებიც ჰოლანდიის არმიის შეიარაღებაშია. მანქანების მიწოდება 2011 წელს დამთავრდება.

ქვეითთა საბრძოლო მანქანები თავდაპირველად შვედეთის არმიისთვის შეიმუშავეს და წარმოებაში 1993 წელს ჩაუშვეს. არსებობს CV90-ის უამრავი მოდიფიკაცია, საექსპორტო ნიმუშების ჩათვლით. ნიდერლანდურმა ვარიანტმა მიიღო სახელწოდება CV9035NL.

საბრძოლო ქვეითთა მანქანები აღჭურვილია სხვადასხვა შეიარაღებითა და მოწყობილობით. შეუძლიათ საათში 70 კმ-ის განვითარება და 35-მილიმეტრიანი სწრაფმსროლი ქვემეხით 2 კილომეტრის მანძილზე მიზნის დაზიანება. გარდა ამისა, მანქანები შეიარაღებულია 7.62-მილიმეტრიანი ტყვიამფრქვევით და 10 კვამლისა და შრაპნელის გამშვები დანადგარით. ეკიპაჟს, რომელიც 10 კაცისგან შედგება, მძლავრი ჯავშანი იცავს. აღჭურვილია ასევე ლაზერული დასხივების გამაფრთხილებელი საბორტე მიმღებებით.

CV90 არის შვედეთის, ნორვეგიის, ფინეთისა და შვეიცარიის არმიების შეიარაღებაში. გარდა ამისა, საბრძოლო ქვეითთა მანქანების შეძენას დანიაც გეგმავს.



# რუსეთი ლიბანს ათ МиГ-29-ს გადასცემს

„რუსეთი ლიბანს ათ გამანადგურებელ МиГ-29-ს გადასცემს“, — განაცხადა ლიბანის თავდაცვის მინისტრმა ილიას მურმა რუსეთის თავდაცვის მინისტრ სერდიუკოვთან მოლაპარაკების შემდეგ.

როგორც სერდიუკოვმა განაცხადა, რუსეთსა და ლიბანს შორის სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ თანამშრომლობას ახალი იმპულსი უნდა მიეცეს. რუსეთის თავდაცვის მინისტრს ასევე გადასცეს ლიბანის შეიარაღებული ძალების მოთხოვნათა სია, რომელსაც რფ თავდაცვის უწყება უახლოეს მომავალში განიხილავს.

ამჟამად ლიბანის სამხედრო-საჰაერო ძალები მეტად სავალალო მდგომარეობაშია. არმიის შეიარაღებაში არ არის ბრძოლისუნარიანი თვითმფრინავები. ექსპლუატაციაშია მხოლოდ შვეულმფრენი Bell UH-1 Iroquois-ები, რომლებიც გასული საუკუნის 50-იან წლებშია შემუშავებული, და სამოქალაქო Robinson R44 Raven II-ები. ეს ტექნიკა ლიბანის არმიას აშშ-მა გადასცა. 2007 წელს არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან ბეირუთში 9 შვეულმფრენი SA342L Gazelle ჩავიდა.

# კანადამ „ლეოპარდების“ ახალი პარტია მიიღო



კანადაში ჩავიდა 40 ერთეული ექსპლუატაციაში ნამყოფი ჰოლანდიური ტანკი Leopard 2-ი. ამჟამად ქვეყნის სახელმწიფო უწყება ეძებს კომპანიას, რომელიც აღჭურავს მათ დამატებითი ჯავშანდაცვითა და კონდიცირების ახალი სისტემებით ავღანეთში საბრძოლო ამოცანების შესასრულებლად.

კონტრაქტს 100 ერთეული Leopard 2-ის მიწოდებაზე 2007 წლის აპრილში მოაწერეს ხელი. კანადას ნახმარი მანქანების შეძენა 100 მლნ დოლარზე მეტი დაუჯდება. სამოდერნიზაციო სამუშაოები დაახლოებით 150 მლნ დოლარს შეადგენს. ავღანეთში კი მანქანებს, ალბათ, 2011 წელს გაგზავნიან, რადგან მათ მოდერნიზაციას დიდი დრო დასჭირდება.

ავღანეთში კანადის სამხედრო კონტინგენტი იძულებული იყო, უარი ეთქვა Leopard 1C-ების გამოყენებაზე, რადგან 55-გრადუსიან სიცხესა და მტვერს ვერ უძლებდნენ. ამიტომ გერმანიისგან დროებით იჯარით აიღეს 20 ერთეული Leopard A6M-ი, რომლებიც დამატებითი ჯავშანდაცვით იყო აღჭურვილი. მათ დღემდე იყენებენ ყანდაღარის რაიონში. მიღწეული შეთანხმების თანახმად, მათ შეცვლიან მანქანები, რომლებიც ნიდერლანდებში შეისყიდეს. ჰოლანდიელებმა Leopard 2-ების პარკის გაყიდვა, რომელიც 400-ზე მეტ მანქანას ითვლის, „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ დაიწყეს.

# რუსეთი ინდოეთს ატომურ წყალქვეშა ნავს გადასცემს

„რუსეთი და ინდოეთი მოლაპარაკებას აწარმოებენ ინდოეთისთვის ატომური წყალქვეშა ნავის ლიზინგით გადაცემის თაობაზე“, — განაცხადა რუსეთის ფედერალური სამსახურის სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის დირექტორმა მიხაილ დმიტრიევმა.

ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ ინდოეთს დაგეგმილი აქვს რუსეთისგან იჯარით აიღოს წყალქვეშა ნავი, ჯერ კიდევ 2007 წლის ნოემბერში გახმაურდა. როგორც იუწყებოდნენ, ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალები მაშინ ჯერ კიდევ დაუსრულებელი ატომური წყალქვეშა ნავის „ნერპას“ ლიზინგით აღებას აპირებდნენ. თუმც 2008 წლის 8 ნოემბერს სუბმარინაზე, რომელიც გამოცდას იაპონიის ზღვაში გადიოდა, 20 კაცი დაიღუპა — 3 სამხედრო მოსამსახურე და 17 სამოქალაქო პირი. ბორტზე ხანძარჩამქრობმა სისტემამ არ იმუშავა. ფრეონის გამოტყორცნის გამო ეკიპაჟის 112 წევრი მოიწამლა. მომხდარში მოგვიანებით მატროსი-მეკონტრაქტე დაადანაშაულეს, ინდოეთისთვის ნავის გადაცემის თაობაზე ინფორმაცია კი უარყვეს.

ამჟამად ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაში 15-ზე მეტი წყალქვეშა ნავია. მათ შორის ატომური სუბმარინები არ არის. გარდა ამისა, 2005 წელს ინდოეთმა გააფორმა კონტრაქტი 7 ფრანგული წყალქვეშა ნავის Scorpene-ს გადაცემაზე, რომლის საერთო ღირებულება 1,5 მლრდ დოლარს შეადგენს.



საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისრაელის არმია მინიუპილოტო აპარატებით შეიარაღდება





ისრაელის თავდაცვის სამინისტრო სახმელეთო ჯარების ბატალიონების შესაიარაღებლად კომპანია Elbit Systems-ის წარმოებულ უპილოტო საფრენ აპარატებს Skylark I-ებს შეიძენს. მრავალმილიონიანი კონტრაქტი ითვალისწინებს უპილოტო აპარატების დიდი პარტიის პერსპექტიულ შესყიდვას.

ეს არჩევანი მინიუპილოტოების ისრაელში, ერაყსა და ავღანეთში საბრძოლო მოქმედებებში გამოყენებამ განაპირობა. კერძოდ, უპილოტო საფრენი აპარატები Skylark-ები ისრაელში არაერთხელ გამოიყენეს კონტრტერორისტულ მისიებში, ასევე ლიბანთან ომში.

უპილოტო საფრენი აპარატი კომპანია Elbit Systems-ის შვილობილ კომპანია Silver Arrow-ში შეიქმნა. აპარატს აქვს ხელისსტარტიანი კომპლექსი და რეალური დროის რეჟიმში მიწისზედა სადგურებს ვიდეომასალას გადასცემს, შეუძლია ასეული მეტრის სიმაღლიდან ობიექტების განსაზღვრა, თითოეული ადამიანისაც კი. უპილოტო საფრენ აპარატს, რომლის წონა სულ 5 კილოგრამია, შეუძლია 10კვკმ ტერიტორიის გაკონტროლება, მაგრამ ჰაერში 90 წუთზე მეტხანს ვერ ჩერდება. ეს მოდელი პირველად პარიზის ავიასალონში 2003 წელს წარადგინეს.

არსებობს ამ უპილოტო საფრენი აპარატის უფრო სრულყოფილი და მძლავრი მოდელი Skylark II, რომელიც კატაპულტიანი სტარტის მქონე კომპლექსით არის აღჭურვილი. მისი წონა დაახლოებით 35 კგ-ს შეადგენს, მოქმედების მანძილი კი — დაახლოებით 50 კმ-ს. შეუძლია ჰაერში 6 საათი გაჩერდეს. 2006 წელს Skylark II ჟურნალმა Popular Science-მა წლის მთავარ ტექნიკურ მიღწევად დაასახელა.

ისრაელის გარდა უპილოტო Skylark-ს იყენებენ ხორვატიის, მაკედონიის, პოლონეთის, ავსტრალიის, ნიდერლანდებისა და კანადის არმიები. 2008 წლის მარტში Skylark II-ის შეძენას საფრანგეთის სპეცრაზმიც გეგმავს.

# ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაღუპულ რუს სამხედროთა ოჯახებმა 100.000 დოლარი მიიღეს

რფ თავდაცვის სამინისტრომ გამოყო სახსრები იმ დაღუპული ან დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახებისათვის, რომლებიც 2008 წლის აგვისტოში ე.წ. სამხრეთ ოსეთში იბრძოდნენ. დაღუპულთა ახლობლებმა უკვე მიიღეს 100.000 დოლარის ეკვივალენტი თანხა, დაზარალებულთა ნათესავებმა კი 30.000 დოლარის ეკვივალენტი. თავდაცვის მინისტრის მოადგილის, გენერალ ნიკოლაი პანკოვის თქმით, ეს „უპრეცედენტო“ გადაწყვეტილება სახსრების გამოყოფის თაობაზე თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერდიუკოვმა მიიღო. თავდაცვის სამინისტროში ირწმუნებიან, რომ თანხები „გადარიცხულია ადრესატების საბანკო პერსონალურ ანგარიშებზე“.

შევნიშნავთ, რომ რფ გენშტაბის შეფასებით, ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის არმიამ 74 კაცი დაკარგა, დაიჭრა 171. 19 სამხედრო მოსამსახურე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება.

# 2009 წელს ქართულ არმიას ახალი პრობლემები ექნება გადასალახავი

მომავალ წელს საქართველოს შეიარაღებული ძალების შემდგომი ჩამოყალიბების პროცესი აუცილებლად აგვისტოს მოვლენების დეტალურად გაანალიზების საფუძველზე უნდა წარიმართოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, არმია და მთლიანად საქართველო დიდი პრობლემების წინაშე აღმოჩნდება.

შექმნიდან მე-17 წლისთავზეც კი ქართული არმია ჩამოყალიბების სტადიაშია. არსებითად, 17 წელი არც ისე დიდი პერიოდია, მაგრამ საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისთვის, რომ არმიის ძირითადი ბირთვი შეგვექმნა.

მართალია, ამის ნიშნები გამოჩნდა 2008 წლის დასაწყისში, მაგრამ აგვისტოს ომმა იმდენი პრობლემა გამოავლინა (როგორც არმიაში, ისე ქვეყანაში), რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების შემდგომი ჩამოყალიბების პროცესში აუცილებელია მათი სასწრაფო გადაჭრა.

ეს პრობლემები კი „არსენალის“ აზრით შემდეგია: მართვისა და დაგეგმარების საკითხები, ხშირად არასწორი საკადრო პოლიტიკა თითქმის ყველა თანამდებობრივ დონეზე, ნაცნობ-ახლობლობით ან პოლიტიკური ნიშნით თანამდებობებზე დანიშვნა, არასწორად დაგეგმილი სასწავლო პროცესი, შიდა ბიუროკრატია, ვიწროუწყებრივ ინტერესებს გამოდევნება, უწყებებს შორის არაკოორდინირებული მუშაობა და სხვა.

თავდაცვის მინისტრად დავით სიხარულიძის, ხოლო გაერთიანებული შტაბის უფროსად პოლკოვნიკ ვლადიმერ ჩაჩიბაიას დანიშვნა ამ ეტაპზე, ეტყობა, სწორი გადაწყვეტილებაა, რაც ცოტა გასაოცარია პრეზიდენტ სააკაშვილისგან, რომლის საკადრო პოლიტიკა თავდაცვის სფეროში ხშირად დიდ გაკვირვებას იწვევდა. გაიხსენეთ თუნდაც გენშტაბის უფროსად ლევან ნიკოლეიშვილის დანიშვნა, რომელსაც ოცეულისთვისაც არ უმეთაურია.

პოლკოვნიკ ნიკოლეიშვილისგან განსხვავებით, გაერთიანებული შტაბის ახალი უფროსი, პოლკოვნიკი ჩაჩიბაია გაცილებით გამოცდილი სამხედრო პირია: 1991 წელს ეროვნულ გვარდიაში სერჟანტად დაიწყო სამსახური და გაიარა თითქმის ყველა საფეხური: იყო ოცეულის მეთაური, ბატალიონის ასმეთაურის მოადგილე, ბრიგადის მეთაური, გენშტაბის დეპარტამენტის უფროსი...

წესით, ასეთი სამსახურებრივი ნუსხის მქონე ოფიცერმა კარგად უნდა იცოდეს, რა უჭირს ქართველ ჯარისკაცს და რა პრობლემები აქვს ქართულ არმიას...

იმ პრობლემების გარდა, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ, ახალ 2009 წელს ერთი მიჩუმათებული პრობლემაც გაგვახსენებს თავს, — სამხედრო მოსამსახურეთა დიდ ნაწილს (განსაკუთრებით სენაკის მე-2 ქვეით ბრიგადაში) გასდის 4-წლიანი კონტრაქტის ვადა.

უკვე ცნობილია, რომ შეიძლება რამდენიმე ათასმა სამხედრომ თავდაცვის სამინისტროსთან აღარ გააგრძელოს კონტრაქტი და წავიდეს შეიარაღებული ძალებიდან.

ეს ორმაგი დარტყმა იქნება ქართული არმიისთვის. ჯერ ერთი, შეიარაღებულ ძალებს დატოვებენ გამოცდილი სამხედროები, რომლებმაც მართალია, სულ რამდენიმედღიანი, მაგრამ სასტიკი ომი გადაიტანეს, და მეორე — მათი საშტატო ადგილების შევსება ახალშერჩეული კონტრაქტორებით გაჭირდება, რადგან 2004-2006 წლებისგან განსხვავებით ჯარში კონტრაქტით სამსახურის მსურველთა რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა.

ამის მიზეზი, ძირითადად, ომია. ბევრი დარწმუნდა, რომ ჯარისკაცობა მარტო ლამაზ კამუფლირებულ ფორმაში გამოწყობა არ ყოფილა, ომში შეიძლება დაიღუპონ; იმ 600-700 ლარს, რასაც ქვეითი ბრიგადის კაპრალი იღებს, დღეს ცოტაღა თუ დახარბდება. ამ თანხის მსყიდველუნარიანობა 2005 წელთან შედარებით მნიშვნელონად დაეცა.

„არსენალის“ აზრით, ახალი კონტრაქტორების ძებნას ბევრად აჯობებდა, თავად კონტრაქტის პირობების ძირეულად შეცვლა, რათა 4 წლით უკვე ნამსახურებ კონტრაქტორს არმიაში დარჩენის სურვილი გაუჩნდეს და თავისი საბრძოლო გამოცდილება (რომელიც ნამდვილად სისხლით არის მოპოვებული) ისევ ქართული არმიის გაძლიერებას მოახმაროს.

„არსენალი“ თანაუგრძნობს ყველა იმ ჯარისკაცის ოჯახს, ვინც 2008 წელს თავი შესწირეს საქართველოს!

ომგამოვლილ ჯარისკაცებს ვულოცავთ დამდეგ 2009 წელს, ვუსურვებთ, კიდევ უფრო აემაღლებინოთ პროფესიონალიზმი და მედგრად მდგარიყვნენ სამშობლოს სადარაჯოზე!

*ირაკლი ალადაშვილი*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩინეთი მართვადი ავიაბომბების წარმოებას შეუდგა

ნოემბრის პირველ ნახევარში ჩინეთის ქალაქ ჩჯუხაიში ავიაგამოფენა Air Show China 2008 გაიმართა, სადაც ჩინელებმა საკუთარი ძალებით შექმნილი ზუსტი დამიზნების მთელი რიგი საბრძოლო საშუალება წარმოადგინეს. მათ შორის იყო: ლაზერული დამიზნების ბომბი ,,ლეიტინ-2“, პლანირებული მართვადი ბომბი ,,ლეიში-6“, ზუსტი დამიზნების ბომბები FT-1 და FT-2 და სხვ.

ჩინეთის კოსმოსური სამეცნიერო-ტექნიკური გაერთიანების მიერ წარმოდგენილი FT ოჯახის მართვადი ავიაბომბები ძალიან ჰგავდა ამერიკულ JDAM-ის სერიის მართვად ავიაბომბებს, რომლებიც ორი ათეული წლის წინ არის შექმნილი.

ზუსტი დამიზნების მართვადი ბომბები მობილური, სტაციონარული სახმელეთო და საზღვაო სამიზნეების წინააღმდეგ გამოიყენება.

ნახევარტონიანი FT-2 აღჭურვილია აეროდინამიკური ზედაპირებით, რომლითაც ბომბს სამიზნემდე 15-20 კილომეტრის მანძილზე მიახლოება შეუძლია. აქვს თანამგზავრული ნავიგაციის მიმღებები.

გამოიყენება მობილური, სტაციონარული სახმელეთო და საზღვაო სამიზნეების წინააღმდეგ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გერმანია სადესანტო კატარღების რობოტიზაციას იწყებს

გერმანიის სამხედრო-საზღვაო ძალების სარდლობა სხვადასხვა მისიაში გამოსაყენებლად ფინეთში აგებული Watercat M8 ტიპის სადესანტო კატარღების რობოტიზებას გეგმავს.

ბუნდესვერში ფიქრობენ, რომ გერმანიის მიღწევები სახმელეთო რობოტიზებული სისტემების შექმნაში მსგავსი ტექნიკის მცურავ საშუალებებზე შედეგიანად გამოყენების საფუძველს იძლევა.

სამხედრო მეზღვაურებს საშუალება ექნებათ კატარღები როგორც პირდაპირი, ასევე რობოტიზებული სახით გამოიყენონ განსაკუთრებით სახიფათო ოპერაციებში, სადაც კატარღისა და ეკიპაჟის დაღუპვის ალბათობა დიდია.

რობოტიზებული კატარღების ფლოტისათვის გადაცემის ზუსტი დრო უცნობია, ხოლო თავად პროექტი დაახლოებით 1,3 მილიარდი ევრო დაჯდება.

სადესანტო კატარღა Watercat M8 ფინეთის სამხედრო-საზღვაო ძალებისჴთვის გასული საუკუნის 90-იანი წლების პირველ ნახევარში შეიქმნა. კატარღაზე 8 მედესანტე ან 1 ტონა ტვირთი თავსდება. აქვს მაღალი სიჩქარე და თავთხელში ცურვა შეუძლია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაცია სამხედრო თანამშრომლობას აღრმავებს



10 დეკემბერს სომხეთში, სევანთან, კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციაში შემავალი ქვეყნების უშიშროების საბჭოს მდივანთა კომიტეტის მორიგი სხდომა გაიმართა.

ორგანიზაცია 1992 წლის 15 მაისს პოსტსაბჭოთა სივრცეში წარმოქმნილ ქვეყნებს შორის სამხედრო თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შეიქმნა და დღეისათვის ბელორუსი, რუსეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი შემორჩა.

ერთხანს ორგანიზაცია უზბეკეთმაც დატოვა და სუამ-ში გაწევრდა, მაგრამ 2006 წლიდან თანამშრომლობა ორგანიზაციასთან განაახლა და ახლა ისევ გასვლას აპირებს.

სხდომაზე განიხილეს ორგანიზაციის პასუხისმგებლობის საკითხები, ასევე, ზონასა და მიმდებარე რეგიონებში წარმოქმნილ გამოწვევათა და საფრთხეთა განეიტრალების ღონისძიებები.

მუშაობის დასრულების შემდეგ ორგანიზაციის სამდივნოს გენერალურმა მდივანმა ნიკოლაი ბორდიუჟამ განაცხადა, რომ სხდომაზე ორგანიზაციის მექანიკურ გაფართოებაზე საუბარი არ ყოფილა და არც მსგავსი მოთხოვნაა წამოყენებული, მაგრამ ეროვნული ინტერესების მხრივ გაფართოება მაინც შეინიშნება.

უფრო ადრე ბორდიუჟამ ორგანიზაციაში აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის შესაძლო მიღების თაობაზე განმარტა, რომ ორგანიზაცია ახალი წევრებისათვის ყოველთვის ღიაა, მაგრამ მიღება სხვადასხვა პროცედურის შესრულებას საჭიროებს. კერძოდ, აუცილებელია, რომ აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, როგორც სახელმწიფო სუბიექტები, ორგანიზაციის თითოეულმა წევრმა ცნოს. ჯერჯერობით, ეს არ მომხდარა“, — თქვა ბორდიუჟამ და იმედი გამოთქვა, რომ ეს ახლო მომავლის საქმეა.

5 სექტემბერს მოსკოვში ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მეთაურთა სამიტზე აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას ბევრი ელოდა. მაშინ პრეზიდენტმა მედვედევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკითხი ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სუვერენული უფლებაა და თითოეულმა გადაწყვეტილება დამოუკიდებლად უნდა მიიღოს.

ცოტა ხნის წინ ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ასტანა საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარებას არ აპირებს. თავისი პოზიცია აქვს ერევანსაც. რას ფიქრობენ ცენტრალური აზიის სხვა ქვეყნები, ძნელი

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

სათქმელია, თუმც სეპარატისტული საფრთხე თითოეულს მეტ-ნაკლები სიმწვავით ემუქრება.

მოსკოვის ისეთი ერთგული მოკავშირე, როგორიც მინსკია, ისიც კი არ ჩქარობს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას.

შეთანხმების მიღწევა საქართველოსათვის იარაღის მიწოდებაზე ემბარგოს შემოღების თაობაზე მოხერხდა. წინა წლებში საქართველომ უმნიშვნელო სამხედრო შესყიდვები უზბეკეთსა და ყაზახეთში განახორციელა.

მეორე მხრივ, რუსეთ-საქართველოს ომმა ორგანიზაციის სამხედრო თანამშრომლობის სფეროში შესაბამისი ცვლილება-კორექტივები შეიტანა.

განვლილი ომის გაკვეთილების გათვალისწინებით მომავალ წელს რუსეთი და ბელორუსი ერთობლივი, მსხვილმასშტაბიანი, სტრატეგიული სწავლებების — „ზაპად 2009"-სა და „ოსენ 2009"-ის ჩატარებას გეგმავენ. სწავლებების მიზანი მოკავშირე სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის შეიარაღებული ძალების მზადყოფნის შემოწმება იქნება.

დიდი გეგმები აქვთ კავკასიაში სომხეთთან დაკავშირებითაც. ოქტომბერში სომხეთში პრეზიდენტ მედვედევის ვიზიტის დროს კიდევ ერთხელ აღინიშნა ორი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორობის მნიშვნელობა.

ინტენსიურად მიმდინარეობს რუსეთ-სომხეთის კონსულტაციები ეკონომიკური და სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის გასაღრმავებლად. რუსეთი სომხეთში ატომური ელექტროსადგურის მშენებლობას გეგმავს და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებასა და რკინიგზის მოდერნიზაციას დააფინანსებს.

გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსეთი 2010 წლისათვის იჯევანში მეორე სამხედრო ბაზის შექმნას აპირებს, სადაც მძიმე ტექნიკა, თვითმავალი საარტილერიო დანადგარები და სხვა შეიარაღება უნდა განთავსდეს.

გარდა ამისა, ლაპარაკი იყო საშუალო დიაპაზონის კიდევ ერთი რადიოლოკაციური სადგურის მშენებლობაზე.

მართალია, რუსეთმა ეს ინფორმაცია არ დაადასტურა, მაგრამ აგვისტოს ომის შემდეგ მოსკოვისგან შეთანხმების პირობათა დარღვევა ჩვეულ მოვლენად გადაიქცა და სომხეთში მეორე სამხედრო ბაზის განთავსებაც გამორიცხული არ არის.

ნოემბერში სომხეთის თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა თბილისში ვიზიტის დროს ასეთი გეგმების არსებობა უარყო, ასევე არ დაადასტურა ინფორმაცია სომხეთის საჰაერო სივრცის რუსული ავიაციის მიერ გამოყენების თაობაზე.

„სომხეთის საჰაერო თავდაცვა რესპუბლიკის საჰაერო სივრცეს ყურადღებით აკონტროლებდა და მსგავს ინფორმაციას არ ადასტურებს. რაც შეეხება რუსული 102-ე სამხედრო ბაზის ძალებს, მისი გამოყენება მხოლოდ სომხეთთან შეთანხმებით არის შესაძლებელი და ისიც ყოფილი საბჭოთა კავშირის გარე საზღვრებზე", — განაცხადა მინისტრმა.

ქალაქ გიუმრისთან განთავსებული რუსული 102-ე სამხედრო ბაზა ჩრდილო კავკასიის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაშია. ბაზის საჰაერო სივრცის გაკონტროლების საშუალებები ოლქის დაქვემდებარებაში მყოფ მე-4 საჰაერო და თავდაცვის არმიის დაზვერვის სამსახურს შესაბამის ინფორმაციას რეგულარულად აწვდის.

საქართველოსთან ომის დროს ბაზის პირადი შემადგენლობა მზად იყო სამხრეთის მიმართულებიდან საქართველოში საბრძოლო მოქმედებები დაეწყო.

იმედია, რომ რუსეთის ამ სამხედრო მზადებების შესახებ სომხური მხარე ინფორმირებული არ იყო.

რუსეთი სამხრეთ კავკასიაში გავლენის შესანარჩუნებლად სამხედრო აქტიურობას ზრდის და ამისათვის იყენებს საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებს, კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების ორგანიზაციას, ცალკეულ ქვეყანაზე ზეწოლის ეკონომიკურ თუ სხვა სახის ბერკეტებს.

XXI საუკუნეში ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ისევ ცარისტული პოლიტიკის გამგრძელებელია.

*თემურ ჩაჩანიძე*



სომხეთის არმია კავკასიაში რუსეთის საიმედო დასაყრდენია

# ნუთუ არმიის ნაკლოვანებების დასანახავად აუცილებლად ომი იყო საჭირო?



საქართველოს არმია მწვავე პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე დგას. საქართველოს პარლამენტის დროებითი კომისიის დასკვნით, საქართველოს ხელისუფლებას მოუწევს ძირეული რეფორმების გატარება, რათა ციფრებსა და წარმოდგენაში კარგად გაწვრთნილ-აღჭურვილი არმია რეალურად ბრძოლისუნარიან ორგანიზმად აქციოს.

აღსანიშნავია, რომ არმიის მართვის პრობლემებზე კიდევ უფრო საგანგაშო ინფორმაციას იძლევა 18 დეკემბრის ავტორიტეტული ამერიკული გამოცემა „ნიუ-იორკ თაიმსი". ამერიკელი ავტორები (Thom Shanker and C. J. Chivers) ეყრდნობიან ანონიმ ამერიკელ სამხედრო ექსპერტს ევროპული ძალების სარდლობის ჯგუფიდან, რომელიც ოქტომბერ-ნოემბერში საქართველოს ხელისუფლების თხოვნით ქართულ არმიაში შექმნილ მდგომარეობას სწავლობდა.

დავიწყოთ „შინაური მღვდლით", ანუ იმით, რა დაიწერა დროებითი საპარლამენტო კომისიის (სრული სახელწოდებაა: „რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მიზნით განხორციელებული სამხედრო აგრესიისა და შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო კომისიის დასკვნა) დასკვნაში.

კომისიის დასკვნის თანახმად, უმთავრესი პრობლემა ყოფილა სამხედრო კავშირგაბმულობის გაუმართავი მუშაობა. „მიუხედავად იმისა, რომ არმია აღჭურვილი იყო შესაბამისი თანამედროვე ტექნიკით, ამ ტექნიკის გამოყენებისა და გამართული ფუნქციონირებისათვის არ განხორციელებულა საკმარისი ტრენინგი, რამაც თავი იჩინა საბრძოლო მოქმედებებისას".

თუმცა, კომისია გვერდს უვლის იმ ფაქტს, რაზეც „ნიუ-იორკ თაიმსი" წერს და რაც ეწინააღმდეგება კომისიის დასკვნას. „ბევრი მეთაური იძულებული გახდა, კავშირგაბმულობისათვის გამოეყენებინა მობილური ტელეფონები. ქართულმა არმიამ გამოიყენა კასეტური ბომბები საკუთარ სოფლებში. ბევრი ქვედანაყოფი უკან იხევდა, ტოვებდა რა აღჭურვილობას, ტექნიკას და საკუთარ დახოცილებს", — წერს „ნიუ-იორკ თაიმსი".

საქართველოს ხელისუფლება კასეტური ბომბების გამოყენებას დასახლებულ პუნქტებში კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ კასეტური ელემენტები იყო მხოლოდ იმ ჭურვებში, რომელსაც არტილერია (ე.წ. ლარ-გრადები) ძარა-როკის მიმართულებით ისროდა. საინტერესოა, რისთვის დაიქირავა ქართულმა ხელისუფლებამ ამერიკელი შემფასებლები ან რატომ მოისურვა ყოფილიყო მათთან ასე გულახდილი კასეტური ბომბების გამოყენების საკითხში, რაც დიდი პროპაგანდისტული კოზირი იქნება რუსეთის მედიის ხელში? მაგრამ ეს უკვე პოლიტიკური პრობლემაა და არა ბრძოლისუნარიანობის, ამიტომ დავუბრუნდეთ არმიის ხარვეზებს.

საპარლამენტო კომისიამ ნაკლოვანებათა ცხრილში რატომღაც მეორე ადგილი მიუჩინა რეზერვის სისტემას. „ცალკე აღნიშვნის ღირსია რეზერვის სისტემა. საომარმა მოქმედებებმა გამოავლინა ამ სისტემის სრული არაადეკვატურობა ყველა დონეზე — როგორც ფუნქციონირების კონცეფციის, ასევე დაგეგმვის, მომზადების და ოპერაციების შესრულების დონეებზე".

ქართველ კანონმდებელთაგან განსხვავებით, ამერიკელი ექსპერტები რეზერვის სისტემის მოუქნელობაზე ყურადღებას არ ამახვილებენ, რადგან ომის დროს რეზერვი მაინც დამხმარე სტრუქტურაა და არა — ძირითადი. ამერიკელებისათვის ყოველთვის უფრო არსებითია მართვისა და ორგანიზაციის პროცესში გამოვლენილი შეცდომები. ამ მხრივ კი თითქმის ერთნაირი შეფასებაა როგორც საქართველოს პარლამენტის კომისიის, ასევე ევროპული ძალების დამკვირვებელთა დასკვნაში.

„თავდაცვის სამინისტროში სათანადო დონეზე ვერ განხორციელებულა სტრატეგიული დაგეგმარება. შეიარაღების გარკვეული ნაწილის დაკარგვა განაპირობა ხარვეზებმა, ოფიცერთა საკადრო პოლიტიკამ ამ რგოლში. აქვე აღსანიშნავია, რომ ოფიცერთა გარკვეულ კონტინგენტს რუსეთის აგრესიამდე მხოლოდ რამდენიმე კვირით ადრე ჰქონდა დასრულებული სასწავლო კურსი. გენერალურ შტაბს არ ჰქონია წინასწარ შემუშავებული ორგანიზებულად უკან დახევის გეგმა და ოპერატიულ რეჟიმში უწევდა გადაწყვეტილების მიღება. ეს ფაქ-



ტი მიანიშნებს გენერალური შტაბის მხრიდან საბრძოლო ოპერაციების დაგეგმარების სისუსტეზე“.

კომისიის ამ დასკვნას თუ დავუმატებთ იმას, რაც ევროპული ძალების ანონიმმა წყარომ უამბო ამერიკელ ჟურნალისტებს, გამოვა, რომ სტრატეგიული დაგეგმარება არათუ „სათანადო დონეზე“ არ ყოფილა, არამედ საერთოდაც, შეიარაღებული ძალების აქსილევსის ქუსლია. „ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც საქართველო ომში ჩაება, არის ქაოსი მათ მმართველობასა და კონტროლში. მათ, ქართველ სარდლებს, არ აქვთ უნარი დაამუშაონ და გააანალიზონ სტრატეგიული ინფორმაცია, სისტემატურად აწვდიდნენ მას გადაწყვეტილების მიმღებ პირებს“.

„ნიუ-იორკ თაიმსის“ თანახმად, ასეთი სავალალო მდგომარეობა შედეგია არასწორი საკადრო პოლიტიკისა, რაც საქართველოს შეიარაღებულ ძალებში წლების განმავლობაში ხორციელდება. ანგარიშის თანახმად, საქართველოს ზედმეტად ცენტრალიზებულ შეიარაღებულ ძალებს ახასიათებს იმპულსური გადაწყვეტილებების მიღება. მას ხელმძღვანელობენ მოხელეები, რომლებიც დანიშნული არიან პირადი ნაცნობობით და არა მათი კვალიფიკაციის მიხედვით“.

გარდა ამისა, საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც საზოგადოებას ახალ და გრანდიოზულ ამერიკულ სამხედრო დახმარებებზე საუბრით აბრუებს, კარგად უნდა წაიკითხონ ამერიკელები ექსპერტების კიდევ ერთი დასკვნა.

„10 წელზე ხანგრძლივი ამერიკული სწავლებისა და მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ თავდაცვის სფეროს 5-წლიანი მძიმე ინვესტირების მიუხედავად, საქართველოს არმია ცუდად მომზადებული დარჩა“, — წერენ „ნიუ-იორკ თაიმსის“ ჟურნალისტები.

ყველაზე დამაფიქრებელი კი ამ პუბლიკაციაში არის ერთგვარი გაფრთხილება, გნებავთ, რეკომენდაცია, ამერიკის მომავალი პრეზიდენტისა და მისი ადმინისტრაციის მისამართით. „შეფასება ხაზს უსვამს იმ სირთულეს, რომლის წინაშე არჩეული პრეზიდენტი ბარაქ ობამა აღმოჩნდება. მის საგარეო პოლიტიკურ გუნდს მოუწევს დაბალანსებული გადაწყვეტილების მიღება იმაზე, როგორ დაეხმაროს საქართველოს იმ საფრთხის პირობებში, როდესაც გადაწყვეტილება სამხედრო დახმარებაზე აუცილებლად გამოიწვევს რუსეთის გაშმაგებას“.

როგორც ცნობილია, ბარაქ ობამა საპრეზიდენტო უფლებამოსილების განხორციელებას იანვარში, ინაუგურაციის შემდეგ შეუდგება და მერე უფრო ცხადი გახდება, მოახერხებს თუ არა ამ ბალანსის მოძებნას ახალი პრეზიდენტის პოლიტიკური გუნდი. სავარაუდოდ, ბარაქ ობამას ადმინისტრაციას მოუწევს ასევე ყველა იმ მიმართულებაზე საქართველოსთან თანამშრომლობის განვითარება, რომლის თაობაზეც ამერიკა-საქართველოს ჩარჩო-ხელშეკრულებისა თუ ქარტიის გაფორმებაც, საქართველოს ხელისუფლების განცხადებით, წლის ბოლომდე იგეგმება. ეს დოკუმენტი იქნება ერთგვარი საახალწლო საჩუქარი ამერიკის წარმავალი ადმინისტრაციის მხრიდან, რომელმაც, ყოველგავრი გადაჭარბების გარეშე, მართლა განუზომელი წვლილი შეიტანა საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. 2002 წლიდან ეს სამხედრო დახმარება 200 მილიონ დოლარს აჭარბებს და ორ დიდ პროგრამას — „წვრთნა და აღჭურვას“ და „სტაბილურობის შენარჩუნების ოპერაციას“ მოიცავს.



მაგრამ თუ ამ დახმარების აკუმულირება სწორად ვერ მოხერხდა, ეს ისევ საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ბრალია, რომელიც ყოველი ახალი თავდაცვის მინისტრის შეცვლასთან ერთად ყველაფერს სუფთა ფურცლიდან იწყებდა და ყურადღებას არ აქცევდა იმ ქართველი ექსპერტების მიერ ატეხილ განგაშს, რომლებიც ურმის გადაბრუნებამდე დიდი ხნით ადრე წერდნენ არმიის მართვაში, ორგანიზებასა და საკადრო პოლიტიკაში დაშვებულ შეცდომებზე.

გულსატკენი ისაა, რომ ხუთდღიანი ომი, უამრავი მსხვერპლი და ნგრევა გახდა იმისათვის საჭირო, რომ საქართველოს ხელისუფლებას და მის ოკეანისგაღმელ მხარდამჭერებს თვალნათლივ დაენახათ ქართული არმიის წინაშე მდგარი ეს პრობლემები, რომლის პრევენცია გაცილებით ადრეც შეიძლებოდა.

*კობა ლიკლიკაძე,*

*რადიო „თავისუფლება“*

*სპეციალურად „არსენალისათვის“*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ალფას“ ასმეთაურის თვალით დანახული ცხინვალის ომის შეცდომები და საათნახევრიანი ალყის კოშმარი

აგვისტოს ომი კიდევ დიდხანს იქნება განსჯის საგანი. შედეგის მიუხედავად, რუსეთი საქართველოსთან ომის დროს დაშვებული შეცდომების აღმოფხვრის გზებს ეძებს. რუსი სამხედრო სპეციალისტები თავდაცვის სამინისტროს კადრების მომზადებას, შეიარაღებასა და სტრატეგიას უწუნებენ.

ქართული შეიარაღებული ძალების პრობლემა ბევრად არ განსხვავდება რუსულისგან. მართალია, ქართველი სამხედროები დამარცხების მიზეზად მცირერიცხოვნობას ასახელებდნენ, მაგრამ თანდათან სხვა პრობლემები გამოიკვეთა. სხვა საკითხია, გავითვალისწინებთ თუ არა შეცდომებს...

სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადის 21-ე ბატალიონის, „ალფას“ ასეულის სერჟანტი სოსო გულბანი ბატალიონთან ერთად მტრის ალყაში მოხვდა და არმიაში არსებული ხარვეზებიც მაშინ შეამჩნია.




— სამხედრო კარიერა თავდაცვის სამინისტროს კონტრაქტორობით დავიწყე. მანამდე კი სპორტს მივდევდი, კარატე-დოს ფედერაციაში ვვარჯიშობდი, მაგრამ გული სამხედრო სამსახურისკენ მიმიწევდა. კონტრაქტორად ჯარში შესვლის შემდეგ კრწანისში ამერიკულ პროგრამა „ბი-სი-დი“ გავიარეთ. ეს არის სამშვიდობო პროგრამა, რომელშიც ყველა სახის სამხედრო ოპერაციის სწავლება შედის, მათ შორის სატვირთო და მსუბუქი მანქანების ჩხრეკა, მგზავრებისა და გამვლელების (ოღონდ ქალებს არ ვამოწმებთ, მათი გაჩხრეკის სპეციფიკა სხვანაირია, მათ ქალები ამოწმებენ). მოგვიანებით, როცა სამშვიდობო მისიით ერაყში წავედით, ამ ტიპის ჩხრეკას იქაც გვასწავლიდნენ. ეს არის წითელი ზონიდან მწვანე ზონაში გადასვლის პროცესი. მწვანე ზონაში სამშვიდობო კონტინგენტის დისლოკაციის ადგილია, სადაც სამი ჩეკპოინტი იყო განლაგებული, აქედან ორი ჩვენ გვებარა. საქართველოსა და ერაყში სწავლებები თითქმის ერთნაირია, თუ არ ჩავთვლით ტექნიკურ მხარეს. იქ სამხედრო ტექნიკასთან, ყველანაირი ტიპის იარაღთან მუშაობას გვასწავლიდნენ. ერაყში წასვლამდე თეორიულად ყველაფერი ვიცოდით, მინი-ჩეკპოინტებსაც ვაწყობდით, მაგრამ სწავლების დროს მისი ტექნიკური გამოყენების საშუალება არ გვქონდა, ქუვეითში კი ჩვენი გადამზადება რეალურ ომთან იყო მიახლოებული. ჰამერებიც გვყავდა და უფრო ფართომასშტაბიანი სასწავლო წვრთნები მიმდინარეობდა. ინსტრუქტორები ყველაფერს დეტალურად გვასწავლიდნენ. მე მაშინ ოცეულის სერჟანტი ვიყავი... მერე ეტაპობრივად გავიარე სხვადასხვა სამხედრო თანამდებობა და ასეულის სერჟანტად დავინიშნე. ამ პოსტზე მუშაობისთვის ფიზიკურ მომზადებასა და მოტივაციასთან ერთად, აუცილებელია პირად შემადგენლობასთან ურთიერთობაც. და კიდევ, გარდა იმისა, რომ ჯარისკაცი იარაღს კარგად უნდა ხმარობდეს, ფსიქოლოგიურადაც კარგად უნდა იყოს მომზადებული. თუკი მას სუსტი ფსიქიკა აქვს, შესაძლოა, ეს დამღუპველი მხოლოდ მისთვის კი არა, გარშემო მყოფთათვისაც აღმოჩნდეს...

**— კიდევ რა სამხედრო კურსები გაქვთ გავლილი?**

— ნორვეგიაში, ქალაქ ოსლოში ზამთრის ბრძოლის 5-კვირიანი კურსი გავიარე. საქართველოდან სულ ხუთნი ვიყავით: სამი ოფიცერი და ორი სერჟანტი. ამის შემდეგ კი გერმანიაში NATO-ს სკოლაში წავედი, რომელიც ბავარიაში მდებარეობს. ეს იყო სამკვირიანი პროგრამა. აქ NATO-ს ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენლები იკრიბებიან და ალიანსში გაწევრების მსურველი სახელმწიფოების გეოპოლიტიკურ მდებარეობას, ტრადიციასა და კულტურას ეცნობიან. თითოეული ქვეყნის წარმომადგენელს თავისი თემა აქვს. სხვათა შორის, როცა საქართველოზე ვლაპარაკობდი, რუსმა პოლკოვნიკმა იყვირა, რამდენიმე ქვეყანას ჰგონია, რომ NATO-ში ძალიან მალე შევა, მაგრამ რუსეთი უფრო მალე გახდება NATO-ს წევრი, ვიდრე ისინიო... რუსი სამხედროს გამოხდომა დამსწრეებმა ტაშითა და შეძახილებით გააპროტესტეს და აიძულეს, გაჩუმებულიყო.

**— შენი თემა რა იყო?**

— საქართველოსა და NATO-ს მომავალი ურთიერთობა... ყველაზე აქტუალური უკრაინისა და საქართველოს NATO-ში გაწევრება იყო, ბევრი ისაუბრეს სომხეთზეც. როცა ქვეყნების გეოსტრატეგიული მდებარეობის წარმოდგენაზე მიდგა ჯერი, რუსეთის წარმომადგენელმა რუსეთი-NATO-ს ურთიერთობა განიხილა და, ბუნებრივია, ისიც მოგვახსენა, რას ფიქრობს რუსეთი საქართველოსა და უკრაინის გაწევრებაზე NATO-ში. მერე თავისი გეოგრაფიული რუკა გაგვაცნო, სადაც მეზობელი საქართველოს ტერიტორიები — აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი სხვა ფერით იყო დატანილი.

**— ცხინვალის ომის დროს აქ იყავით თუ ერაყში?**

— ომამდე უკრაინაში საბრძოლო საკვალიფიკაციო კურსებზე ვსწავლობდი. საქართველოში სულ რამდენიმე დღის ჩამოსული, შვებულებაში ვიყავი, როცა ცხინვალში საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. სენაკის მეორე ქვეითი ბრიგადიდან დამირეკეს და მითხრეს, რომ განგაში იყო გამოცხადებული. 21-ე ბატალიონს ქუთაისში შევხვდი. ჩემს ბიჭებს შიში და დაბნეულობა არ ეტყობოდათ, სიმღერ-სიმღერით მიდიოდნენ, გეგონებოდა, ქორწილში მიემართებიანო...

**— დეზერტირების უმეტესობა მომხდარში მეთაურობას ადანაშაულებს, თავადაც დაბნეულები იყვნენო...**

— ჩემი აზრით, დეზერტირი ჯარისკაცი არ არსებობს. თუ ჯარისკაცი ბრძოლის



ველს დატოვებს, ეს მეთაურის ბრალია. არა მგონია, ქვეყანას დაცვა დასჭირდეს და ქართველი ჯარისკაცი გაიქცეს. მეტსაც გეტყვით, ზოგიერთი ჯარისკაცი, რომლებიც მიზეზთა გამო ჯარიდან წასული იყვნენ (ზოგი დაითხოვეს, ზოგი დაიწუნეს და ა.შ. ), ცხინვალის მისადგომებთან შემოგვიერთდა... რაც შეეხება ჯარისკაცის დამოუკიდებლად მოქმედებას, NATO-ს სტანდარტებთან მიახლოებული ჯარი იმით არის კარგი, რომ ამ პროგრამის მიხედვით ჯარისკაცი სწავლობს, რა შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს და თუ ცოდნა საჭიროებისამებრ ვერ გამოიყენა, ეს მეთაურისა და მართვის ჯგუფის ბრალია. სხვანაირად უნდა მოქცეულიყვნენ და ჯარისკაცებს დეზერტირობა არ მოუწევდათ.

**— „სხვანაირად“ როგორ?**

— მაგალითად, მე ასეულის სერჟანტი ვარ და ცხინვალში კონკრეტული ამოცანა, როგორ უნდა მოვქცეულიყავი, არ მქონდა. არ ვიცოდით, თავდაცვისთვის თუ შეტევისთვის უნდა მოვმზადებულიყავით. წარმოგიდგენიათ, ასოცდაათი კაცი მებარა და რა უნდა გამეკეთებინა, არ ვიცოდი. საბრძოლო მოქმედებების დროს ჯარისკაცი იქნება თუ მაღალი რანგის პირი ჯერ ამოცანას დასახავს და შემდეგ მოქმედებას იწყებს. მეც ვცადე, გამერკვია, რა უნდა გამეკეთებინა, მაგრამ ამის დრო აღარ იყო. ომის სტრატეგია ომში კი არა, მშვიდობიანობის დროს უნდა ისწავლებოდეს, მარტო ჯარისკაცების მომზადება და მოტივაცია საკმარისი არ არის.

ჩვენ 8 აგვისტოს შევედით ცხინვალში, ამ დროს იქ უკვე იყო მეოთხე ქვეითი ბრიგადა. 9-ში დილით ცხინვალის მისადგომებთან სტრატეგიული სიმაღლე გვქონდა აღებული. ამ დროს რუსეთის დამატებითი ძალებიც შემოვიდნენ. გამთენიისას, დაახლოებით 7-8 საათისთვის, პირველი შეტევა დაიწყო. პირველად რუსებმა ისროლეს ნაღმსატყორცნი და იძულებული გავხდით, გვეპასუხა. ძალიან მაგრად იბრძოლეს ჩვენმა ბიჭებმა, მაგრამ რუსები რიცხოვნობით გვჯობნიდნენ.

რეალურ ომში ჩემს ასეულთან ერთად პირველად მოვხვდი და მისი სისასტიკეც მაშინ დავინახე.

სასაფლაოებზე რომ ვიყავით განლაგებული, ერთი ჯარისკაცი დაგვეღუპა. მისი ცხედრის გამოტანას ვცდილობდით, ორი საათი ვიწვალეთ, მაგრამ უშედეგოდ. იმ ადგილს სნაიპერი და ტანკი უშენდნენ ცეცხლს. ცოტა ხანში კიდევ ერთი შეტევა დავიწყეთ და ვაშლიჯვრის სპეცრაზმის დახმარებით როგორღაც გამოვიტანეთ თანამებრძოლის ცხედარი... როგორც ჩანს, რუსი ჯარისკაცები ჩვენმა წინააღმდეგობამ აიძულა, ავიაცია გამოეძახებინათ. თვითმფრინავმა ჯერ დაგვზვერა, მაგრამ სანამ დაგვმბომბავდა, ჩვენმა მეზენიტემ, ბუხრიკიძემ „იგლა“ ესროლა და მერე მხოლოდ შავი კვამლი დავინახეთ. სავარაუდოდ, Су-25 იყო. მისი ჩამოგდება დიდი შეღავათი იყო ჩვენთვის, დაბომბვა რომ მოესწროთ, ალბათ, ერთიანად ჩაგვჟუჟავდნენ... საავიაცო შეტევის დროს ყველაზე კარგი ამერიკული კვადროციკლია. მას არც სიმაღლეზე და ტყეში ასვლა უჭირს და სიჩქარეც სწრაფი აქვს, მაგრამ გასროლის ადგილიდან ძალიან მალე უნდა გაუჩინარდე, რადგან მტრის მომდევნო თვითმფრინავი იქაურობას ნაცარტუტად აქცევს. ჩემს ასეულში პირველივე შეტევაზე 46 ჯარისკაცი დაიჭრა და ერთი დაიღუპა. ასეული უკვე ბრძოლისუუნარო ხდებოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაქსიმუმის გაკეთებას ვცდილობდით. მათ პირველი დაბომბვა მოასწრეს, მესამე თუ მეოთხე ბომბი ჩვენს შტაბს მოხვდა და ბატალიონის შტაბის უფროსთან ერთად რამდენიმე ოფიცერი და სამხედრო პირი დაიჭრა, ბატალიონის ექიმი კი დაიღუპა... როცა მეთაური მოვალეობას ვერ ასრულებს, ამ დროს პასუხისმგებლობას სერჟანტები იღებენ. საჭიროების შემთხვევაში, შეთანხმებული მუშაობისას, დავალების გადაბარება ხდება...

**— რამდენადაც ვიცი, ალყაშიც მოხვდით..**

— იმავე დღეს მოგვაქციეს ალყაში. ბატალიონის ძირითადი შემადგენლობა უკვე განახევრებული იყო. მოწინააღმდეგის ცეცხლის მიხედვით აშკარა იყო, რომ ერთი ბატალიონი იერიშზე გადმოდიოდა, მეორე კი, რომელიც ჩვენი პოზიციების მარცხენა მხარეს იყო, იქ, სადაც ომამდე რუსული სამშვიდობო ბაზა იყო განთავსებული, დესანტი გადმოსხეს და ცეცხლი გაგვიხსნეს. ალყაში დაახლოებით ერთ საათს ვიყავით. ასეთ დროს ყველაფერზე ფიქრობ, სიკვდილზეც კი, მაგრამ ტყვედ ჩაბარებაზე ფიქრიც კი ზედმეტია, თუნდაც იმიტომ, რომ აზრი არ აქვს, მაინც დაიღუპები. ჯარისკაცმა იქამდე უნდა იბრძოლოს, რომ მისმა თანამებრძოლმა მაინც დააღწიოს თავი ალყას. უბედურება ის იყო, არ ვიცოდი, საით წავსულიყავით, ყველა მხრიდან ისროდნენ. საავიაციო დაბომბვებიც დაგვემატა და ამან გაგვტეხა...

**— ანუ წინააღმდეგობის გაწევა შეწყვიტეთ?**

— არა, შეძლებისდაგვარად ვუწევდით წინააღმდეგობას. მართალია, ასეთ დროს ყველაზე კარგი იარაღი სიმშვიდის შენარჩუნებაა, მაგრამ ეს საკმაოდ რთულია, თითქმის შეუძლებელი. ასევე კარგი იარაღია კარგი მეთაური, რომელიც გადაწყვეტილებას მიიღებს და რაც ყველაზე მთავარია, მნიშვნელოვანია კავშირგაბმულობა, რაც თითქმის არ გვქონდა. ასე რომ, სანამ სპეცრაზმი არ მოვიდა, სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ვიყავით. არ ვიცოდით, რა ხდებოდა ალყის მიღმა... ჩვენგან განსხვავებით სპეცრაზმელებს კარგი კავშირი ჰქონდათ და ეს დაგვეხმარა. მიმაჩნია, რომ ჩვენი ბატალიონი ჯარისკაცებსა და მეთაურობას შორის არსებულმა კარგმა ურთიერთობამ გადაარჩინა...

არავინ თქვას, ომში მივდივარ და სიკვდილისთვის მზად ვარო, ეს შეუძლებელია. როცა ცხინვალისკენ მივდიოდით, ჩემი ჯარისკაცი ჰიმნს მღეროდა და რამდენიმე საათში მისი გვამის გამოტანა დაგვჭირდა. ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ ჯარისკაცები ფსიქოლოგიურად ორ ნაწილად იყოფიან: ისინი, ვინც შურისძიებაზე ფიქრობს და მეორე, ვინც მორალურად ტყდება.

**— როგორ გამოაღწიეთ ალყიდან?**

— ვაშლიჯვრის სპეცრაზმი მოგვეშველა და ალყა გავარღვიეთ.

**— რუსი სამხედროები და სპეციალისტები ხშირად ლაპარაკობენ ქართული არმიის შეიარაღების მაღალ დონეზე...**

— შეიარაღება და ტყვია-წამალი მართლა არ გვაკლდა, მაგრამ ცხინვალის თითქმის ყველა ქუჩა რუსი სამხედროებით, ძირითადად, საარტილერიო დანადგარებით იყო სავსე. როგორც ჩანს, IV ქვეითი ბრიგადის ჯარისკაცების წინააღმდეგობამ გააკვირვა და ამიტომაც დამატებითი ძალები შემოიყვანეს. და კიდევ ერთი, მათ ჩვენი არმიის შეიარაღებაზე ინფორმაცია ჰქონდათ. ჩვენ კი მათზე მხოლოდ ის ვიცოდით, რომ დიდი რაოდენობით ჯავშანტექნიკა შემოდიოდა. ჩემი აზრით, ამ ომში უდიდესი როლი მაინც ჩვენმა სიმცირემ ითამაშა.

*ლალი პაპასკირი*

# რუსული არმიის დანაკარგების ფოტოფაქტები



აგვისტოს ხუთდღიანი ომის შემდეგ უკვე ოთხ თვეზე მეტი გავიდა. მიუხედავად ამისა, საქართველო-რუსეთის ომში დაკარგული ტექნიკის რაოდენობასა და სახეობაზე უმეტესწილად ფოტოების მიხედვით გვიწევს მსჯელობა. არც ოფიციალურ მოსკოვსა და არც თბილისს დღემდე დაკარგულ-განადგურებული ტექნიკის ტიპებსა და მიახლოებით რაოდენობაზეც კი განცხადება არ გაუკეთებია.

ომში ორივე მხარის დანაკარგზე „არსენალში" უკვე არაერთი სტატია დაიწერა, ამიტომაც ერთი და იმავეს გამეორება რომ არ გამოგვივიდეს, ამჯერად იმ დაზიანებულ-განადგურებულ ტექნიკაზე ვისაუბრებთ, რომლის შესახებაც არც ისე დიდი ხნის წინ შევიტყვეთ.

რუსეთი თავის დანაკარგზე რომ არ ლაპარაკობს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ტექნიკა არ დაუკარგავს. კონფლიქტის შემდეგ ცხინვალის გარშემო და ჯავისკენ მიმავალ გზაზე არაერთი დანაღმული რუსული საბრძოლო ტექნიკის ნახვა შეიძლებოდა. ჩვენ მიერ მოძიებულ ერთ-ერთ ფოტოზე განადგურებული მედესანტეების საბრძოლო მანქანა БМД-2-ია აღბეჭდილი. ის უმთავრესად მარცხენა უკანა ნაწილშია დაზიანებული, თანაც უფრო ზედა რაკურსიდან, ამიტომაც შესაძლებელია, რომ ის ომის პირველივე დღეს ქართული Ми-24-ის მსხვერპლი გამხდარიყო. ბევრი ლაპარაკი არც მანქანის მესაკუთრის ამოცნობას უნდა, რადგან საქართველოს შეიარაღებაში არ არის БМД-2-ის ტიპის ტექნიკა. ჩვენ ხელთ არსებული ცნობებით, რუსეთმა 5-6 БМД-2 დაკარგა.

განსაკუთრებით დიდი დანაკარგი რუსეთის საჯარისო ფორმირებებმა ქართული ქვედანაყოფების მიერ (ტანკები, არტილერია) გენერალ ხრულოვის საშტაბო კოლონაზე მასირებული შეტევის დროს განიცადეს. ამ კოლონაში რუსებმა ერთი ტანკი, 6-8 БМП-ს ტიპის ქვეითთა საბრძოლო მანქანა და ერთ ათეულზე მეტი სატვირთო ავტომობილი დაკარგა. მათგან ერთი ნაწილი ГАЗ-66-ის ტიპის სატვირთო ავტომობილი იყო (ჩვენ ისინი არ გვყავს). უმეტესობას Д-30-ის ტიპის ჰაუბიცები და ავტომატური ნაღმსატყორცნი Василек-ები ჰქონდათ მიბმული.

ომის პირველი დღის შემდეგ თავად ცხინვალის ქუჩებში არაერთი დამწვარი ქვეითთა საბრძოლო მანქანის (უმეტესწილად БМП-1) ნახვა შეიძლებოდა. მათ შორის ერთ-ერთი — მოგლეჯილკოშკურიანი БМП, საბორტო ნომრით 614, რუსეთის სამშვიდობო ძალებს

გენერალ ხრულოვის კოლონა ქართული სატანკო და საარტილერიო ცეცხლის შემდეგ. მარცხენა ფოტოზე ГАЗ-66-ს ავტომატური ნაღმსატყორცნი Василек-ი აქვს მიბმული





ეროვნული ბიბლიოთეკა



ხევში გადავარდნილი რუსი სამშვიდობოების ჯავშანტრანსპორტიორი

უკან დახევისას პოზიციებზე მიტოვებული (ნაწილობრივ დაზიანებული) და შემდგომ მოწინააღმდეგის მიერ წაღებულ-განადგურებული ტექნიკის სახით უფრო მეტი დავკარგეთ, ვიდრე ბრძოლაში.

გორის სატანკო ბაზიდან რუსებმა 15 ახალთახალი მოდერნიზებული БМП-1У წაიყვანეს. თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთი დიდმოხელე ბაზებში ტექნიკის დატოვებას გაუმართაობით ხსნიდა,



ცხინვალის ერთ-ერთ ქუჩაზე განადგურებული რუსული БМП-2

ეკუთვნოდა. კიდევ ერთი განადგურებული რუსული БМП-2-ის (საბორტო ნომრით „118“) ნახვა ცხინვალის შესასვლელთან, ჯავის მხრიდან შეიძლებოდა. თუმცა, БМП-ების უმეტესობა ისეა დამწვარი, რომ მათი მესაკუთრის იდენტიფიცირება შეუძლებელია. თანაც, სამხედრო ტექნიკას იშვიათად თუ აქვს ქვეყნის განმასხვავებელი ნიშანი, მარტო ნომრით კი ბევრს ვერაფერს გაიგებ.

ხანდაზმულობის გამო რუსეთმა ტექნიკის არც ისე მცირე ნაწილი ჯერ კიდევ ბრძოლაში ჩართვამდე დაკარგა. ომის შემდეგაც ჯავისკენ და როკის გვირაბისკენ მიმავალ გზაზე არაერთი ამობრუნებული და ხევში გადავარდნილი ტექნიკის ნახვა შეიძლებოდა. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა ჯავასთან არსებულ ხიდთან მოხდა, სადაც БМП-2, საბორტო ნომრით „005“, ხიდიდან გადავარდა. რუსული სამშვიდობო ძალების ერთი ჯავშანტრანსპორტიორი კი ხევში გადაჩეხილა. სავსებით შესაძლებელია ამის მიზეზი რუსი ჯარისკაცების სიმთვრალე იყოს.

საქმე სასაცილოდ არც ჩვენ გვაქვს. ბაზებში უპატრონოდ მიგდებული და



ომის შემდეგ ჯავასა და როკის გვირაბისკენ მიმავალ გზებზე ასეთი სურათი იშვიათობას არ წარმოადგენდა



არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი შემთხვევების მიზეზი რუსი ჯარისკაცების სიმთვრალე იყო

თუმცა, ფაქტია, რომ 15 БМП-დან 14 როკის გვირაბის გავლით რუსეთში თავისი სვლით გადავიდა. გორის საარტილერიო ბაზაში რუსებმა ერთი თვითმავალი ჰაუბიცა DANA დაწვეს. ორი ასეთი ჰაუბიცა მოწინააღმდეგემ სრული საბრძოლო კომპლექტით ჩაიგდო ხელში. იმავე გორის საარტილერიო ბაზიდან რუსებმა ერთი Пион-ი (С-

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



სავარაუდოდ, ეს БМД-2 ზემოდან არის დაზიანებული, შესაძლებელია, ის ქართული Ми-24-ის მსხვერპლი გამხდარიყო

006) წაიღეს, მეორეს კი (C-005) ლულა დაუზიანეს. რუსებმა Пион-ი და DANA-ები ერთ Оса-სთან ერთად ვლადიკავკაზში მატარებელზე დატვირთეს და მოსკოვში გადაიტანეს. გორის სატანკო ბაზიდან გაყვანილი 15-მდე ტანკი, ჯავშანტრანსპორტიორი და ქვეითთა საბრძოლო მანქანა კი გორის მახლობლად გაანადგურეს.

ტანკებსა და ჰაუბიცებთან შედარებით, განსაკუთრებით დიდია Бук-ების ტიპის საზენიტო სარაკეტო კომპლექსების დანაკარგი. ომის დაწყებამდე გაეროს რეესტრში დაფიქსირებული მონაცემებით, საქართველოს 15 Бук-ი ჰყავდა (მათ შორის დამტენი, სამეთაურო და გამშვები მანქანები). აქედან რუსებმა ხელთ ორი დამტენი („213“, „223“) და სამი გამშვები (ერთ-ერთის ნომერი „232“) მანქანა ჩაიგდეს ხელთ.

წაყვანილი ტექნიკის მცირე ნაწილი ოსებმა 20 სექტემბერს დე ფაქტო სახელმწიფოს „დამოუკიდებლობის“ დღისადმი მიძღვნილ აღლუმზე გამოიყვანეს. მათ შორის ერთი ლენდროვერი, სამი ტოიოტა „ჰაილუქსი“ (სამივეს საქარე მინა აქვს გატეხილი, ბოლო ,მესამე მანქანას მარცხენა ბორტზე კი რამდენიმე ნატყვიარი ემჩნევა), გადაღებილი უნომრო ჯავშანმანქანა COBRA საბრძოლო მოდულითურთ, რომელიც მანამდე ქართულ ნომერს „09“-ს ატარებდა. ნაკლებსავარაუდოა, ის „307“-ე მანქანის მსგავსად, ბრძოლაში ეკიპაჟს მიეტოვებინა, რადგან დაზიანება არ ეტყობა. ალბათ, საწვავის უქონლობის გამო მიატოვეს, თორემ გაუმართავი რომ ყოფილიყო, ოსები თავისი სვლით ვერ წაიყვანდნენ. აღლუმზე სამმა ქართულმა T-72-მაც ჩაიარა (ერთ-ერთი ნომრით „101“). ერთ-ერთი, რომელსაც მუხლუხების წინ ნაღმსაწინააღმდეგო დანები აქვს, მოწინააღმდეგემ ეკიპაჟთან ერთად ჩაიგდო ხელში.



სამწუხაროდ ბაზებიდან წაღებულ-განადგურებული ტექნიკის სახით უფრო მეტი დავკარგეთ, ვიდრე ბრძოლაში



ოსი სეპარატისტების მიერ დამოუკიდებლობის დღის აღლუმზე გამოყვანილი სამი ქართული ტოიოტა „ჰაილუქსი“



გორიდან წაყვანილი აფეთქებული ქართული ტანკებისა და ჯავშანტექნიკის სასაფლაო

სავარაუდოდ, რუსეთის ხელგაშლილი მთავრობა აფხაზ მოკავშირეებსაც დაასაჩუქრებდა ნაალაფარი ტექნიკით, თუმც ოსებისგან განსხვავებით აფხაზები მისი გამომზეურებისგან თავს იკავებენ.

*თემურ კულუზაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხო სპეცსამსახურების ისტორია კავკასიაში

*დასაწყისი იხ. „არსენალი“ №25*

მოკავშირეთა საერთო სამხედრო-სადაზვერვო ოპერაციების კოორდინაციის მიზნით დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და რუსეთმა 1915 წელს შექმნეს ერთობლივი შტაბი პარიზში, რომელსაც დაარქვეს სახელი: „მოკავშირებათშორისი ბიურო“, რომლის ძირითად ამოცანებში შედიოდა შემდეგი სახის საქმიანობა:

საერთო ღონისძიებათა შემუშავება მოწინააღმდეგის შპიონაჟის აღსაკვეთად;

მოწინააღმდეგის შპიონაჟის მეთოდების შესწავლა;

პროპაგანდა მტრის ზურგში;

საერთო-სადაზვერვო ინფორმაციის ცენტრალიზაცია და ანალიზი;

კონტრაბანდა (ეკონომიკური საბოტაჟი);

თითოეულმა ქვეყანამ გამოყო თავისი რანგის წარმომადგენელი (რუსეთიდან იყო პოდპოლკოვნიკი გრაფი იგნატიევი), რომლებიც წარმოადგენდნენ ბიუროს ხელმძღვანელ ორგანოს.

გერმანიისა და მისი მოკავშირეების სადაზვერვოს თანამეგობრობა/გერმანიის სამხედრო დაზვერვის სტრატეგიული კონცეპტი: გერმანული სამხედრო აზროვნებისა და სტრატეგიის შემუშავების მთავარ ეპიცენტრს წარმოადგენდა მისი გენერალური შტაბი, რომელიც სტრუქტურულად შედგებოდა შემდეგი ერთეულებისგან:

სამხედრო დაზვერვა;

ჯარების ორგანიზაცია და მართვა;

ლოჯისტიკა;

სასურსათო მომარაგება.

გერმანიას ჯერ კიდევ ოტო ბისმარკის პერიოდიდან ჰქონდა პოლიტიკური დაზვერვის გამოცდილება, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ლეგენდარულმა ვილჰელმ შტიბერმა. გერმანიაში სამხედრო დაზვერვის სტრუქტურა 1900 წელს შეიქმნა. გერმანული სამხედრო დაზვერვის ერთ-ერთი ხელწერა იყო კრიმინალური ელემენტების გამოყენება ჯაშუშებად და დივერსანტებად, რაც ნაკლებმისაღები იყო სხვა ქვეყნების სადაზვერვო სტრუქტურებისთვის. საინტერესოა, როგორ, რა თვისებების მიხედვით არჩევდნენ მზვერავებს გერმანიის გენერალურ შტაბში. მოცემულ თვისებებში შედიოდა:

* ადამიანთა ფსიქოლოგიის უბადლო ცოდნა;

* კომპეტენტურობა სპეციალობის მიხედვით;

* უცხო ენების ცოდნა;

* მოწინააღმდეგის სადაზვერვოს სტრუქტურების ცოდნა;

* ჯანსაღი შეფასება, თანამიმდევრობა;

* ბუნებრივობა, ჯანსაღი აზრი და სიფრთხილე.

გერმანულ დაზვერვას დაყოფილი ჰქონდა ასევე აგენტთა ტიპებიც: ფერტრაუმენი – რეზიდენტი; აგენტშლეპერი – თანაშემწე; ბეობახტერი – მზვერავი. გერმანიის არმიის სარდლობაში მოქმედებდა სპეციალური სტრატეგიული დაზვერვა, რომელსაც „მესამე ბიურო“ ეწოდებოდა. მისი შეფი 1914 წლიდან იყო პოლკოვნიკი ვალტერ ნიკოლაი, პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიის სამხედრო დაზვერვის უფროსი. მისი ვიწრო სპეციალობა იყო რუსეთი. სამხედრო დაზვერვას ასევე ევალებოდა სამხედრო კონტრდაზვერვაც. მას ემორჩილებოდა სამხედრო-საზღვაო დაზვერვის სამსახურიც.

გერმანიის სამხედრო დაზვერვის ხელმძღვანელობა დიდ ყურადღებას აქცევდა მზვერავთა მომზადებას. პირველ მსოფლიო ომამდე არსებობდა სამხედრო მზვერავთა მომზადების სამი სკოლა, სადაც მსახურობდნენ არა მარტო მამაკაცები, არამედ ქალებიც (მათ მომზადებას ხელმძღვანელობდა ასევე ლეგენდარული ელიზაბეტ შრაგმიულერი, ანუ „ფროილაინ დოქტორი“). ომის დაწყებისთანავე დაიწყო ასეთი სკოლების ინტენსიური გამოყენება. სკოლები იხსნებოდა ფრონტის ხაზის ახლოს. სკოლები გაჩნდა ლუცკში, სლონიმში, მიტავაში, ბრესტ-ლიტოვსკში. თითოეული არმიის შტაბის სადაზვერვო ბიუროსთან არსებობდა ასეთი სკოლა, ისევე როგორც შემდეგ თითოეული კორპუსისა და დივიზიის შტაბებთან. სკოლის სასწავლო პროგრამა მოიცავდა 2-3 კვირას, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი 1 თვესაც კი. კურსანტებს ეძლეოდათ პრემიებიც, რომელთა ოდენობაც იზრდებოდა წარმატებით შესრულებული დავალების



თურქეთის სამხედრო დაზვერვის შეფი ენვერ-ფაშა

„ლიგა“
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
– ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
– სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
– ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
– სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11 ☎ 32 21 21, 31 73 24

მიხედვით. გერმანელებმა ასევე შექმნეს სპეციალური დივერსიული ჯგუფები, სადაც შედიოდნენ ძირითადად მოხუცები და ინვალიდები, რომელთაც მტრის ზურგში მათხოვრების სახით გზავნიდნენ.

გერმანელების ერთგვარ ნოუ-ჰაუდ შეიძლება ჩაითვალოს მოწინააღმდეგის განადგურება არა მარტო წმინდა სამხედრო, არამედ პოლიტიკური კუთხითაც. ამის შედეგი იყო რუსეთის იმპერიის დაცემა და რუსეთი გახდა გერმანიის „ვასალური" სახელმწიფო, თუნდაც ბოლშევიკების მიერ 1918 წლის 3 მარტს დადებული ბრესტ-ლიტოვსკსის ზავის წყალობით. გერმანელებმა სამი კომპონენტის კომბინირება შეძლეს: პოლიტიკის, სამხედრო სტრატეგიისა და ეკონომიკური ფაქტორების.

გერმანიის გენერალურმა შტაბმა სადაზვერვო ბიუროს (ავტორი პოლკოვნიკი ნიკოლაი) წარდგინებით შეიმუშავა ე.წ. სიღრმისეული სადაზვერვო დოქტრინა, რომელსაც არაოფიციალურად ეწოდა „სხვა ომის" კონცეფცია. კონცეფციის ძირითადი მიზნები და ამოცანები ჩამოყალიბებულ იქნა შემდეგნაირად:

მოწინააღმდეგის დემორალიზაცია;

მოწინააღმდეგის წინააღმდეგ საზოგადოებრივი აზრის მობილიზება (პროპაგანდა და შავი პიარი);

მოწინააღმდეგის ზურგის დემორალიზება (დივერსია);

მოწინააღმდეგის სტრატეგიული გეგმების გაგება (შპიონაჟი);

ბიოლოგიური დივერსიების განხორციელება.

ეს კონცეფცია განხორციელდა ომის დაწყებისთანავე. გარდა ამისა, ნიკოლაიმ შექმნა სპეციალური სამსახური „შ" (საბოტაჟი და განადგურება). სწორედ ამ სამსახურმა გადაიბირა ვლადიმირ ლენინი და მისი პარტიის მეშვეობით რუსეთში სამხედრო გადატრიალება მოახდინა 1917 წლის 25 ოქტომბერს.

ცალკე უნდა იქნეს განხილული ავსტრია-უნგრეთის სადაზვერვო სამსახურის საქმიანობა, რომელიც ფაქტობრივად გერმანიის შესაბამისი სამსახურის ერთგვარი დანამატი იყო. მის საქმიანობას დიდად შეუშალა ხელი პოლკოვნიკ რედლის ღალატმა. თუმცა ავსტრია-უნგრეთის სამხედრო დაზვერვას ჰქონდა ისეთივე სტრუქტურულ-ორგანიზაციული სქემა, როგორიც გერმანიის დაზვერვას.

გერმანიის მესამე მოკავშირე – ოსმალეთის იმპერიის (პორტას) სადაზვერვო სტრუქტურები ასევე შექმნილი და გაწვრთნილი იყო გერმანიის იმპერიის წარმომადგენლების მიერ. ჯერ კიდევ 1908-1912 წლებში სტამბოლში მოქმედებდა 2-ათასიანი სამხედრო მრჩეველთა კონტინგენტი გენერალ ლუდენდორფის მეთაურობით, რომლებმაც გაატარეს რეფორმები თურქულ არმიაში და ის გერმანული მანქანის მოდელს დაუახლოეს. პროგერმანული პოზიციები ოსმალეთში კიდევ უფრო გამყარდა 1913 წელს სამხედრო გადატრიალების შედეგად, როცა იმპერიის სათავეში მოვიდნენ ე.წ. მლადა-თურქები — ნაციონალისტურად განწყობილი სამხედრო ელიტის წარმომადგენლები, რომელთა ერთ-ერთი ლიდერი იყო სამხედრო დაზვერვის შეფი ენვერ-ფაშა. ოსმალეთის იმპერიაში სადაზვერვო საქმიანობას, ძირითადად, ორი სტრუქტურა ეწეოდა:

გენერალური შტაბის სამხედრო დაზვერვის სამსახური (Istihbart Biurosu);

შინაგან საქმეთა სამინისტროს მთავარი უსაფრთხოების სამმართველო (ქემალ ათათურქის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ამ სტრუქტურებს დაემატა მესამე, უფრო გავლენიანი სტრუქტურა – ეროვნული უშიშროების სამსახური).

ოსმალეთის სამხედრო დაზვერვის ძირითადი სამიზნე იყო კავკასია და ცენტრალური აზია, სადაც მათ ჰქონდათ მძლავრი პოლიტიკურ-იდეოლოგიური საფუძველი და იარაღი პანთურქიზმის სახით, რომელსაც ეფექტიანად იყენებდა სამხედრო დაზვერვა. პანთურქიზმის დოქტრინა მიზნად ისახავდა თურქული ტომებისა და ხალხების გაერთიანებას პორტას მმართველობისა და პოლიტიკური გავლენის ქვეშ. ამიტომაც პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას პორტას სამხედრო დაზვერვამ აამოქმედა ეს „იარაღი" და აწარმოა სამხედრო-დივერსიული ოპერაციები კავკასიის რეგიონის ფარგლებში, რაც ასევე მიმდინარეობდა გერმანული სამხედრო დაზვერვის მეთვალყურეობის ეგიდით (სტამბოლში სპეციალური სტატუსით ოფიციალურად მოქმედებდა გერმანული სამხედრო დაზვერვის ოფიცერი ამ ოპერაციის კოორდინაციის მიზნით).

რაც შეეხება გერმანული სამხედრო დაზვერვის მიერ სპეციალური სტრატეგიული ოპერაციის ჩატარებასა და სპეციალური კონცეპტის შემუშავებას, მისი შემუშავება დაიწყო 1914-1915 წლებში და განხორციელება დაიწყო 1915 წლის ბოლოს. ოპერაცია დასრულდა სრული წარმატებით. კონცეპტის ავტორი იყო ვალტერ ნიკოლაი და ის ერთობლივად შეიმუშავეს დაზვერვის ბიურომ და სპეცსამსახურმა „S"-მა. კონცეპტი მოიცავდა შემდეგი სახის ღონისძიებებს სამი ძირითადი მიმართულებით:

„ჩრდილოეთის სტრატეგიული მიმართულება" – ბალტიური გზა: ნიკოლაი ითვალისწინებდა მჭიდრო კავშირის დამყარებას ბალტიისა და პოლონეთის როგორც ნაციონალისტური (პილსუდსკი), ისე სოციალ-დემოკრატიული მიმდინარეობის (ძერჟინსკი) ჯგუფებთან და მათი დაფინანსების მეშვეობით გერმანული არმიებისთვის გზის გახსნა და შემდგომში პოლონეთისა და ბალტიის არეალების ოკუპირება და ანექსია გერმანული იმპერიის შემადგენლობაში. ამ ჯგუფებს უნდა შეექმნათ ადგილობრივ მოსახლეობაში ნოყიერი საფუძველი პროგერმანული პოზიციების გასაძლიერებლად;

„ცენტრალური სტრატეგიული მიმართულება" – ბოლშევიკური პარტიის ლობიზმი: გერმანელებმა მიაღწიეს ბოლშევიკური პარტიის ლიდერისა და მისი სხვა ლიდერების გადმობირებას (მათ შორის ტროცკი, ბუხარინი და ა.შ.) და ცნობილი გერმანელი ფინანსისტის, პარვუსის მეშვეობით დააფინანსეს ბოლშევიკური პარტია. სწორედ გერმანიის დაზვერვამ უზრუნველყო ლენინის ყოფნა შვეიცარიაში, სადაც მან შეიმუშავა რუსეთში სამხედრო გადატრიალების გეგმა თავისი კონცეპტუალური დოკუმენტებით და შემდეგ უზრუნველყვეს გერმანიის მეშვეობით მისი სანქტ-პეტერბურგში ჩასვლა 1917 წლის აპრილში. გერმანელები ბოლშევიკებს ხელისუფლების მოსვლის შემდეგაც აფინანსებდნენ და ეხმარებოდნენ ფულით, იარაღითა და ინსტრუქტორებით;

„სამხრეთული სტრატეგიული მიმართულება" – კავკასიური სეპარატიზმის გაღვივება: გერმანელების იდეა იყო კავკასიურ ხალხებში ნაციონალისტური შეგრძნების გაღვივება. გერმანიის სამხედრო დაზვერვამ ფარული კავშირი დაამყარა ქართული მემარცხენე ორიენტაციის პოლიტიკურ ჯგუფებთან, ისევე როგორც სომეხი ნაციონალისტების ერთ პატარა ჯგუფთან, და მათთან სეპარატული გარიგების საფუძველზე (საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებით) შეიმუშავეს საერთო სტრატეგია რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ. რაც შეეხება ჩრდილო კავკასიაში მცხოვრებ თურქულ ტომებს, მათზე ზეგავლენას თურქეთის სამხედრო დაზვერვა ახდენდა.

სწორედ ასეთ საინტერესო სამკუთხედისმაგვარ ჭრილში მიმდინარეობდა 1914-1921 წლებში სამი დიდი იმპერიის სპეცსამსახურების ჭიდილი კავკასიის რეგიონში გავლენის მოსაპოვებლად. ამგვარივე თამაშების მოწმენი ვართ XXI საუკუნის დასაწყისშიც.

**ვახტანგ მაისაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შეძლებს კი ბარაქ ობამა აშშ-ის სპეცსამსახურების „განახლებას"?



დასაწყისი იხ. „არსენალი" №25

## საიდუმლო ცნობები ფინჯან ყავასთან ერთად

აშშ-ის სპეცსამსახურებმა ახალარჩეულ პრეზიდენტ ბარაქ ობამასთვის ყოველდღიური საიდუმლო ცნობის მომზადება დაიწყეს. მიუხედავად იმისა, რომ ობამა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას 2009 წლის 20 იანვრიდან შეუდგება, ამ ქვეყნის კონსტიტუციის თანახმად ძველმა ადმინისტრაციამ მთავრობის ახალი შემადგენლობა საქმის კურსში უნდა ჩააყენოს. ამ მოთხოვნების ერთ-ერთი ნაწილია ახალი ადმინისტრაციისთვის ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მდგომარეობის შესახებ დოკუმენტაციის გაცნობა და ახალარჩეული პრეზიდენტისთვის ყოველდღიური სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდება.

ეს ინფორმაცია აშშ-ის პრეზიდენტს ყოველდღიურად წარედგინება და, ძირითადად, ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და მსოფლიოს მთავარი „რადიოელექტრონული ჯაშუშის" — ეროვნული უშიშროების სააგენტოს ინფორმაციის საფუძველზე მზადდება.

თავის დროზე, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი ბილ კლინტონი სპეცსამსახურებს საყვედურობდა, რომ საიდუმლო დოკუმენტების შინაარსს ხშირად სხვა წყაროებიდან იღებდა.

პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა-უმცროსმა სწორედ ასეთი ყოველდღიური ცნობებით შეიტყო პირველად, რომ ერაყის პრეზიდენტი სადამ ჰუსეინი ატომურ იარაღს ამზადებდა. ამერიკელი ჟურნალისტები ხშირად სევდანარევი ირონიით ამბობენ, რომ ამ ყოველდღიური სადაზვერვო დოკუმენტებიდან ბუშმა, ალბათ, გამოტოვა ის ცნობა, სადაც ეწერა, რომ „ალ-ქაიდაც" წარმოადგენს ამერიკისათვის საშიშროებას. შედეგად კი იყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტი, რასაც აშშ-ის, როგორც მსოფლიოს ყველაზე ძლიერი სახელმწიფოს, მზის ჩასვენების დასაწყისი მოჰყვა.

ამ ყოველდღიურ ბრიფინგებზე, რომლებიც პრეზიდენტისათვის იმართება, ამერიკელ პოლიტიკოსებში ლეგენდები დადის: ყოველ დილას მიწოდებული ეს ინფორმაცია ზესაიდუმლო დოკუმენტებისა და სადაზვერვო მასალების კომპილაციაა.

ყოველ საღამოს ამერიკული სპეცსამსახურების წარმომადგენლები ადგენენ ცნობის სამუშაო, ე.წ. შავ ვარიანტს.

ამერიკის პეზიდენტისათვის მიწოდებული ცნობა ჩვეულებრივ შეიცავს:

ეროვნული უშიშროების სააგენტოს მიერ მოპოვებულ უახლეს ინფორმაციას, მათ შორის, კარტოგრაფიული დაზვერვის მიერ გადაღებულ თანამგზავრულ ფოტოებს;

ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოსა და თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის სამმართველოს აგენტების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას;

ყველაზე მთავარი ამ დოკუმენტებში მაინც აშშ-ის 16 სადაზვერვო სამსახურის ანალიტიკოსთა დასკვნებია მსოფლიოში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ბუნებრივია, არც ერთ პრეზიდენტს არ შეუძლია გააანალიზოს მთელი ინფორმაცია, რომელიც მას აშშ-ის გიგანტურმა სადაზვერვო აპარატმა მიაწოდა, ამიტომ ცნობების შემდგენლებმა, ჯერ თავად უნდა გააანალიზონ მონაცემთა მთელი ბაზა და პრეზიდენტს მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი ანალიზი და დასკვნები მიაწოდონ. ყოველდღიურ მოხსენებას ერთგავარი ორმხრივი კომუნიკაციის სახე აქვს: პრეზიდენტი მოუსმენს იმ ინფორმაციას, რომელიც სპეცსამსახურებს უნდათ, რომ პრეზიდენტს გააგებინონ, მათ კი შეუძლიათ გაარკვიონ, რისი გაგება სურს პრეზიდენტს.

სპეცსამსახურების თანამშრომლები ამ დოკუმენტზე მთელი ღამე მუშაობენ, რადგან ახალი ინფორმაციის მოწოდება ღამითაც არ წყდება. დოკუმენტის საბოლოო ვერსიას დილით დაზვერვის დირექტორი ან აპარატის რომელიმე წამყვანი თანამშრომელი გადაათვალიერებს.

ნაციონალური დაზვერვის დირექტორს, მაიკ მაკკონელს თავად უყვარდა ცნობების თეთრ სახლში მიტანა და პრეზიდენტ ბუშისთვის მოხსენება. მას თან მიჰყავდა დაზვერვის სხვადასხვა დარგის სპეციალისტი, რომლებსაც შეეძლოთ პრეზიდენტის შეკითხვებზე ეპასუხათ.

აშშ-ის პრეზიდენტისათვის მიწოდებული ინფორმაციიდან საზოგადოებისათვის მხოლოდ ძალზე მცირე ინფორმაცია ან მისი მონაკვეთი ხდება ცნობილი.

მაგალითად, ხშირად ახსენებენ 1998 წელს ბილ კლინტონისათვის მომზადებულ ცნობას იმის მისანიშნებლად, რომ „ალ-ქაიდას" თავდასხმის შესახებ აშშ-ის ხელმძღვანელობამ კარგა ხნის წინ იცოდა, ანუ მანამ, სანამ ჯორჯ ბუში თეთრ სახლში მოხვდებოდა.

ერთ-ერთი ასეთი პატაკის თემა იყო „ბინ ლადენი ამზადებს ამერიკული თვითმფრინავების გატაცების გეგმასა და ასევე სხვა თავდასხმებს". დაზვერვის ამ პატაკის მიხედვით შეიძლებოდა იმის ვარაუდი, რომ ბინ ლადენი და მისი მოკავშირეები აშშ-ზე თავდასხმას აპირებდნენ, სადაც ფიგურირებდა თვითმფრინავის გატაცებაც.

ერთ-ერთი წყარო იმოწმებდა ორგანიზაცია „ჯემაა ისლამიას" დიდმოხელის ნათქვამს, რომ ოქტომბრის ბოლოს ამ ორგანიზაციამ ბინ ლადენის დავალებით დაამთავრა აშშ-ში ჩასატარებელი ოპერაციის დაგეგმვა, მაგრამ ოპერაცია გადაიდო. ბინ ლადენის დიდმოხელის თანამოაზრე საუდის არაბეთიდან ამის შემდეგ „ჯე-

მაა ისლამიას“ წარმომადგენლებს უნდა შეხვედროდა აშშ-ში, რათა სხვადასხვა ვარიანტი განეხილათ, მათ შორის, სავარაუდოდ, თვითმფრინავის გატაცება.

2001 წლის 6 აგვისტოს, ანუ 11 სექტემბრის თავდასხმამდე ერთი თვით ადრე, პრეზიდენტმა ბუშმა მიიღო დოკუმენტი, რომელიც ასე იყო დასათაურებული: „ბინ ლადენი აშშ-ზე თავდასხმას აპირებს“. მასში ნათქვამი იყო, რომ ძიების ფედერალური ბიუროს ინფორმაცია ადასტურებს საეჭვო აქტიურ საქმიანობას ამ ქვეყანაში, რომელიც შეიძლება შევაფასოთ როგორც თვითმფრინავის გატაცებისათვის მზადება.

ამჟამად უკვე საკამათო არაა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ პრეზიდენტისთვის მომზადებული ყოველდღიური ცნობები ხშირად არ შეიცავდა ობიექტურ ინფორმაციას და ჯორჯ ბუში-უმცროსი შეცდომაში შეჰყავდა. 2008 წლის ნოემბრის ბოლოს ერთ-ერთ ინტერვიუში ამერიკის პრეზიდენტმა მთავარ შეცდომად ერაყში ამერიკის დაზვერვის ჩაფლავება დაასახელა. თუმცა, სამწუხაროდ, აშშ-ის გეოპოლიტიკური მარცხი გაცილებით შთამბეჭდავია.

ეს ეხება აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ XXI საუკუნის დასაწყისში დაშვებულ სამ საბედისწერო შეცდომას, რომელმაც შეიძლება დასავლური დემოკრატიის დასამარება გამოიწვიოს. ესენია:

შეცდომა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შესაძლებლობის ანალიზისას;

შეცდომა ერაყში საომარი ოპერაციების დაწყების აუცილებლობისა და შემდგომი ესკალაციის პროგნოზირებისას;

შეცდომა რუსეთის ხელისუფლებაში ნეოიმპერიალისტური სულისკვეთების გაძლიერებისა და „ცივი ომის“ ახალი ტალღის დაწყებისა;

აშშ-ის დაზვერვამ (უმთავრესად კი ცსს-მ და ეროვნული უშიშროების სააგენტომ) ნელი მოქმედების ნაღმის — „ლათინური სოციალიზმის“ ფორმირების პროცესი ვერ გათვალა და ვერც ხელი შეუშალა. შედეგად, ცენტრალურ და ლათინურ ამერიკაში სახიფათო პროცესებს აშშ-ის ადმინისტრაცია უკვე ველარ აკონტროლებს.

## ახალი ადმინისტრაცია ძველი სახეებით

ბარაქ ობამას მიერ რობერტ გეითსის, ცნობილი ამერიკელი მზვერავის, 1991-1992 წლებში ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორის აშშ-ის „ახალ“ თავდაცვის მინისტრად წარდგენა შემთხვევით და რიგით მოვლენად ნამდვილად არ უნდა ჩაითვალოს. თავის დროზე, დონალდ რამსფელდის შეცვლის მიზეზი ერაყის პრობლემის მოუგვარებლობა და ამერიკელთა საკმაოდ დიდი მსხვერპლი იყო. მოვლენების განვითარებამ დაგვანახვა, რომ რამსფელდის ხისტმა, ძირითადად, სამხედრო ძალაზე დამყარებულმა ტაქტიკამ და სპეცსამსახურების ოპერაციების მეორე პლანზე გადაწევამ არ გაამართლა. პარტიზანულ და ტერორისტულ დაჯგუფებებთან მძიმე შეიარაღებით ბრძოლა უეფექტო გამოდგა.

დღე არ გავა, ერაყში სისასტიკით შემაძრწუნებელი ტერაქტი არ მოხდეს, რომელსაც, ძირითადად, მშვიდობიანი მოსახლეობა ეწირება. აშშ-ის არმია უძლურია, ხოლო ტერორისტები მიზანს აღწევენ.

სამწუხაროა, რომ ამერიკის ადმინისტრაციაში მხოლოდ მაშინ შეშფოთდნენ, როცა „აღმოაჩინეს“, რომ მხოლოდ სამხედრო ოპერაცია წარმატებას ვერ მოიტანდა. ადრევე არსებული რეალური საშიშროება, რომ ამერიკა ერაყში ისევე ჩარჩებოდა და დამარცხდებოდა, როგორც საბჭოთა კავშირი — ავღანეთში, სამწუხაროდ, უკვე გაცხადდა. ბარაქ ობამა ცდილობს ამერიკის ავტორიტეტის შენარჩუნებას და ერაყიდან თანდათანობით აპირებს ჯარების გამოყვანას.

ამგვარ რთულ ვითარებაში ბობ გეითსის დატოვება თავდაცვის მინისტრად მიანიშნებს, რომ აშშ-ის ახალი ადმინისტრაცია აპირებს აქცენტი სპეცსამსახურების უფრო ფართო გამოყენებაზე გადაიტანოს. ახალ-ძველ თავდაცვის მინისტრს ძალა შესწევს და შეუძლია ამ ამოცანის გადაჭრა. მისი ბიოგრაფია საკმაოდ საინტერესოა.

**მცირე დოსიე:** რობერტ გეითსი დაიბადა 1943 წელს. არის ისტორიის მაგისტრი და რუსული ენისა და ლიტერატურის დოქტორი. 1966 წლიდან ამერიკის დაზვერვაში ოფიცრის თანაშემწედ იწყებს მუშაობას. 1974-79 წლებში აშშ-ის უშიშროების საბჭოს აპარატში საქმიანობს. 1979 წლიდან კი ცსს-ს ცენტრალურ აპარატშია და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გეგმავს სპეცოპერაციებს. 1982 წელს დაანინაურეს და ცსს-ს დირექტორის მოადგილედ დანიშნეს. 1987 წლის თებერვლიდან ასრულებდა დირექტორის მოვალეობას, მაგრამ კონგრესმა თანამდებობაზე არ დაამტკიცა „ირან-კონტრას“ საქმეში მონაწილეობის გამო. ის ყოველთვის ბუშების გუნდის წევრი იყო. 1991 წლის ნოემბერში პრეზიდენტმა ბუშმა-უფროსმა გეითსი ცსს-ს დირექტორად დანიშნა. ამ პერიოდში ის რამდენჯერმე შეხვდა რუსეთის საგარეო დაზვერვის მაშინდელ შეფს, ქართველების „დიდ მეგობარ“ ევგენი პრიმაკოვს. კლინტონის გაპრეზიდენტების შემდეგ გეითსმა თანამდებობა დატოვა და მემუარების წერას შეუდგა.

გეითსის კანდიდატურას თავდაცვის მინისტრის პოსტზე სუსტი მხარეც აქვს, რადგან ის პირველ რიგში მაღალი დონის ანალიტიკოსია და ოპერატიული საქმიანობის გამოცდილება ნაკლებად აქვს. ერაყში კი „ტერორიზმის ჯინი“ კარგა ხანია, რაც ბოთლიდანაა ამოშვებული და ძნელი სათქმელია, აშშ-ის სამხედრო ხელმძღვანელობის ტაქტიკის შეცვლის მცდელობა შედეგს როდის მოიტანს.

აშშ-ის თავდაცვის უწყებასთან დაახლოებული წყაროების ინფორმაციით, რობერტ გეითსი პოსტზე მხოლოდ ერთ წელს დარჩება და ერაყიდან ჯარის გამოყვანის შემდეგ გადადგება.

## ვინ დაიცავს ობამას

აშშ-ის საიდუმლო სამსახურმა პრეზიდენტ ბარაქ ობამას კოდური მეტსახელი „რენეგატი“ შეარქვა, მის მეუღლეს, მიშელ ობამას — „რენესანსი“; კოდური სახელები მიანიჭეს მათ ქალიშვილებსაც: უფროსს, მალიას — „ციალი“ და უმცროსს, საშას — „ვარდის კოკორი“. სუსტი სქესის კოდურ სახელებზე ვერაფერს ვიტყვით, აი, პრეზიდენტისთვის მინიჭებული ფსევდონიმი კი ბევრ კითხვას ბადებს.

უცხო სიტყვათა ლექსიკონში რომ ჩავიხედოთ, სიტყვა „რენეგატი“ განდგომილს ნიშნავს, ადამიანს, რომელმაც რწმენას უღალატა და მტრის მხარეზე გადავიდა.

გავრცელებული ინფორმაციით, სპეცსამსახურებმა ბარაქ ობამას ეს მართლაც რომ გასაკვირი კოდური სახელი ირონიულად შეურჩიეს. ცნობილია, რომ აფროამერიკელების ნაწილმა ობამას წაუყენა ბრალდება, თითქოს „ის შავია გარედან, ხოლო შიგნით კი თეთრი“. მეორენი ვარაუ-

მუნთადჰ აზ-ზაიდიმ აშშ-ის პრეზიდენტის დაცვის სუსტი წერტილები დაგვანახვა: ორი ქვეყნის ლიდერებიდან დაახლოებით 5-6 მეტრში მდგომმა ჟურნალისტმა ბუშს ორი ფეხსაცმელი ესროლა. დაცვას, ალბათ, ზეზეულად ეძინა და აზ-ზაიდის „სამხედრო მანევრები“ გამორჩათ. რუსეთის მედია კი სიხარულს ვერ მალავდა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

დობენ, რომ გადამწყვეტი იყო ობამას სურვილი, გამორჩეული ყოფილიყო ვაშინგტონური ისტებლიშმენტისაგან.

აშშ-ის საიდუმლო სამსახურმა კოდური სახელები მიანიჭა ადმინისტრაციის მთავარ პირებსაც. აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ ჯოზეფ ბაიდენს, რომელიც ამაყობს თავისი ირლანდიური ფესვებით, „კელტი“ უწოდეს, მის მეუღლეს, ჯილ ბაიდენს კი „კაპრი“.

ამერიკულ გაზეთებს მოჰყავთ სხვა ამერიკელი ლიდერების კოდური სახელების მაგალითებიც. მაგალითად, ჯორჯ ბუშ-უმცროსის კოდური სახელი იყო „ჭიქა“, (ისე კი, ჩვენი აზრით, „ტანგო“ უფრო უპრიანი იქნებოდა ცეკვის დიდი ნიჭის გამო), ვიცე-პრეზიდენტ რიჩარდ ჩეინის კი — „მეთევზე“. ეს სახელი მან თევზაობის სიყვარულის გამო მიიღო. ჯორჯ ბუშ-უფროსის კოდური სახელი იყო „მგელი“, ბარბარა ბუშისა კი — „სიმშვიდე“.

აშშ-ის 42-ე პრეზიდენტ კლინტონს სპეცსამსახურები „არწივს“, მის მეუღლე ჰილარის — „მარადმწვანეს“, მათ ქალიშვილ ჩელსის კი — „ენერგიას“ ეძახდნენ.

აშშ-ის მე-40 პრეზიდენტს, რონალდ რეიგანს „მათრახს“ ეძახდნენ. ეს სახელი მისი შესრულებული როლებიდან გამომდინარეობდა, მის მეუღლე ნენსის კი სპეცსამსახურები „ცისარტყელათი“ მოიხსენიებდნენ.

## როგორ იცავდნენ ჯორჯ ბუშ-უმცროსს

აშშ-ის საიდუმლო სამსახური, რომელიც ბოლო დრომდე ფინანსთა სამინისტროს ექვემდებარებოდა, შემდეგ კი ქვეყნის სპეცსამსახურების „ერთიანი ოჯახის“ დამოუკიდებელი წევრი გახდა, უმთავრესი სპეცსამსახურია, რომელიც ქვეყნის ახლანდელი და ყოფილი პირველი პირებსა და მათი ოჯახის წევრებს იცავს.

სხვა ქვეყანაში გამგზავრებისას აშშ-ის პრეზიდენტის დაცვა შემდეგნაირად ხორციელდება: სამიტის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე მასპინძელ ქვეყანაში ამერიკიდან 14-15 სპეცჯგუფი ჩადის, რომლებიც სპეციალურად გაწვრთნილი ძაღლებით პრეზიდენტის ვიზიტის ყველა კუთხე-კუნჭულს შეისწავლიან. ამერიკის პრეზიდენტის დაცვის სპეცსამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი 200-250 საიდუმლო აგენტი კი ვიზიტამდე რამდენიმე საათით ადრე ჩადის და თან ორ ათეულამდე დაჯავშნული ავტომობილიც მიჰყავთ. საინტერესოა, რომ ფორუმში მონაწილე რადენიმე ათეული სახელმწიფოს მეთაურის პირადი დაცვის წევრებიდან მხოლოდ მასპინძელი ქვეყნის ლიდერსა და აშშ-ის პრეზიდენტის დაცვას აქვს ცეცხლსასროლი იარაღის ტარების უფლება.

პრეზიდენტების დაცვის გეგმაში ადამიანებთან ერთად უახლესი ტექნიკა და ტექნოლოგიებიცაა ჩართული, სადაც განსაკუთრებული ადგილი შეჯავშნულ ავტომობილებს, ფარულ მოსასმენ და ვიდეოაპარატურასაც უკავია.

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის დაცვის უპრეცედენტო ღონისძიებებზე ლეგენდები დადიოდა. აშშ-ის პრეზიდენტის დაცვის 2-3-დღიან ღონისძიებებზე რამდენიმე ათეული მილიონი დოლარი იხარჯება. მიუხედავად ამისა, კურიოზები მაინც ხდება.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ 2005 წლის 9 მაისს თბილისში ვიზიტისას ბუშის დაცვის ორგანიზაციაში ხარვეზები აშკარად შეიმჩნევა.

კრიტიკას ვერ უძლებს აშშ-ის სპეცსამსახურების მოქმედება 2008 წლის 14 დეკემბერს ერაყის დედაქალაქ ბაღდადში მომხდარი სკანდალური ფაქტის დროსაც.

## ამერიკის პრეზიდენტის დაცვა... დაკარგული ძლიერების სარკე

ამერიკის პრეზიდენტისთვის სჯობდა ბაღდადში პრესკონფერენცია სულ არ გამართულიყო. ფაქტია, რომ ამგვარი სირცხვილი აშშ-ის რიჩარდ ნიქსონის შემდეგ არ უგემია. 14 დეკემბერს ჯორჯ ბუშმა გამოსათხოვარი ტურნე მოაწყო ერაყში. მრავალი შეხვედრისა და ღონისძიების „გვირგვინი“ ერაყის პრემიერ-მინისტრ ნური ალმალიკისა და აშშ-ის პრეზიდენტის ერთობლივი პრესკონფერენცია უნდა ყოფილიყო. ყველაფერი, ალბათ, რიგზე იქნებოდა და ამერიკის პრეზიდენტის დაცვის „ოთხკუთხა ბიჭები“ კვლავ ქედმაღლურ და ნარცისულ თვითკმაყოფილებას მიეცემოდნენ, რომ არა 28 წლის ერაყელი ტელეჟურნალისტი მუნთადრ აზ-ზაიდი. თავად განსაჯეთ — ორი ქვეყნის ლიდერებიდან დაახლოებით 5-6 მეტრში მდგომმა ჟურნალისტმა მოახერხა და ბუშს ორი ფეხსაცმელი ესროლა. დაცვას, ალბათ, ზეზეულად ეძინა და აზ-ზაიდის „სამხედრო მანევრები“ (ჯერ ფეხსაცმელების გახდა, შემდეგ ბუშის ლანძღვა-გინება და 10-15 წამის ინტერვალით ორი ფეხსაცმლის სროლა) გამორჩათ. ბუშმა ავლაბრელი კინტოს სიმარჯვით ორივე აიცილა, თან ხუმრობასაც ცდილობდა, მაგრამ ამ დროს მთელ აშშ-ს უფრო სატირლად ჰქონდა საქმე.

რუსეთის ელექტრონული და ბეჭდვითი მედია კი სიხარულს ვერ მალავდა. ამ ფაქტის სკანდალურობასა და მთელი ქვეყნის დამცირებას რომ თავი დავანებოთ, ამერიკის სპეცსამსახურების პროფესიონალიზმი დადგა ეჭვქვეშ. მუნთადრ აზ-ზაიდს ხელყუმბარა რომ ესროლა, რასაც თავისუფლად მოახერხებდა დროის იმ შუალედში, მაშინ ხომ ყველა განწირული იყო? ამ ფაქტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ის კრიზისი, რაც ამერიკის სპეცსამსახურებშია.

## გამოწვევები აშშ-ს – მზად არის კი ობამა ამისთვის?

XXI საუკუნეში გლობალურ მსოფლიოში აშშ-ის ეროვნული ინტერესების გატარება მნიშვნელოვნად გართულდება, რაც განპირობებულია შემდეგი ძირითადი ფაქტორებით:

1. სხვადასხვა ქვეყნის ეროვნული ინტერესებისა და მიზნების დაპირისპირებით, რაც ძირითადად საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ინტერნაციონალიზაციითა და ეროვნული ეკონომიკური მეურნეობების სულ უფრო მზარდი გლობალური ურთიერთდამოკიდებულებითაა განპირობებული;

2. სტრატეგიული რესურსების არათანაბარი განაწილების გამო მათი ტრანსპორტირებისა და მოხმარებისას წარმოქმნილი დაპირისპირებით;

3. გასაღების ბაზრების ხელში ჩასაგდებად მიმდინარე სულ უფრო მზარდი კონკურენტული ბრძოლით;

4. სარწმუნოებრივ ნიადაგზე ცივილიზაციათა შორის დაპირისპირებით;

5. ეკონომიკური კეთილდღეობის უთანაბრობის გამო ცივილიზაციათა შორის დაპირისპირების გაღრმავებით.

სამწუხაროდ, საბოლოო დასკვნა ამგვარია: არსებობს უდიდესი შანსი იმისა, რომ საგარეო-პოლიტიკურ და შიდა ადმინისტრაციულ-მმართველობით გამოცდილებას მოკლებული ბარაქ ობამა ვერ შეძლებს აშშ-ის 15-20 წლის წინანდელი გეოპოლიტიკური სიძლიერის აღდგენას. მეტიც, უახლოესი 3-4 წელიწადი ამერიკის ადმინისტრაციისა და მათ შორის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებისთვის უმძიმესი გამოცდა იქნება.

ბესიკ ალადაშვილი





## გაეცანით სამყაროს «არსენალთან» ერთად!

**გამოიწერეთ 1 წლით ჟურნალი ,,არსენალი“ და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ უფასოდ**

# ,,მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი“

## ან ,,ვეფხისტყაოსანი“

## ,,დიდი საოჯახო ენციკლოპედია“

## ,,დიდი წიგნი ხელოვნებაზე“




# 31 დეკემბრამდე!

## მედია სახლი ,,პალიტრას“ გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

**დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო ,,ელვა.ჯი“**

**www.elva.ge**

**T: 38 26 73; 38 26 74**

elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ ,,ელვა.ჯი“-ს საბითუმო გაყიდვის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

**თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი**

**თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!**

ეროვნული ბიბლიოთეკა




# XXI საუკუნის უპილოტო ავიაცია

როგორც გასული ათწლეულის გამოცდილება ცხადყოფს, სამხედრო კონფლიქტის დროს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნები მაქსიმალურად ცდილობენ მოწინააღმდეგე უშუალო კონტაქტში შესვლის გარეშე გაანადგურონ. დღეისთვის პირველობა უკონტაქტო ომის იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის შექმნაში აშშ-ს უკავია.

დღეს უპილოტო საფრენი აპარატი აღარ წარმოადგენს ისეთ ტექნიკურ ინოვაციას, როგორც ეს 30-35 წლის წინ იყო. მიუხედავად ამისა, ინტენსიურად მუშაობენ უპილოტო მზვერავი აპარატების დამრტყმელ მანქანებად გადაკეთებაზე, რადგან ასეთი სახის შეიარაღება უკონტაქტო ომში ძალზე ფასობს.

2001 წლიდან აშშ-მა აქტიური მუშაობა დაიწყო დამრტყმელ უპილოტო აპარატ MQ-9 Reaper-ზე, რომლის შეიარაღებაშიც ოთხი „ჰაერი-მიწა“ კლასის AGM-114 „ჰელფაიერის“ ტიპის რაკეტა და ორი ლაზერული დამიზნების სისტემის მქონე ბომბი შევიდა. აპარატი უკვე აპრობირებული MQ-1 Predator-ის ბაზაზე შეიქმნა და მის შემდგომ მოდიფიკაციას წარმოადგენს. თუმც უკვე არსებული უპილოტო მზვერავი აპარატების დამრტყმელ მოდიფიკაციად მოდერნიზაციის პარალელურად, 2000 წლიდან აშშ მუშაობდა ახალი თაობის უპილოტო აპარატის შექმნაზეც, რომლის დანიშნულება სახმელეთო სამიზნეების განადგურებაა.

სწორედ ასე შეიქმნა პერსპექტიული დამრტყმელი უპილოტო აპარატ X-45-ის პროექტი, რომელიც ფირმა Boeing-ისა და სააგენტო DARPA-ს (Defense Advanced Research Projects Agency — მოწინავე თავდაცვითი კვლევითი პროექტების სააგენტო) ერთობლივ ნაშრომს წარმოადგენდა. ეს უკანასკნელი უშუალოდ აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ექვემდებარება და აშშ-ის შეიარაღებულ ძალებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებასა და დანერგვაზეა პასუხისმგებელი. შემუშავებული კონცეფციის თანახმად, მომავალში ამგვარი აპარატების გამოყენებას პენტაგონი მტრის ჰაერსაწინააღმდეგო საშუალებებისა და




კომპანია Boeing-მა X-45-ზე მუშაობა 2000 წლიდან დაიწყო, 2002 წელს კი აპარატი პირველად აფრინდა ჰაერში

ეროვნული ბიბლიოთეკა



წინამორბედებისგან განსხვავებით მოდერნიზებული X-45C გაზრდილი ზომებითა და ჰაერში საწვავით გამართვის სისტემის არსებობით გამოირჩევა.

განსაკუთრებით დაცული ობიექტების გასანადგურებლად გეგმავს.

აპარატის პროექტირებისას განსაკუთრებული ყურადღება მისი განფანტვის ეფექტიანი ზედაპირის, ანუ რადიოელექტრონული შემჩნევადობის შემცირებას ექცეოდა. ამიტომაც Boeing-ის კონსტრუქტორები სტრატეგიულ ბომბდამშენ B-2 Spirit-ის შექმნისას მიღებულ გამოცდილებას დაეყრდნენ და თავიანთი ქმნილება „მფრინავი ფრთის“ სქემის მიხედვით შექმნეს. ამავე თვითმფრინავიდან იყო აღებული აპარატით მართვისა და თვითმფრინავის ბორტზე შეიარაღების განთავსების სქემები, ნაწილობრივ საქშენის კონსტრუქცია, რის გამოც ვიზუალური მსგავსება B-2-სა და X-45-ის შორის (განსაკუთრებით X-45B მოდიფიკაციის შემთხვევაში) ადვილი შესამჩნევია. თუმც მასთან შედარებით მოკრძალებული ზომითა და წონით განსხვავდება. მისი სიგრძე 8მ-ია, ფრთის გაქანი — 10,3მ, სიმაღლე კი 2,14მ. რაც შეეხება მის წონას, ცარიელი X-45A 3.630კგ-ს იწონის, მისი მაქსიმალური ასაფრენი მასა კი 5,528კგ-ს უტოლდება. აპარატის მოქმედების რადიუსი 600კმ-ია.

მთლიანობაში Boeing-მა ააგო X-45A ვარიანტის ორი გამოცდილი ნიმუში, რომლებიც უმეტესწილად აპარატის კონცეფტპროექტის დემონსტრაციას ახდენდნენ. პირველი აპარატის მშენებლობა 2000 წლის სექტემბერში დასრულდა. ამერიკელი სპეციალისტების ჩანაფიქრის თანახმად, X-45-ის ტიპის უპილოტო აპარატების პირველი თაობა მხოლოდ „ჰაერი-მიწა“ კლასის იარაღის სატარებლად იქნებოდა განკუთვნილი, მეორეს კი უკვე მტრის საჰაერო სამიზნეების გამკლავება უნდა შესძლებოდა.

პირველი X-45A ჰაერში 2002 წლის 22 მაისს აფრინდა. პირველი გაფრენისას, რომელიც 14წთ-ს გაგრძელდა, აპარატი 2500მ-ის სიმაღლეზე ავიდა და 360კმ/სთ-ის ტოლი სიჩქარე განავითარა. კალიფორნიის შტატში მდებარე ედვარდსის ავიაბაზიდან აფრენილი X-45A დრაიენში არსებულ NASA-ს კვლევითი ცენტრის აეროდრომზე დაჯდა. ამავე წლის ნოემბერში მას მეორე აპარატი მიჰყვა. 2004 წლის 18 აპრილს ავიაბაზა ედვარდსის მიმდებარე ტერიტორიაზე X-45A-დან პირველად ჩამოაგდეს 250-გირ-



საცდელი პროტოტიპის კატასტროფის შემდეგ ესპანურ-გერმანულ Barracuda-ზე მუშაობა მხოლოდ 2008 წელს განახლდა.



კორპორაცია „МиГ“-ის მიერ შექმნილი ახალი თაობის დამრტყმელი უპილოტო თვითმფრინავი СКАТ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვანქიანი ბომბის გაბარიტულ-წონითი მაკეტი. ამავე წლის პირველ აგვისტოს კი ორივე აპარატს ფრენისას ერთდროულად ერთი ოპერატორი მართავდა.

გაფრენის წინ აპარატის კომპიუტერში ჩატვირთული პროგრამის შესაბამისად, მას ავტონომიურ რეჟიმში (ოპერატორის ჩარევის გარეშე) შეუძლია ფრენის შესრულება — მათ შორის ფრენის კოორდინატებში ჩადებული სამიზნეების განადგურება და ბაზაში დაბრუნება. 2005 წლის 4 თებერვალს, 50-ე საცდელი გაფრენისას, ორივე აპარატისთვის დასახული ამოცანის თანახმად, მათ ავტონომიურ რეჟიმში უნდა მოეხდინათ პირობითი სამიზნის იდენტიფიცირება მონაცემთა ბაზაში ჩატვირთული სხვადასხვა სახის სამხედრო ტექნიკის ფოტოების მიხედვით და მტრის ამოცნობის შემთხვევაში, მისი ბომბების გაბარიტულ-წონითი მაკეტებით დაბომბვა.

პროექტის წარმატებულობის მიუხედავად, ორივე აპარატის საფრენოსნო გამოცდების დასრულების შემდეგ, 2006 წლის 2 მარტს აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა უარი თქვეს პროექტის გაგრძელებასა და სუბსიდირებაზე, რის შემდეგაც ერთი X-45A ნაციონალურ ავიაკოსმოსურ მუზეუმს გადაეცა, მეორე კი — აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ნაციონალურ მუზეუმს.




Boeing-ის X-45B-ს ნაცვლად აშშ-ს სამხედრო ფლოტმა არჩევანი Northrop Grumman-ის X-47A-ზე შეაჩერა




თუმც Boeing-ი არ აპირებდა ფარხმლის დაყრას და განაგრძობდა X-45A-ს სრულყოფას. ასე გაჩნდა მოდიფიკაცია X-45B, რომელიც წინამორბედისგან უფრო დახვეწილი ფორმებითა და გაზრდილი ფრთის გაქანით გამოირჩეოდა. სამიდან პირველის — X-45B-ს მშენებლობა 2006 წელს დასრულდა, ერთი წლის შემდეგ კი აპარატი პირველად წარადგინეს პარიზის საერთაშორისო ავიაგამოფენაზე. მოდერნიზაციის შემდგომ საფეხურად ვარიანტი X-45C იქცა, რომელზეც, წინამორბედის ყველა ინოვაციასთან ერთად, ჰაერში საწვავით გამართვის სისტემა დამონტაჟდა. გავრცელებული ცნობის თანახმად, მასზე მუშაობა 2010 წლისთვის დასრულდება, რისთვისაც პროექტზე პერსპექტიული პროგრამების შემსწავლელმა ცენტრმა 767 მილიონი დოლარი გამოყო.

სამხედრო-საჰაერო ძალების მიერ X-45A-ზე უარის თქმის შემდეგ, Boeing-მა პროექტის შემდგომი დაფინანსება თავად გააგრძელა, თუმც სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახით მას მალე ახალი კომპანიონი გამოუჩნდა და Boeing-მა მას საგემბანო ბაზირების X-45N შესთავაზა. წინასწარი მოლაპარაკებების თანახმად, X-45N-ის პირველი გაფრენა 2008 წლის ნოემბერში უნდა შემდგარიყო, მაგრამ საბოლოოდ ფლოტმა უპირატესობა ფირმა Northrop Grumman-ის შექმნილ X-47-ს მიანიჭა, რაც X-45N-ისგან განსხვავებით, ავიამზიდის გემბანზე ავტონომიური დაჯდომის შესაძლებლობით იყო განპირობებული. ამავდროულად, აპარატის ელექტრონიკაზე უარყოფითად მოქმედებდა ავიამზიდზე არსებული ძლიერი ელექტრომაგნიტური გამოსხივება.

დამრტყმელ უპილოტო X-47 Pegasus-ზე მუშაობა, Northrop Grumman-



ალბათ სულ ცოტა ხანში ამერიკულ ავიამზიდებზე ასეთი X-47B-ს ნახვა იქნება შესაძლებელი

| | იანვარი | თებერვალი | მარტი | აპრილი | მაისი | ივნი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორ. | 5 12 19 26 | 2 9 16 23 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 |
| სამ. | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 |
| ოთხ. | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 |
| ხუთ. | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 |
| პარ. | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 |
| შაბ. | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 |
| კვ. | 4 11 18 25 | 1 8 15 22 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 |

| ივლისი | აგვისტო | სექტემბერი | ოქტომბერი | ნოემბერი | დეკემბერი |
|---|---|---|---|---|---|
| 6 13 20 27 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 |
| 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 |
| 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 |
| 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 3 10 17 24 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 |
| 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 4 11 18 25 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 |
| 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 5 12 19 26 | 3 10 17 24 31 | 7 14 21 28 | 5 12 19 26 |
| 5 12 19 26 | 2 9 16 23 30 | 6 13 20 27 | 4 11 18 25 | 1 8 15 22 29 | 6 13 20 27 |





X-45-ის პროექტირებისას B-2-ის გამოცდილებაზე დაყრდნობის გამო, ამ ორ თვითმფრინავს შორის ვიზუალური მსგავსების აღმოჩენა რთული არ არის

მა თავისი ინიციატივით, აშშ-ის სამხედრო ფლოტთან კონტრაქტის გაფორმებამდე რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. პროექტირების საწყის ეტაპზევე არჩევანი ფირმის დამაარსებელ ჯეკ ნორტროპის მიერ შემუშავებულ „მფრინავი ფრთის" აეროდინამიკურ სქემაზე შეჩერდა. ამავდროულად, აპარატზე მუშაობის პროცესში კონსტრუქტორებს ხელს უწყობდა ბომბდამშენ B-2-ის შექმნისას მიღებული ცოდნა-გამოცდილება. კომპოზიციური მასალებისგან შესრულებული X-47A-ს სიგრძე 8,5მ-ია, ფრთის გაქანი — 8,47მ, სიმაღლე კი მხოლოდ 1,86მ. ცარიელი აპარატი 1,740კგ-ს იწონის, მაქსიმალური საფრენი წონა კი 2,678კგ-ს შეადგენს. ძალური დანადგარის სახით Pegasus-ზე Pratt & Whitney-ის JT15D-5C-ის ტიპის ტურბორეაქტიული ძრავაა გამოყენებული. აპარატის მოქმედების რადიუსი 2,778კმ-ს შეადგენს და მას მაქსიმალურ 12კმ-ის სიმაღლეზე შეუძლია ფრენა. სამხედრო ფლოტთან კონტრაქტის გაფორმების შემდეგ, გემბანზე დაჯდომის სპეციფიკის შესაბამისად, აპარატზე გაძლიერდა შასი და მას დასაჯდომი კავი დაუყენდა. აპარატის განფანტვის ეფექტიანი ზედაპირის შესამცირებლად მისი ჰაერმიმღები B-2-ის მსგავსად „სტელსის" ტექნოლოგიების მიხედვითაა შექმნილი.

2001 წლის 30 ივლისს X-47 Pegasus საამწყობო საამქროდან გამოიყვანეს, 2003 წლის 23 თებერვალს კი სამხედრო-საზღვაო ძალების საჰაერო ცენტრიდან პირველი გაფრენა შესრულა. აპარატის საფრენოსნო პროგრამა არ ითვალისწინებდა იარაღის გამოყენებას. თუმც X-47-ს შეიარაღების შიგთავს ნაკვეთურში ერთი 225კგ-იანი ბომბის წაღება შეუძლია (საცდელი ფრენებისას საექსპლუატაციო დატვირთვების დასადგენად, ბომბის როლს ფოლადის ნაჭერი ასრულებდა). მისი გამოცდისას აქცენტი გემბანზე დაჯდომის ავტონომიურ სპეციფიკაზე იყო გადატანილი. სპეციალურად ამისთვის ფლოტის ერთ-ერთ სამხედრო ბაზაში სპეციალური ტრენაჟორი დადგეს, იმპროვიზირებული გემბანის განივად დამონტაჟებული ოთხი სამუხრუჭე გვარლით. ასაფრენ-დასაფრენი ბილიკის გვერდებზე მდგარი ვენტილატორები კი გვერდითი ქარის იმიტაციას ახდენდნენ.

X-47A-ს დამუშავების პარალელურად, 2005 წელს Northrop Grumman-მა X-47B-ს პროექტი შეიმუშავა, რომელიც წინამორბედისგან გაზრდილი ზომითა და განსხვავებული ფორმით გამოირჩეოდა.

ახალი თაობის უპილოტოზე ფირმა Lockheed Martin-იც მუშაობდა. 2005 წელს ჰაერში პირველად მისი შექმნილი აპარატი — Polecat-ი აფრინდა. მისი ფრთის გაქანი 27,44მ-ს შეადგენს, მაქსიმალური ასაფრენი მასა 4,090კგ-ს. ორი ტურბორეაქტიულძრავიანი ძალური დანადგარით მას 454კგ-ის ტოლი ტვირთის წაღება შეეძლო.

რეკლამის მიზნით, 2006 წელს ის ფართო პუბლიკას ფარნბოროს ავიაშოუზე წარადგინეს. თუმც იმავე წლის დეკემბერში ერთ-ერთი საცდელი ფრენისას აპარატმა კატასტროფა განიცადა.

დღეისთვის დამრტყმელი უპილოტო აპარატის შექმნის კონცეფცია ატლანტიკის ოკეანის აქეთა მხარესაც არანაკლებ აქტუალურია.

2005 წელს პარიზის საერთაშორისო ავისალონზე ლე-ბურჟეში წარადგინეს ფირმა Dassault-ის შექმნილი უპილოტო აპარატ nEUROn-ის სრულმასშტაბიანი მაკეტი, რომელიც, ცოტა არ იყოს, ამერიკულ B-2-ს ჰგავდა. ამ აპარატის შექმნაზე საერთაშორისო კონცერნში გაერთიანებული ექვსი ევროპული ქვეყნის (საფრანგეთი, შვედეთი, იტალია, ესპანეთი, საბერძნეთი, შვეიცარია) რვა ავიამშენებელი ფირმა მონაწილეობს. დღეისთვის nEUROn-ის შესახებ ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი (წინასწარი ცნობებით, მასზე გამანადგურებელ Rafale-ზე გამოყენებულ ძრავას დააყენებენ), თუმც მისი შემქნელების აზრით, ის ამერიკული X-47-ის ღირსეული მეტოქე იქნება.

nEUROn-ის პროექტის ღირებულება 400 მილიონ ევროს შეადგენს, თავად აპარატი კი 25 მილიონი ევრო ეღირება. შემქმნელების განცხადებით, მისი პირველი გაფრენა 2010 წელს შედგება.



საკუთარი დამრტყმელი უპილოტოს შექმნაზე საკმაოდ აქტიურად დიდი ბრიტანეთიც მუშაობს

ევროპული ქვეყნების კიდევ ერთ ერთობლივ პროექტს გერმანიისა და ესპანეთის შექმნილი Barracuda წარმოადგენს. 2006 წლის 2 აპრილს ამ აპარატმა პირველი გაფრენა შეასრულა, თუმც მისი გამოცდა დიდხანს არ გაგრძელებულა, — იმავე წლის 26 სექტემბერს აპარატმა ესპანეთის ნაპირებთან კატასტროფა განიცადა. გამოცდილი ნიმუშის დაკარგვის გამო ერთხანს პროექტი დახურული იყო, მაგრამ 2008 წელს განაახლეს და ნოემბერში მეორე პროტოტიპის მშენებლობა დასრულდა, რომელიც, სავარაუდოდ, 2009 წლის პირველ კვარტალში აფრინდება.



2006 წელს ლე-ბურჟეს ავიაშოუზე წარმოდგენილი nEUROn-ი მისი შემქმნელების თქმით, 2010 წელს აფრინდება

დღეისთვის აპარატის შესაძლებლობებს არ ახმაურებენ, მასზე ძალზე მწირი ინფორმაცია არსებობს, თუმც შემქმნელების თქმით, მისი ფრენის მაქსიმალური სიჩქარე 0,85 მაჰი იქნება. Barracuda-ს სიგრძე 8,25მ-ია, ფრთის გაქანი — 7,22მ, მაქსიმალური ასაფრენი მასა კი — 3250კგ.

შემქმნელების თქმით, აპარატის მთავარი ფუნქცია საჰაერო დაზვერვა და პატრულირება იქნება. დღეს დღის წესრიგში არ დგას მისი დამრტყმელ ვარიანტად გადაკეთების საკითხი, თუმც თუ მოთხოვნა იქნა, აპარატს იარაღის ტარების შესაძლებლობას მიანიჭებენ.

ტექნიკურ ინოვაციაში ევროპას არც დიდი ბრიტანეთი ჩამორჩა. უკვე რამდენიმე წელიწადია ბრიტანული ავიამშენებელი კორპორაცია BAE აქტიურად მუშაობს Taranis-ის ტიპის დამრტყმელ (შეიარაღების ორი შიგთავსი ნაკვეთური) უპილოტო საფრენ აპარატზე, რომელიც დიდი ბრიტანეთის სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების დაკვეთით იქმნება. 2008 წელს აპარატის აწყობა დაიწყო, რომლის დასრულებასა და სახმელეთო გამოცდებს 2009 წელს გეგმავენ. 2010 წლის დასაწყისში კი მისი პირველი გაფრენაა დაგეგმილი.

თუმც მოგვიანებით, მაგრამ დამრტყმელ უპილოტო აპარატებზე მუშაობა რუსეთმაც დაიწყო. 2007 წელს მოსკოვის საერთაშორისო ავიაკოსმოსურ გამოფენა МАКС-2007-ზე წარადგინეს კორპორაცია МиГ-ის შექმნილი უპილოტო აპარატ СКАТ-ის სრულმასშტაბიანი მაკეტი. მისი სიგრძე 10,25მ-ია, ფრთის გაქანი კი 11,5მ. წინასწარი მონაცემების თანახმად მას 12კმ-ის სიმაღლეზე შეეძლება ფრენა და 4000კმ-იანი მოქმედების რადიუსი ექნება. ძალური დანადგარის სახით მასზე გამანადგურებელ МиГ-29-ზე დაყენებულ ძრავა Р-33-ის არაფორსაჟულ ვარიანტს გამოიყენებენ. აპარატზე შეიარაღების განთავსება ორ შიგთავს ნაკვეთურში იგეგმება. ჟუკოვსკში წარმოდგენილი მაკეტი მომავალი აპარატის კონსტრუქციული შეთანწყობისთვის შეიქმნა. ასე რომ, რეალური СКАТ-ის შექმნამდე კიდევ დიდი მანძილია გასავლელი.

როგორც ჩანს, მაღალი პერსპექტიულობის წყალობით, სულ რაღაც 10-15 წლის შემდეგ საბრძოლო ავიაციის რიგებში უპილოტო საფრენი აპარატები პილოტირებად თვითმფრინავებთან ერთად ერთ რიგში ჩადგებიან.

თემურ პულუზაშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სასტიკი შერჩევა

## გერინგის „მწვანე ეშმაკები“



გენერალი შტუდენტი



ჰერმან გერინგი

### ბლიცკრიგის სპეცრაზმი

მესამე რაიხის საჰაერო ქვეითთა მაღალი საბრძოლო ეფექტიანობა არა „გერმანელი ჯარისკაცის უნიკალურმა თვისებებმა“, როგორც ჰებელსი ამტკიცებდა, არამედ ახალი ტექნიკური მიღწევების სწრაფად ათვისებამ განაპირობა.

1935 წელს კიევში ჩატარებულმა წითელი არმიის მანევრებმა, ათასობით ჯარისკაცის საპარაშუტო და საპლანერო გადასხდომებმა გერმანელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დელეგაციის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა კურტ შტუდენტმა ამ მანევრებში სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებში ეფექტიანი მოქმედების დიდი შესაძლებლობა დაინახა და დაუყოვნებლივ აცნობა ეს ლიუფტვაფეს შეფს — გერინგს, რომელიც შეშფოთებით ადევნებდა თვალს მეტოქე ჰიმლერისა და მისი საუკეთესო არმიის — SS-ის ჯარების გაძლიერებას. რაიხსმარშალს ასეთივე ელიტური ქვედანაყოფი სჭირდებოდა. რაც მთავარია: საჰაერო-სადესანტო დივიზიების მობილურობა იდეალურად შეესაბამებოდა ჩაფიქრებულ ახალი ტიპის ომს — ბლიცკრიგს. რა თქმა უნდა, თავდაპირველად სკეპტიკურად უყურებდნენ მტრის „ვერტიკალურად დაპყრობის“ იდეას: შეძლებდნენ კი მსუბუქად აღჭურვილი ჯარისკაცები ტყვიამფრქვევებთან, არტილერიასა და ტანკებთან გამკლავებას, ეყოფოდათ კი რეალურ ბრძოლაში საბრძოლო მასალა დამხმარე ძალის მოსვლამდე? მაგრამ იმ დროის გერმანიაში იდეებს სწრაფადასხამდნენ ხორცს და გერმანელები შეუდგნენ სადესანტო ჯარების შექმნას.

საქმის მთავარი მამოძრავებელი გერინგი იყო, რომელსაც ფიურერის მხარდაჭერაც ამხნევებდა. გაიხსნა საპარაშუტო სკოლები სტენდალში, ვიტშტოკში, გარდელეგენში, ბრაუნშვაიგში, მოგვიანებით 2 სკოლა გაიხსნა საფრანგეთშიც.

ლიუფტვაფეს საჰაერო-სადესანტო ჯარების პირმშო იყო პოლკი „ჰერმან გერინგი“, რომელშიც ისეთივე წესები მოქმედებდა, როგორიც SS-ში. შერჩევა ძალზე მკაცრი იყო. შესარჩევ ტესტირებაზე დაიშვებოდნენ მხოლოდ ალღოიანი, ფიზიკურად კარგად მომზადებული ლეგიონ „კონდორის“ ყოფილი ჯარისკაცები, რომელთაც საბრძოლო გამოცდილება ესპანეთის ომში შეიძინეს. ყველაზე მნიშვნელოვან თვისებად მიიჩნეოდა კანდიდატის აგრესიულობა, ინიციატივიანობა, თავდაჯერება. სამიდან ორი კანდიდატი დატვირთვას ვერ უძლებდა და თავიანთ ქვედანაყოფებში ბრუნდებოდნენ, მიუხედავად ამისა, მსურველი უამრავი იყო. მესამე რაიხში აფასებდნენ ყველაფერს, რაც სამხედრო საქმესთან იყო დაკავშირებული, სწორედ ეს იყო მამაცი ბიჭების საქმე, ის ანდამატი, რაც ჯარებში ნამდვილ მებრძოლებს იზიდავდა. საჰაერო-სადესანტო ჯარების რიგების შევსებაზე ზრუნავდა სამხედრო-ტექნიკური ორგანიზაცია „ნაციონალ-სოციალისტური საფრენოსნო კორპუსიც“.

### ვერმახტის რჩეული მებრძოლები

პოლკი „ჰერმან გერინგი“ პირველი საჰაერო-სადესანტო პოლკი გახდა. გაჩნდა შენაერთი კოდური სახელწოდებით „მე-7 საავიაციო დივიზია“. 1941 წელს ის სამი საპარაშუტო-სადესანტო პოლკისგან, სადესანტო-მოიერიშე პოლკისგან და დამხმარე ქვედანაყოფებისგან შედგებოდა; მოგვიანებით მას დაერქვა 1-ელი საჰაერო-სადესანტო დივიზია, რომელსაც



ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე შეემატა მეორე და კიდევ ახალ-ახალი შენაერთები.

22-ე საჰაერო დივიზიამ სწავლება გაიარა თვითმფრინავებიდან და პლანერებიდან გადმოსხდომაში, რომ მეორე ტალღად მიჰყოლოდნენ საპარაშუტო დესანტს. შეიქმნა სხვა ამგვარი დივიზიებიც.

სწავლების დაწყებისთანავე მედესანტეებს ელიტურ აზროვნებას აჩვევდნენ. ტრადიციები ჯერ არ ჰქონდათ და მომავალ ბრძოლებში უნდა დაემტკიცებინათ, რომ ღირსი იყვნენ მამაცობისა და კეთილშობილების განსახიერების სიმბოლოს (მონადირე არწივი) ტარებისა. ჯარისკაცებისთვის წარმატებისკენ სწრაფვა რომ განევითარებინა, გენერალმა შტუდენტმა გერმანული არმიისთვის არატიპური ხელმძღვანელობის სტილი აირჩია (წოდების პატივისცემა და მორჩილება): „მედესანტეებს უნდა განუვითაროთ სიამაყე... უფრო მეტი ურთიერთნდობა, ვიდრე დისციპლინა და მორჩილება... სადესანტო ჯარები ერთ დიდ ოჯახად ვაქციოთ“. მან თავის მებრძოლებს „გმირის ათი მცნება“ დაუსახა სამოქმედოდ: „თქვენ ვერმახტის რჩეული მებრძოლები ხართ; თქვენი მოწოდებაა ბრძოლა. განამტკიცეთ ამხანაგობა; იყავით სიტყვაძუნწი და მოუსყიდველი, მშვიდი და ფრთხილი, ძლიერი და მტკიცენი. ტყვედ არ ჩაჰბარდეთ, თქვენი ღირსების საქმეა — გამარჯვება ან სიკვდილი. ჩასწვდით სამხედრო ოპერაციების არსს, რათა თითოეულმა თქვენგანმა შეძლოს მეთაურის შეცვლა. მტერთან კეთილშობილება გამოიჩინეთ, პარტიზანებთან — სისასტიკე. იყავით მიზანსწრაფული, როგორც მწევრები, მყარნი, როგორც გამოყვანილი ტყავი, მტკიცენი, როგორც კრუპის ფოლადი“. ასეთი განწყობილება დიდად უწყობდა ხელს გერმანელი მედესანტეების წარმატებას. ერთად გადალახულმა დაბრკოლებებმა განამტკიცა ამხანაგობის სული, რაც კარგად არის გადმოცემული მესამე რაიხის მედესანტეების ჰიმნში „მზე წითლად ანათებს“.





სკრუპულოზური ტაქტიკური სწავლებები მედესანტეებს საუკეთესო საბრძოლო თვისებებს სძენდა. ფიზიკური მომზადება მეტად მკაცრი იყო, აქცენტი კეთდებოდა პარაშუტით ხტომაზე, დესანტირებაზე, ამტანობის განვითარებაზე, სხეულის გაკონტროლებაზე, ფორსირებულ მარშებზე, ხელჩართულ ბრძოლაზე, მსუბუქ და მძიმე ტანვარჯიშზე. თავდაპირველად მომზადება ერთგვაროვანი იყო, მოგვიანებით კი ოფიცრების წვრთნა გართულდა. პარაშუტით ხტომისას ჯარისკაცთა დაღუპვის არაერთმა შემთხვევამ უფრო განამტკიცა კურსანტების საბრძოლო შემართება.

დიდი ყურადღება ექცეოდა ფორმის ტანსაცმელს, ხტომების სპეციფიკის გათვალისწინებით. სტანდარტულ გერმანულ ჩაფხუტს მოაცილეს ზემოთ აზნექილი გვერდები, რომელთაც შეიძლებოდა პარაშუტის შტროპები გამოსდებოდა; შემოიღეს მოკლეყელიანი ჩექმები თასმებითა და სქელი რეზინის ლანჩებით, შარვალი, ხალვათი ფართო ქურთუკი, ტყავის ხელთათმანები, სპეციალური ფორმის აირწინაღი, დამცავი სამუხლეები. SS-ის მკაცრ და მრისხანე ფორმასთან შედარებით პარაშუტისტების ფორმა უფრო უბრალო იყო. ვერმახტის სხვა ჯარისკაცებისგან დიდი გარეგნული განსხვავების — კომბინეზონების შესანიღბი შეფერილობის გამო მათ „მწვანე ეშმაკები“ შეარქვეს. მეთაურობა მედესანტეებს იყენებდა როგორც დივერსანტებად, ასევე დამრტყმელ ძალად ფრონტებზე.

## ძალის მოსინჯვა

ეს ოპერაცია ჯერ კიდევ 1939 წლის ოქტომბერში დაიგეგმა. ვიწრო წრეში საიდუმლო სხდომაზე ფიურერმა მედესანტეთა დასავლეთ ევროპაზე დასარტყმელად გამოყენების იდეა წამოაყენა. მათ უნდა გაენადგურებინათ ბელგიის დაცვის ბირთვი — ფორტი ებენ-ემაელი, ასევე ხელთ ჩაეგდოთ ალბერტის არხზე სამი ხიდი. გენერლები, რომელთაც ეს გეგმა „აკრობატულ ტრიუკად“ მიიჩნიეს, დაჟინებით მოითხოვდნენ ფორტის ოთხკვირიან ალყას, ჰიტლერმა კი მედესანტეებს მხოლოდ 1 საათი მისცა! ფიურერს სწამდა, რომ მედესანტეებს შეუძლებლის გაკეთება შეეძლოთ და გენერალური შეტევა ფორტზე მათი გადასხდომიდან 60 წუთის შემდეგ დაგეგმა. სტრატეგიული ოპერაციის ბედი (კონტინენტის ნახევრის აღება) დამოკიდებული იყო დივერსანტების ერთი ასეულის მარცხსა თუ წარმატებაზე.

რაიხის მომაგრებული კუნთების გამოცდამ — ჩეხოსლოვაკიის სუდეტების ოლქის ოკუპაციამ — სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე ჩაიარა. მედესანტეებს



იმედი გაუცრუა პოლონეთში ლაშქრობამაც: პოლონელების უთავბოლო წინააღმდეგობა იოლად გატეხეს ჰაერიდან დარტყმების გარეშეც.

გერმანული საჰაერო-სადესანტო ჯარების პირველი საბრძოლო გამოცდა იყო ოპერაცია დანიასა და ნორვეგიაში, 1940 წლის აპრილში, და დამთავრდა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ხიდებისა და აეროდრომების აღებით. სწორედ აქ მოხდა ის, რაც შემდგომში არაერთხელ გამეორდა, ჰერბერ შმიდტის ასეული ნორვეგიული პოზიციის შუაგულში გადაჯდა და ტყვედ ჩაბარდა. მიუხედავად ამისა, მედესანტეების მნიშვნელობა ბლიცკრიგის სტრატეგიისთვის დადასტურდა.

გერმანული გეგმა ლამის ჩაფლავდა ნარვიკში, საიდანაც მესამე რაიხს სამხედრო მრეწველობის „პური“ — რკინის მადანი მიეწოდებოდა. ბრიტანულმა ფლოტმა ერთიმეორის მიყოლებით ჩაძირა ოპერაციაში მონაწილე ყველა საესკადრო ნაღმოსანი, ინგლის-საფრანგეთის შემოჭრა კი გერმანელებისთვის ხაფანგი შეიქნა. ვითარება გერინგის მედესანტეებმა იხსნეს: ალყაშემორტყმულებმა ძალა მოიკრიბეს (2000 სამთო მსროლელი და 2500 მატროსი), მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს და მანამდე გაძლეს, სანამ მოწინააღმდეგემ ევროპაში გერმანელების შეჭრის გამო ჯარები უკან არ დაძრა.

## FG — დროის წინმსწრები

1942 წლამდე გერმანული საჰაერო-სადესანტო ჯარების ძირითადი იარაღი კარაბინი Mauser- 98k და ჩეხური დასაკეცი ხისკოდახიანი კარაბინი 33/40 იყო; პირადი შემადგენლობის 25%-ს (ძირითადად, მეთაურები) მხოლოდ MP 38/40 ჰქონდა.

უბედურება ის იყო, რომ პრაქტიკულად ყველაფერს — კარაბინებს, ტყვიამფრქვევებს, ჯგუფურ შეიარაღებას, საბრძოლო მასალას, სურსათს — ჯარისკაცებთან ერთად კი არა, ცალკე, კონტეინერებით ყრიდნენ. პარაშუტის კონსტრუქცია არ იძლეოდა გრძელლულიანი იაღარის წაღების საშუალებას და პარაშუტისტები თვითმფრინავს ტოვებდნენ მხოლოდ პისტოლეტი Luger 08-ით, ორი მჭიდით, ხელყუმბარებითა და დანით, იშვიათად MP-ით, იარაღით, რომელიც შორსმსროლელი სულაც არ არის.

ხმელეთზე დაშვებისთანავე მებრძოლს უნდა მოეძებნა კონტეინერი (ნორმატივი — 80 წამი), გაეხსნა და მხოლოდ შემდეგ ჩართულიყო ბრძოლაში. მიწაზე დაჯდომის შემდეგ არასაკმარისი საცეცხლე მხარდაჭერა ცოცხალი ძალის დიდ დანაკარგს იწვევდა და ჯარისკაცები რა ხერხს არ მიმართავდნენ, რომ უიარაღოდ არ გადამხტარიყვნენ.

სტენდალის სასწავლო ცენტრის მასწავლებელი კურტ კრაფტი: „კუნძულ კრეტის სასაკლაოს ამბავი რომ გავიგეთ, ჩემი ამხანაგი თავის MG 34-ით გადახტა. იარაღი ქამარზე გრძელი ზონრით ჰქონდა მიმაგრებული და დაჯდომაში ხელი არ შეუშლია. პარაშუტი რომ მოიხსნა, მწოლიარემ MG თავისკენ მიიჩოჩა და ბრძოლისთვის მზად იყო“.

ამიტომაც შემუშავდა პარაშუტისტებზე იარაღისა და სხვადასხვა საბრძოლო ნივთის დამაგრების არაერთი ვარიანტი და მალე მებრძოლები სრული საბრძოლო აღჭურვილობით ეშვებოდნენ მიწაზე. დაჯდომის შემდეგ სწრაფად ებმებოდნენ ბრძოლაში.

რაიხის მეიარაღეები ცდილობდნენ, წვლილი შეეტანათ შაშხანის, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისა და ტყვიამფრქვევის თვისებების მქონე ახალი იარაღის შექმნაში. ტექნიკური დავალება ასეთი იყო: იარაღი უნდა ყოფილიყო კომპაქტური (100სმ), ჰქონოდა კარაბინ 98k-ის მასა (4 კგ), ცეცხლის ავტომატური/ერთჯერადი რეჟიმი, დასაკეცი სადგარი, მასიური კონდახი ჯერით სროლისას სიმყარისათვის; უნდა ყოფილიყო მოსახერხებელი ხელჩართულ ბრძოლაში, დარტყმაგამძლე, დაბინძურების ამტანი; შესაძლებელი უნდა ყოფილიყო შაშხანის ყუმბარების გასროლა, ოპტიკით აღჭურვის შემთხვევაში კი შეესრულებინა სნაიპერული ამოცანები. გარდა ამისა, მასში უნდა გამოყენებულიყო სტანდარტული შაშხანის ვაზნა 7,92 57 Mauser-ი. კრეტის გამოცდილებამ ცხადყო პისტოლეტ-ტყვიამფრქვევების 9 19 Parabelum-ის კალიბრის სისუსტე; მოწინააღმდეგე, რომელიც შაშხანა .303-სა და ტყვიამფრქვევ Bren-ს იყენებდა, გერმანელებს მძლავრ დარტყმას აყენებდა 1,5 კმ მანძილზე.

ამის შედეგი იყო კონსტრუქტორ ლუის შტანგეს „პარაშუტისტის შაშხანა FG 42“ — სიგრძით 0,98მ, წონით 4,2 კგ, მარცხნივ მოთავსებული 20-ვაზნიანი კოლოფისებური მჭიდით, ნემსისებური ხიშტითა და ლულის შუაგულში სადგარით. ფაქტობრივად, ეს იყო მსუბუქი ხელის ტყვიამფრქვევი. სროლისას მისაღებ სტაბილურობას მას სატუჩე მუხრუჭი და კონდახში ამორტიზირებადი მოწყობილობა ანიჭებდა, პისტოლეტის ტარის ძლიერი გადახრა იარაღს პარაშუტის სტროპებზე გამოდებისგან იცავდა.

1942 წლის აპრილში ფირმა Rheinmetall-Borsig-მა შექმნა პირველი პროტოტიპი, მაგრამ სამხედრო უწყებაში დატრიალებული ინტრიგების გამო მისი გამოშვება შეფერხდა. FG 42-ს საცალო პარტიებად უშვებდნენ, მიუხედავად იმისა, რომ შედარებითი ტესტირებისას ის უკეთ ისროდა, ვიდრე კარაბინი 98k, თვითდამტენი შაშხანა Walther G-41 და ავტომატური კარაბინი Mкв-42. მხოლოდ 1944 წლის დამდეგს, ჰიტლერის პირადი ჩარევის წყალობით იარაღის სერიული წარმოება დაიწყეს, მაგრამ ომის დასრულებამდე მხოლოდ 7000 FG 42 გამოუშვეს და მან ვერ შეცვალა სრულად ტყვიამფრქვევი MG 34/42. მედესანტეები თავიანთივე ბიუროკრატებმა დაამარცხეს.

FG 42, ძირითადად, დასავლელ მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად გამოიყენებოდა, მას იყენებდნენ საუკეთესო მსროლელები და უფროსი ოფიცრები. კონსტრუქციაში სხვადასხვა ცვლილების შეტანამ განაპირობა მოდელ II-ის შექმნა. ის 4,8 კგ-ს იწონიდა. მძიმე საკეტმა სროლის ტემპი 650 გასროლა/წმ-მდე შეამცირა, თუნუქის ნაცვლად ხის სადგარი ლულის წინა ნაწილში იყო დამაგრებული, გაუმჯობესდა დაცვა დაჭუჭყიანებისგან, შეიცვალა სატუჩე მუხრუჭი. 250მ სიშორეზე მსხვრევადი და კუმულაციური ყუმბარების სასროლად სპეციალურად შემუშავდა 33მმ-იანი ლულისზედა ყუმბარსატყორცნი. 1944 წლის ზაფხულში გამოვიდა მოდელი III გაუმჯობესებული ალჩამქრობით. თუმც, FG 42-ის წარმოება ტექნიკურად ძნელი და ძვირი იყო; ამასთან, ვაზნა მეტად მძლავრი გამოდგა შედარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით მოკლე ლულისათვის, იარაღი სწრაფად ხურდებოდა, ლულის ალი მსროლელს აბრმავებდა, უკუცემა ძლიერი იყო, ტყვიის საწყისი სიჩქარე კი სულ 760 მ/წმ-ს უდრიდა. მაგრამ მთლიანობაში FG 42-ის იდეა კარგი იყო და ამერიკელები მას 20 წლის შემდეგაც იყენებდნენ ტყვიამფრქვევ M60 7.62 mm-ში.

## მძიმე შეიარაღება

დივერსიული ქვედანაყოფები არც ისე მრავალრიცხოვანი იყვნენ, მაგრამ მათი საცეცხლე სიმძლავრე მეტად შთამბეჭდავი გახლდათ.

მაგალითად, ჯგუფ „გრანიტს“ ოპერაციაზე მიჰქონდა შემდეგი არსენალი: 56 კუმულაციური მოწყობილობა, „ტორპედო ბანგალორები“ მავთულხლართებიან დაბრკოლებებში გასასვლელის გასაკეთებლად, 4 ცეცხლმსროლელი Flammwerfer 40, 6 ტყვიამფრქვევი MG 34, პოლონური ტანკსაწინააღმდეგო იარაღი УР, კარაბინები, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები, პისტოლეტები, ხელყუმბარები; მხოლოდ ასაფეთქებელი ნივთიერება 2,5 ტ იყო. და ამ ტვირთით უნდა გადამსხდარიყვნენ ხმელეთზე და მტრის ცეცხლის თანხლებით ემოქმედათ.

საფრონტო-სადესანტო ნაწილების აქილევსის ქუსლი იყო მათი არასაკმარისი საცეცხლე სიმძლავრე, საჭირო იყო საცეცხლე მხარდაჭერის საშუალებები, რომლებიც პარაშუტით დესანტირებისას გამოდგებოდა. ასეთი იყო 75მმ-იანი სამთო ჰაუბიცა, 20მმ-იანი სამთო-საზენიტო ქვემეხი, 37მმ-იანი ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი Pak 36/37, 28მმ-იანი მძიმე ტანკსაწინააღმდეგო იარაღი sPzB 41 (1943 წლიდან შეცვალეს არაუკუსრიალა ქვემეხით 75მმ/105მმ, რომელიც ჩამოსხმული იყო ნაწილობრივ მსუბუქი შენადნობისგან, და რომელიც კუმულაციურ ყუმბარებს ისროდა). ეფექტიანი ტანკსაწინააღმდეგო საშუალება იყო ყუმბარსატყორცნი RPzB 54 „პანცერშრეკი“ („ტანკის რისხვა“), იგივე „ოფენრორი“. ეს (კალიბრი — 8მმ, სიგრძე — 1,64მ, მასა — 9,5 კგ) იარაღი შეიმუშავეს 1943 წელს ტუნისში ხელთ ჩაგდებული ამერიკული ყუმბარსატყორცნის „ბაზუკის“ ბაზაზე. ის მნიშვნელოვნად გადაამუშავეს და გააუმჯობესეს: სროლის ერთნაირი სიშორის პირობებში ჯავშანგამტანობა ორჯერ გაიზარდა.

ერთჯერადი „პანცერფაუსტისგან“ (ფაუსტვაზნა) განსხვავებით RPzB 54 წმინდა რეაქტიული მრავალჯერადი იარაღი იყო; 3,25 კგ მასის მქონე ყუმბარა 105მ/წმ სიჩქარით მიქროდა და 150მ-ის მოშორებით 160 მმ-იან ჯავშანს ხვრეტდა.

ეს სიახლე დროული გამოდგა: აღმოსავლეთის ფრონტზე დიდ პრობლემად იქცა ტანკი T-34. საჭირო იყო „რუსული ჯავშანტექნიკის ყველა სახეობის საწინააღმდეგო უფრო მძლავრი იარაღი“ და 30, 60, 100 და 150 მმ კალიბრის ფაუსტვაზნების (თუმც ანგლოსაქსების სუსტი ჯავშნის გასანადგურებლად ის შეიარაღებაში მაინც დატოვეს) შეცვლა. მაშინ, როცა ფაუსტპატრონი შეიძლებოდა ნებისმიერ ჯარისკაცს გამოეყენებინა, მათ შორის ნაკლებმომზადებულ ფოლკშტიერიშეებს (მოზარდები, პენსიონერები), RPzB 54 სპეციალისტების იარაღი იყო და მას მსროლელი და დამმუხტავი ემსახურებოდნენ. პროფესიონალური გათვლა უზრუნველყოფდა სროლის მაღალ სიჩქარეს. RPzB 54-ისა თვით ჯარისკაცებსაც ეშინოდათ: ნაალაფევი პროტოტიპისგან განსხვავებით სატყორცნი მუხტი იწვოდა და მილიდან ყუმბარის გამოტყორცნის შემდეგ, 2,5 მ-ის სიშორეზე სახიფათო დამწვრობას აყენებდა მოწინააღმდეგეს. ასე რომ, მსროლელი იძულებული იყო, თავი დაეცვა ცეცხლგამძლე მოსასხამითა და აირწინაღით. საფალიე ნაწილიდან 4 მეტრზე გამოიტყორცნებოდა გავარვარებული ტოქსიკური გაზებისა და კვამლის ნაკადი, რასაც მოწინააღმდეგე მაშინვე ამჩნევდა (აქედან Ofenrohr — „ღუმლის მილი“ ); ეს გამორიცხავდა იარაღის გამოყენებას შენობებიდან და ბუნკერებიდან და ა.შ.

თითო RPzB 54-ის წარმოება სულ 70 რაიხსმარკა ჯდებოდა და ომის 2 წლის განმავლობაში მხოლოდ 315 ათასი ცალი გააკეთეს, პლუს 22 ათასი ყუმბარა!

გაუმჯობესებული ვარიანტები იყო დამოკლებული RPzB 54/1 დამცავი აფრით (სიგრძე 1,35 მ, მასა 11,3 კგ), RPzB 54/100მმ (2მ, 13, 6კგ) ჯავშანტრანსპორტიორსა და ტანკსაწინააღმდეგო განყოფილებების სხვა ტექნიკაზე დასაყენებლად, უპირატესად აღმოსავლეთის ფრონტზე.

მედესანტეების არსენალში იყო ნაღმსატყორცნები, მაგალითად, მსუბუქი leGrW 36 („კარტოფილსატყორცნი“).

ბრუნო შრამის ექსპერიმენტულმა განყოფილებამ 1938 წელს არტილერიის დესანტირების საშუალებები შეიმუშავა. კონტეინერების, ქვესადგარებისა და მრავალგუმბათოვანი სისტემების გამოყენებით მისი გადმოგდება ნებისმიერი გერმანული თვითმფრინავიდან შეიძლებოდა. შეიარაღებაში მიიღეს სატვირთო პლანერი GO 242 მძიმე იარაღის გადასატანად. ჯარისკაცების კვალდაკვალ ყველაფერი ეს კუნძულ კრეტაზე იყრებოდა, ჰაუბიცების გარდა, რომლებიც კუნძულზე სატრანსპორტო „იუნკერსებით“ ჩაიტანეს.

ბრძოლის ველზე მედესანტეებს ხშირად არ ჰყოფნიდათ ტრანსპორტი და ნაალაფევს იყენებდნენ, რომლებიც ჯერ კიდევ ომამდე ჰქონდათ დაწვრილებით შესწავლილი. მათი მობილურობის გასაზრდელად შრამის განყოფილებამ დღედაღამ იმუშავა. გამწევ ძალად ძაღლების (როტვეილერების), ცხენების, გაწვრთნილი ცირკის პონების გამოყენება კრახით დასრულდა, რადგან ცხოველები ცუდად იტანდნენ თვითმფრინავებით გადაყვანას. განყოფილებას „შრამის საცირკო დასს“ ეძახდნენ, მაგრამ მან პრობლემა მაინც წარმატებით გადაწყვიტა — ლიუფტვაფეს აეროდრომის საწევარმა — 26-36 ცხ.ძ-იანმა ნახევრადმუხლუხიანმა მოტოციკლმა SdKfz 2 საჰაერო-სადესანტო დივიზიას სულზე მიუსწრო — მას ფრონტზე მძიმე იარაღის გადასატანად იყენებდნენ.

ჯავშნისა და ბეტონის გასარღვევად გერინგის „მწვანე ეშმაკებს“ 2 სახის კუმულაციური სანაღმე იარაღი ჰქონდათ; ზარის ფორმის 12,5კგ მოწყობილობა, რომლის გადატანა და გამოყენება ერთ მებრძოლს შეეძლო, და ორბლოკიანი 50კგ-იანი მუხტი, რომელსაც უშუალოდ გამოყენების წინ აწყობდნენ და აფეთქების ადგილას 2 ჯარისკაცი ამაგრებდა.

გარდა სატრანსპორტო თვითმფრინავებისა, გერმანული საჰაერო-სადესანტო დივიზიები იყენებდნენ სატვირთო პლანერებს, რაც მათ ტაქტიკურ უპირატესობას ანიჭებდა. ომის დაწყების წინ შეიარაღებაში მიღებული DFS 230 60 კმ-ის სიშორეზე მიფრინავდა და ზუსტად მიზანთან მიჰქონდა 1 ტ ტვირთი. სამუხრუჭე რაკეტების, სპეციალური ღუზების ან





თავკავებზე მავთულხლართის გადახვევის მეშვეობით სამუხრუჭე გზა 20 მეტრამდე მოკლდებოდა! მიუხედავად ამისა, მედესანტეებმა DFS 230-ზე ფსიქოლოგიური მოტივით უარი თქვეს და ის სატვირთო რამპიანი პლანერ Gotha-თი შეცვალეს. მას ტრანსპორტისა და მძიმე იარაღის წაღება შეეძლო.

ძალზე საიმედო ავტომატური პარაშუტი RZ (საზურგე იძულებითი გამხსნელით) 80 მეტრის სიმაღლიდან გადმოხტომის საშუალებას იძლეოდა. ასე რომ, კომპლექტში სათადარიგო პარაშუტის შეტანა საჭირო აღარ იყო. მიუხედავად ამისა, RZ ძალზე ძნელად სამართავი იყო, მის შემოსაბრუნებლად მებრძოლს ხელ-ფეხი გამეტებით უნდა ექნია და ხშირად თანამებრძოლებისგან ან იარაღის კონტეინერებისგან შორს ვარდებოდა.

## დანაკარგი

გერმანიის საჰაერო-სადესანტო დივიზიას ძალზე დიდი დანაკარგი ჰქონდა. თუ ფორტ ებენ-ემაელის იერიშის დროს ჯგუფ „გრანიტის" 6 კაცი დაიღუპა და 20 დაიჭრა (ბელგიელთაგან 58 მოკლული და 300 დაჭრილი იყო), ნორვეგიაში გადასხდომისას 70 პარაშუტისტისაგან 28 დაიღუპა, 32 კი ინგლისელებმა ტყვედ აიყვანეს. ჰოლანდიაში ოპერაციის დროს საზენიტოებისა და გამანადგურებელი ქვედანაყოფების ცეცხლით მე-7 და 22-ე დივიზია ლამის განადგურდნენ: 8 დღის განმავლობაში 3700 კაცი დაკარგეს, ხოლო 2500 დაიჭრა. პირდაპირ მტრის პოზიციებზე გადასხდომა, ქარის არასასურველი მიმართულება, იარაღიანი კონტეინერების ძებნისას მოწინააღმდეგის უწყვეტი ცეცხლი მედესანტეების სიცოცხლეს დიდ საფრთხეს უქმნიდა.

სისხლიან სასაკლაოდ იქცა კუნძულ კრეტაზე გადასხდომა: 2 კვირაში 15000 პარაშუტისტისგან თითქმის მეოთხედი დაიღუპა, დანარჩენები დაჭრილები იყვნენ. საზენიტო ცეცხლის შიშით, პილოტები მედესანტეებს ძალზე დიდი სიმაღლიდან ყრიდნენ და მტერი მათ ჯერ კიდევ ჰაერშივე ხვრეტდა. ასეული, რომელიც ზღვისა და წყალსატევების თავზე გადასხეს, მთელი შემადგენლობით ჩაიძირა.

აღმოსავლეთის ფრონტზე საჰაერო-სადესანტო დივიზიებს ფრონტის სუსტი მონაკვეთების გასაძლიერებლად იყენებდნენ. ისევე როგორც ვერმახტის ჯარისკაცთა უმრავლესობისათვის, საბჭოთა კავშირი მესამე რაიხის ელიტური მებრძოლებისთვისაც სამარედ იქცა. მაგალითად, 1943 წლის ოქტომბერში 1-ელი საჰაერო-სადესანტო დივიზია — 6000 შეიარაღებული ჯარისკაცი, ტექნიკითა და აღჭურვილობით — რუსეთში 75 სარკინიგზო შემადგენლობით გადაიყვანეს. 1944 წლის 1-ელ ივნისს ოდესღაც მრისხანე შენაერთის ნაშთი უკვე ფრონტზე მიღებულ დამხმარე ძალებთან ერთად რაიხში 2 შემადგენლობით დაბრუნდა!

მიუხედავად ამისა, ამხელა დანაკარგს გერმანელი მედესანტეების რეპუტაცია არ შეულახავს. მათი მოქმედებებისგან გამოწვეული ფსიქოლოგიური ეფექტი ძალზე ძლიერი იყო — მტერს მათი ტყვიასავით ეშინოდა.

არდენებზე ოპერაციისას ანგლოსაქსების პანიკა მხოლოდ იმან გამოიწვია, რომ ხმა გავარდა, გერმანელები დესანტის გადმოსხმას აპირებენო. ამერიკელებმა თავიანთი შტაბბინის დასაცავად 2 დივიზია გამოყვეს, სხვა დივიზიები კი მთელ შემოგარენს აკონტროლებდნენ.

## გედის სიმღერა

ომის მსვლელობისას ვერმახტის მობილური სპეციალური ძალები 50000 მებრძოლამდე გაიზარდა. ისინი გაერთიანებული იყვნენ 2 კორპუსსა და საჰაერო-სადესანტო 5 დივიზიაში.

რაც უფრო უძნელდებოდათ გერმანელებს ბრძოლა, მით მეტი მედესანტე იბრძოდა ქვეითთა რიგებში. მაგალითად, ცნობილი მე-5 ქვეით მედესანტეთა პოლკი (3500 ხიშტი) ნორმანდიაში მძიმე შეიარაღებისა და სატრანსპორტო საშუალებების გარეშე იბრძოდა.

რაიხის საბრძოლო ხელმძღვანელობაში პანიკა იყო, შემორჩენილ ძალებს სხვადასხვა ფრონტზე ანაწილებდნენ. ნაწილები კორპუსებად აქციეს, ზოგიერთი დაშალეს, სხვა სახელი დაერქვა ან სულ სხვა მეთაურობას დაუმორჩილეს.

1944 წელს ფიურერის ბრძანებით საჰაერო-სადესანტო დივიზიები 25-მდე გაიზარდა. მხოლოდ ლიუფტვაფეს 11 დივიზია ჰყავდა. „დამრტყმელი" ძალები სოკოებივით მრავლდებოდა, უკვე არსებულთაგან ცალკეულ ბატალიონებს ადგენდნენ და მათ ახალი პოლკების ბირთვად აქცევდნენ, რომლებიც კადრების ჯარისკაცებისგან შედგებოდა.

საბრძოლო ძალის ასე გამრავლება ჰიტლერის ბუნკერში რეალობის აბსოლუტურ დაკარგვაზე მიუთითებდა. ფიურერი ერთი დამრტყმელი საჰაერო-სადესანტო ბატალიონისგან სამ სრულყოფილ ქვეითთა ბატალიონის შექმნასა და მხოლოდ გამარჯვებებს ითხოვდა!

მაგრამ ძალთა გადანაცვლებით ჯამი ხომ არ იცვლება?! მეტიც, სულ უფრო მცირდებოდა: დანაკარგი იზრდებოდა, სასწავლო ბატალიონები და საპარაშუტო სკოლები საკმარის ცვლას ვერ ამზადებდნენ, ამიტომ მომზადების კურსი შემცირდა, არმიაში კი სულ უფრო და უფრო ყმაწვილ რეკრუტებს იწვევდნენ. საბრძოლო ნაწილების შესავსებად შტაბების, სამმართველოების, დამხმარე სამსახურების თანამშრომლებს იყენებდნენ. ასაკოვან ჯარისკაცებს მხოლოდ ერთი არჩევანი ჰქონდათ: ან პარაშუტისტებად, ან ერთ-ერთ საველე დივიზიაში უნდა ჩაწერილიყვნენ. 16 წლის ჯარისკაცები ულუფაზე დამატებით ნახევარ ლიტრ რძეს იღებდნენ დღეში; უმრავლესობას საპარაშუტო მომზადება სულ არ ჰქონდა გავლილი, უამრავ პოლკს მხოლოდ სახელად ერქვა სადესანტო. 1944 წლის ზაფხულიდან 30 ხიშტისგან შემდგარი ასეული სავსებით ბრძოლისუნარიანად ითვლებოდა, პოლკებში ხშირად 200 კაცსაც ვერ უყრიდნენ თავს. ჯარებმა ელიტურობის ხარისხი დაკარგეს, მათ შემადგენლობაში თითო-ოროლა „მწვანე ეშმაკი" თუ იყო შემორჩენილი, ძირითად მასას ჰიტლერიუგენდის ფანატიკოსები შეადგენდნენ. ისინი 1945 წელსაც კი თავგამოდებით იბრძოდნენ. ხელმძღვანელობამ სცადა მათი ფსიქოლოგიური მდგომარეობა (კამიკაძე) ჩრდილო იტალიაში ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების მასირებული იერიშისთვის გამოეყენებინა. სწორედ აქედან წარმოებდა რაიხის ხალიჩისებური დაბომბვა (ოპერაცია „სკები"), მაგრამ საამისო დროც არ ჰქონდათ.

სადესანტო ნაწილები უკვე ბრძოლით იკაფავდნენ გზას დასავლეთისკენ, ამერიკელთა ტყვეობაში. კორპუსმა „ჰერმან გერინგმა", ელიტამ ელიტათა შორის, ეს ვერ მოახერხა, — დრეზდენთან მას ალყა შემოარტყეს და რუსებს ჩაბარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრაქტიკული სროლა

## ოსტატობის საიდუმლოებანი

პრაქტიკული სროლა სასროლო სპორტის ერთ-ერთი ყველაზე სახალისო სახეობაა, მისი შეჯიბრებები მეტად სანახაობრივი, დინამიკურია და დღესასწაულს ჰგავს. შეჯიბრებაზე პისტოლეტებსა და რევოლვერებს, გლუვლულიან იარაღსა და გადაჭრილ კარაბინებს ისვრიან. პისტოლეტის სროლის ტექნიკა ყველაზე მეტად საინტერესო და რთულია. ალბათ, ძნელად მოიძებნება სპორტის სახეობა, რომელიც ამგვარ ნერვების დაძაბვას, ინტელექტის კონცენტრაციასა და სპორტსმენის ენერგიის ხარჯვას მოითხოვს.

### სტატიკური მიზნის განადგურება

პრაქტიკული სროლის საერთაშორისო კონფედერაციის მუყაოს სამიზნეებზე ჩასათვლელი ზონები ნახვრეტებით ისეა გამოყოფილი, რომ განსაზღვრული მანძილიდან არ ჩანდეს. როგორც კლასიკურ, ასევე მეტრულ მუყაოს სამიზნეს გეომეტრიული ცენტრის ოდნავ ზემოთ უნდა დაუმიზნოთ, იმ ადგილას, სადაც უმაღლესი ჩასათვლელი ზონა A-ს ცენტრია.

მოხვედრის გაკონტროლება სროლისას მსროლელის შეგრძნებასა და დაკვირვებაზეა დამოკიდებული. მსროლელი მოხვედრის ადგილს კუნთების შეგრძნებებისა და სროლის მომენტში სასროლი მოწყობილობების განლაგების მიხედვით ირჩევს. მიზნებზე, რომლებიც 20მ-ის სიშორეზე დგას, ტყვიის ნახვრეტების მონიშვნა ვიზუალურად შეიძლება (მსროლელის მხედველობის სიმახვილის მიხედვით). შეჯიბრებებზე მუყაოს მიზნები შეიძლება 1-დან 50მ-ის სიშორეზე იდგეს.

ვარჯიშის დროს ხშირად იყენებენ მიზნებს, სადაც ჩასათვლელი ზონის ერთ ნაწილს საჯარიმო მიზანი — „მყარი“ ან „რბილი“ საფარი ფარავს. საშუალო და შორ დისტანციაზე ასეთ მიზნებს დამიზნების პირველი ვარიანტის გამოყენებით აზიანებენ. ამასთან, დამიზნება ჩასათვლელი ზონის ღია სექტორის გეომეტრიულ ცენტრზე უნდა მოხდეს. ასეთ შემთხვევებში არ არის რეკომენდებული უმაღლესი ჩასათვლელი ზონის მიზანში ამოღება, რადგან სროლის დრო გაიზრდება, ამასთან, აცილების და რაც უფრო უარესია, საჯარიმო მიზნის დაზიანების რისკი არსებობს.

შეჯიბრებაზე მეტად საინტერესოა გამოცდილი მსროლელის ასპარეზობისთვის თვალის დევნება. შესაძლოა, ზოგჯერ შენიშნოთ, რომ სპორტსმენი ნაცვლად ორი სავალდებულო გასროლისა მუყაოს მიზანს ზედიზედ სამჯერ ესვრის და ტემპის დაუგდებლად აგრძელებს სავარჯიშოს შესრულებას. ეს იმას ნიშნავს, რომ სპორტსმენი გასროლისთანავე მიხვდა, რომ ცუდად ისროლა და მაშინვე კიდევ ერთი გასროლა მიაყოლა შეცდომის გამოსასწორებლად.

ფოლადის თეფშებს ცენტრში უნდა დაუმიზნოთ. პეპერ-პოპერები და კლასიკური პოპერები გარშემოწერილობის ცენტრში უნდა დააზიანოთ, ის მიზნის ზედა ნაწილშია განთავსებული.

შეჯიბრებაზე პოპერებს იმგვარად აკალიბრებენ, რომ გარშემოწერილობის ზედა ნაწილში მცირე კალიბრის პისტოლეტის გასროლით მიზანი ჩამოვარდეს, გარშემოწერილობის ქვემოთ მოხვედრისას კი მიზანი უძრავად უნდა დარჩეს.



სადუელო სროლაში საკონტროლო მიზნის დაზიანებისას მსროლელი ზედიზედ რამდენჯერმე ისვრის და ამით პოპერის ჩამოვარდნას აჩქარებს. ზოგჯერ ეს ორთაბრძოლის მოგებაში ეხმარება. ფოლადის მიზანში მოხვედრისას გაისმის მეტალის მეტალზე მოხვედრის დამახასიათებელი ხმა, რაც მიზნის განადგურების გარანტია სულაც არ არის. პრაქტიკულ სროლაში ჩათვლის მისაღებად მიზანი აუცილებლად უნდა ჩამოვარდეს. ფოლადის მიზნების დაზიანებისას ვიზუალური კონტროლი მეტად მნიშვნელოვანია.

პოპერები გაცილებით მძიმე ფოლადის თეფშებზე და ამიტომაც დიდი ინერტულობა ახასიათებს. სიმძლავრის მინორული ფაქტორის ტყვიის (9.19) პოპერში მოხვედრის შემდეგ საჭიროა დრო, რომ მიზანმა ვარდნა დაიწყოს.

ფოლადის მიზნები შეჯიბრებებზე ერთფერადაა შეღებილი. თითოეული მსროლელის ასპარეზობის შემდეგ მიზანს ღებავენ. როგორც კი მიზანს დააზიანებს, მსროლელს შეუძლია მაშინვე დააფიქსიროს მის ზედაპირზე მუქი ლაქა. თუ მიზანი შავად არის შეღებილი, მაშინ ლაქა რუხი იქნება ტყვიაში შემავალი ტყვიის გამო.

პრაქტიკულ სროლაში პისტოლეტით შეჯიბრებაში ფოლადის მიზნები 8-დან 50მ მანძილზე უნდა იყოს განლაგებული. სპორტსმენები ფოლადის მიზნების დაზიანებას სამი ფაქტორის მიხედვით აკონტროლებენ: 1. გასროლისას მოხვედრის წერტილის განსაზღვრა დასამიზნებელი მოწყობილობების განთავსებისა და კუნთების მუშაობის მიხედვით; 2. მიზანში ტყვიის მოხვედრის ადგილის ვიზუალური გაკონტროლება; 3. მოხვედრის ხმოვანი კონტროლი.

უნდა შევნიშნოთ, რომ გასროლის შემდეგ მსროლელს არ აქვს დგომისა და მოხვედრის ადგილის განსაზღვრის დრო. ის გასროლის შემდეგ წამის რაღაც ნაწილში აკონტროლებს ტყვიის მოხვედრას ზემოჩამოთვლილი სამი ფაქტორის გათვალისწინებით.

საშუალო და შორ მანძილებზე სავარჯიშოებში არის რამდენიმე სასროლი პოზიცია. თითოეულში შეიძლება რამდენიმე ფოლადის მიზანი იდგეს. ერთი სასროლი პოზიციის დაზიანების შემდეგ მსროლელი სწრაფად უნდა გადავიდეს მეორეზე. ფოლადის ყველა სამიზნის ჩამოგდებას თუ დაელოდება, შეჯიბრების შედეგს გაიუარესებს. „თამაშის გეგმა" ისე უნდა შეადგინოს, რომ მოცემული სასროლი პოზიციის დაზიანების შემდეგ მიზნის ჩამოვარდნა დროის დაკარგვის გარეშე გააკონტროლოს.

## მოძრავი მიზნების დაზიანება

შეჯიბრებაზე ხშირად ნახავთ რამდენიმე მოძრავ მიზანს. მათი დაყოფა სამ ჯგუფად შეიძლება: 1. მიზნები, რომლებიც წრფეს ახლომდებარე ტრაექტორიაზე მოძრაობენ; 2. მოქანავე მიზნები, ე.წ. სვინგერები და ბობერები; 3. მიზნები, რომლებიც მხოლოდ ერთხელ გამოჩნდება და ქრება — ე.წ. ბონუსები, რომლებიც აცდენის გამო არ ჯარიმდება.

ყველა მოძრავი მიზანი მსროლელმა სასტარტო სიგნალის შემდეგ უნდა გააქტიუროს. ყველაზე ხშირად პოპერებს იყენებენ. დაზიანებისას პოპერი ვარდება და თასმის ან გვარლის მეშვეობით მოძრავ მიზანს ააქტიურებს. გასააქტიურებლად გამოიყენება კარი, გამოსაწევი უჯრები, პედლები, ბერკეტები ან უბრალოდ თოკები.

## წრფეზე მოძრავი მიზნების დაზიანება

ყველაზე იოლ დასაზიანებლად ითვლება ის მიზნები, რომლებიც წრფეზე მოძრაობენ. 10მ-ის სიშორიდან ასეთი მიზნების დაზიანებისას დასწრება არ არის საჭირო. პისტოლეტი მიზანთან ერთად უნდა ატაროთ, დასამიზნებელი მოწყობილობის მოხვედრის ადგილთან შეთავსებით. იმავდროულად, მსროლელი არჩევს სასხლეტის თავისუფალ სვლას. როცა დასამიზნებელი მოწყობილობები ერთმანეთს შეეთავსება, სასხლეტს დაუშვებს და გაისვრის.

10მ-ზე მეტი სიშორიდან კი საჭიროა დასწრება, იმისდა მიხედვით, რა სიჩქარით მოძრაობს მიზანი. დასწრება — ნიშნავს დამიზნების წერტილის მოხვედრის ადგილზე წინ გამოტანას მიზნის მოძრაობისდაკვალად. სხვანაირად თუ ვიტყვით, სანამ ტყვია მიზნისკენ მიქრის, მიზანი მასთან შეხვედრის ადგილამდე მიდის. მოძრავი მიზნისთვის დასწრებით სროლა ისევე ხდება, როგორც პირველ შემთხვევაში. ოღონდ მიზნის ცენტრთან დასამიზნებელი მოწყობილობის შეთავსების შემდეგ პისტოლეტს მსროლელი წინ გამოსწევს მოცემული დასწრების მოძრაობის მიხედვით. მოძრავი მიზნების დაზიანებისას ზედმიწევნით უნდა დაამუშაოთ სასხლეტი. უნდა გახსოვდეთ, რომ დასწრებისას დამიზნების წერტილის წინ გამოტანა აუცილებლად მოძრაობის ხაზის მიხედვით უნდა მოხდეს.

დასწრება ცდის გზით უნდა განსაზღვროთ. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ შეჯიბრებაზე მოძრავი მიზნის დანახვისას შეგეძლოთ დასწრების სიდიდის განსაზღვრა.

სავარჯიშოდ კარგია „მორბენალი ტახის" ტიპის მულტიჩქაროსნული დანადგარის გამოყენება. ის მიზნების დანადგარზე მაგრდება და სხვადასხვა სიჩქარით მოძრაობს. სხვადასხვა მანძილიდან მიზნების დაზიანებისას მსროლელი განსაზღვრავს დასწრების სიდიდეს. მონაცემები სასურველია ჩაიწეროთ. დასწრების სიდიდე შეიძლება გამოთვალოთ. ამისათვის უნდა იცოდეთ მიზნის მოძრაობისა და ტყვიის ფრენის სიჩქარეები და მანძილი მსროლელიდან მიზნამდე. უფრო უკეთესია, თუ დასწრების სიდიდეს თვალით, გამოცდილებისამებრ განსაზღვრავთ. ნუ შეგაშინებთ თქვენკენ მომავალი, წინ და უკან მოძრავი მიზნები. მთავარია, სწორად გათვალოთ გასროლის დრო და მომენტი. დიაგონალზე მოძრავი მიზნები ისევე ზიანდება, როგორც ფრონტზე მოძრავი.

## მოქანავე მიზნების დაზიანება

მოქანავე მიზნების (სვინგერების) დაზიანების სირთულე დამოკიდებულია მოძრაობის სიჩქარეზე, დაშორების მანძილსა და ქანაობის ტრაექტორიის სექტორზე, რომელშიც მიზანი ჩანს.

ვთქვათ, მოქანავე მიზანი საფრიდან გამოჩნდა, მიდის მკვდარ წერტილამდე და ისევ საფარს უბრუნდება. მიზანი შეიძლება გამოჩნდეს როგორც მარჯვნიდან, ასევე მარცხნიდან. სავარჯიშოს დაწყებამდე, როგორც წესი, მოძრავი მიზნების დემონსტრირება ხდება. ამ დროს მიზნები უნდა მონიშნოთ, — რა ადგილას იქნება, როცა მკვდარ წერტილზე გაჩერდება.

მიზნის გააქტიურების შემდეგ სავარჯიშოს შესრულებისას, ჯერ კიდევ მიზნის გამოჩენამდე, დასამიზნებელი მოწყობილობა მონიშნულ ადგილს უნდა შეუთავსოთ. მერე იწყება სასხლეტის თავისუფალი სვლის ამორჩევა. გასროლა მიზნის მკვდარ წერტილში მდებარეობისას უნდა მოხდეს. უნდა დაუმიზნოთ მიზნის გეომეტრიულ ცენტრს.

ჩვეულებრივ, მუყაოს მიზნები ორი გასროლით უნდა დააზიანოთ. გამოცდილი მსროლელები მიზნის ერთ გამოჩენაზე ორ გასროლას აკეთებენ. დამწყებთათვის რეკომენდებულია მიზნის თითოეული გამოჩენისას ერთი გასროლა. თუ დარწმუნებული არ ხართ, რომ მეორე გასროლით მოახვედრებთ, უმჯობესია, მიზნის ხელმეორე გამოჩენას დაელოდოთ და კიდევ ერთხელ გაისროლოთ. უმჯობესია 1-2 წამი დაკარგოთ დამატებით გასროლაზე, ვიდრე აცდენისთვის დაჯარიმდეთ.

შემდეგი შემთხვევა — როცა მიზნის ქანაობის ტრაექტორია მხოლოდ ცენტრალურ ნაწილშია ღია.

ამ დროს მიზნის მოძრაობის სიჩქარე მაქსიმუმს აღწევს. მიზანი გაუჩერებლად გაიელვებს, ის მხოლოდ წამზე ნაკლებით არის ხილვადი. ასეთი მიზნები ერთი გასროლით ზიანდება, ყოველი გამოჩენისთანავე. პისტოლეტის ღია კლასში მსროლელები ზოგჯერ ასეთ მიზნებს ერთი ჩავლისას ორი გასროლით აზიანებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




**მსროლელს სულ 0,5 წამი აქვს, რომ მუყაოს ბონუს-მიზანი დააზიანოს. ამ სავარჯიშოზე 3 ასეთი მიზანია, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით 1,5 წამის განმავლობაში გამოჩნდება. მსოფლიო ჩემპიონატი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, 2005 წ.**

ასეთი მიზნების დაზიანება რომ ისწავლოთ, შეგრძნებებით უნდა განსაზღვროთ გასროლის მომენტი. მთავარია, არ დაიძაბოთ და ნუ შეგაშინებთ მიზანი. თუ დაგეჭვებთ მიზნის დაზიანება, ხელმეორედ გაისროლეთ. სავარჯიშოს შესრულებისას ნუ ინაღვლებთ დროის დაკარგვასა და პროცედურის დარღვევაზე. ანალიზის გარეშე ისროლეთ. შეასრულეთ „თამაშის გეგმა“. გახსოვდეთ: ყველა მსროლელი თანაბარ პირობებშია.

## ერთჯერადად ხილული და მიმალული მიზნები

დრო არ უნდა დახარჯოთ ერთჯერადად ხილულ და მიმალულ მიზნებზე. ასეთი მიზნები იშვიათად არის სავარჯიშოებში. მათი დაზიანების შედეგიანობა თქვენი სასროლი ოსტატობის საერთო დონეზეა დამოკიდებული. აცდენის შემთხვევაში, ჯარიმა არ დაგერიცხებათ, ამიტომაც უწოდებენ მათ ბონუსებს. მთავარია, მიზნის გამოჩენის მოკლე მონაკვეთში ორი დამიზნებითი სროლა მოასწროთ. დიდ შეჯიბრებზე, ალბათ, შეხვდებით მოძრავი მიზნების ყველა სახეობას. სასროლი ამოცანა რომ გაართულონ, ხშირად დიზაინერები მოძრავ მიზნებს საჯარიმო მიზნებსაც ამატებენ.

## გაორმაგებული გასროლა

პრაქტიკულ სროლაში პისტოლეტით სროლის სავარჯიშოების შესრულებისას მუყაოს მიზნები ხშირად ორი გასროლით ზიანდება. თუ მუყაოს მიზანი სამი ან მეტი გასროლით დაზიანდა, მხოლოდ ორი საუკეთესო მოხვედრა ჩაგეთვლებათ.

საიდან გაჩნდა მიზნის ორი გასროლით დაზიანების აუცილებლობა? პოლიციის პრაქტიკა ცხადყოფს: ნარკოტიკით ან სასმლით გაბრუებული აგრესორი რომ შეაჩერო, არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი გასროლა, თუნდაც ეს 45 კალიბრის პისტოლეტი იყოს. ხშირად მხოლოდ ორი და მეტი გასროლა აჩერებს ბოროტმოქმედს. ამიტომაც პრაქტიკულ სროლას საბრძოლო სროლისგან „მემკვიდრეობით“ გადაეცა წესი, რომლის თანახმადაც მიზანი სულ ცოტა ორი გასროლით უნდა დაზიანდეს. თუმც, ეს ყოველთვის არ არის აუცილებელი პირობა. შეჯიბრებაზე შეიძლება შეგხვდეთ სავარჯიშო, სადაც მიზნის დაზიანება მხოლოდ ერთი გასროლით არის საკმარისი. პრაქტიკული სროლის ერთ-ერთი პრინციპთაგანია მრავალფეროვნება.

ზოგიერთი დამწყები მსროლელი გააკეთებს თუ არ ორ სწრაფ გასროლას, იმ იმედით, რომ ერთხელ მაინც მოახვედრა, იმედგაცრუებული რჩება — მიზანი არ დაუზიანებია.

თუ გამოცდილ მსროლელს დააკვირდებით, შესაძლოა, მოგეჩვენოთ, რომ ამას ის დაუმიზნებლად აკეთებს. ეს მოჩვენებითი შთაბეჭდილებაა. ასპარეზობის ვიდეოჩანაწერს თუ ყურადღებით გააანალიზებთ, შენიშნავთ, რომ მოკლე დისტანციაზე მსროლელი ძალზე სწრაფად აკეთებს გაორმაგებულ გასროლას, რაც პრაქტიკულად ერთ გასროლად აღიქმება. საშუალო დისტანციაზე (8-15მ) „წყვილი“ უფრო შესამჩნევია, შორ დისტანციაზე კი (20-30მ) ეს ორი ცალკე გასროლა იქნება. თუმც გამოუცდელი მეთვალყურე განსხვავებას ვერ შეამჩნევს. თუ მიზნებს დაათვალიერებთ, ყველა მათგანზე შეამჩნევთ ერთმანეთთან ახლოს განლაგებულ ორ ნახვრეტს. ზოგჯერ ნატყვიარებს შორის მანძილი 1-2სმ-ს აღწევს. ასეთ „წყვილებს“ ხუმრობით „თაგვის თვალებს“ უწოდებენ, არსებობს კიდევ „ტარაკანები“. მაგრამ მაღალ სიზუსტეს სროლის სისწრაფე არ უნდა ანაცვალოთ. საკმარისია, ისწავლოთ მიზნის ზონა A-ში („ალფა“) ორჯერ მოხვედრა.

სტაბილურ შედეგს რომ მიაღწიოთ და მიზანი ორჯერ დააზიანოთ, აუცილებლად უნდა იცოდეთ: გაორმაგებული გასროლა — ორი დამიზნებითი გასროლაა. ეს ნიშნავს, რომ მსროლელი ყოველთვის უნდა ხედავდეს დასამიზნებელ მოწყობილობას, როცა ისვრის. თუ ამას არ გაითვალისწინებს, სტაბილურ შედეგს ვერ მიაღწევს. გამონაკლისია შემთხვევა, როცა ღია მიზანი 7მ-ზე ახლოსაა განთავსებული. მოკლე დისტანციებზე დამიზნების მესამე ვარიანტი გამოიყენება. მსროლელი აკეთებს პირველ გასროლას ნიშნის გაკონტროლებასთან ერთად, მეორე გასროლა კი უკვე დამიზნების გარეშე მიჰყვება. გაორმაგებული გასროლის გაკეთების ასეთი ხერხი შეიძლება გამოიყენოთ მაშინ, როცა გამოცდილებას შეიძენთ. ამერიკელები მიზნის დაზიანების ამ ხერხს hammers-ს (სატეხულას) უწოდებენ.

გაორმაგებულ სროლაში ვარჯიში ორი ცალკეული დამიზნებითი გასროლით უნდა დაიწყოთ. უნდა ივარჯიშოთ მოკლე, საშუალო და შორ დისტანციებზე. დამწყებ მსროლელებს, შესაძლოა, ამ დროს შეექმნეთ შთაბეჭდილება, რომ რაც უფრო ძლიერად წაავლებენ ხელს პისტოლეტის ტარს, მით შედეგიანი იქნება გასროლა. ასე რომ იყოს, შვარცენეგერი მსოფლიო ჩემპიონი იქნებოდა. არ შეიძლება პისტოლეტის ტარის მთელი ძალით ჩაბღაუჭება. პისტოლეტი უნდა გეჭიროთ ბუნებრივად, ძლიერი ხელით, დაძაბულობის გარეშე, როგორც, მაგალითად, ჩაქუჩი, როცა ლურსმანს აჭედებთ. მხრები მოდუნებული უნდა გქონდეთ. პისტოლეტი გიჭირავთ „თვალი-მიზნის“ ხაზზე. გასროლის შემდეგ პისტოლეტი „კუნთოვანი კორსეტის“ მოქმედებით თავად დაუბრუნდება საწყის მდგომარეობას და შეგიძლიათ მეორე გასროლაც გააკეთოთ.

გაორმაგებული გასროლის შესასწავლად შეიძლება გამოიყენოთ ისეთი სტანდარტული სავარჯიშოები, როგორიცაა „ბილ-დრილი“ (6 გასროლა ერთ მიზანში). გაორმაგებული გასროლის გავარჯიშება აუცილებელია მოძრაობისას.

კარგი იქნება, თუ ორ გასროლას შორის დროს აღნიშნავთ. გასროლის სიჩქარეზე ზეგავლენას ახდენს მსროლელის გამოცდილება და უფრო ნაკლებად, იარ-

ალის ხარისხი. მსროლელები, რომლებიც ოსტატების რანგში გამოდიან, საშუალოდ 0,15-0,19 წამის ინტერვალით ისვრიან. ფიზიკური ზღვარი სადღაც 0,08-0,10 წამს შორის მერყეობს.

გაორმაგებულ გასროლაზე ზედმეტად ნუ მოახდენთ ყურადღების კონცენტრაციას. ეს მხოლოდ და მხოლოდ ერთ მიზანში ორი გასროლაა. მსროლელს სხვა ბევრი ამოცანაც აქვს. ისინი არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ეფექტიანი წყვილად გასროლა.

## მიზნების სწრაფი და ეფექტიანი დაზიანების მეთოდიკა

**სავარჯიშო №21. მოხვედრის ადგილების განსაზღვრა.**

ასრულებენ ვაზნებითა და ტაიმერით. სავარჯიშოს დანიშნულებაა ტყვიის მოხვედრის ადგილის სწორად განსაზღვრის უნარის გამომუშავება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სროლის შეგრძნების განვითარება.

სტარტი. ხმოვანი სიგნალი.

სასტარტო პოზიცია. მსროლელი პირით მიზნისკენ დგას. დატენილი პისტოლეტი ორივე ხელით უჭირავს მზის წნულის დონეზე, ლულით — მიზნისკენ, იდაყვები სხეულის გვერდებს ეხება. საჩვენებელი თითი ლულის პარალელურად, სასხლეტგარეთაა.

შესრულების წესი. ხმოვანი სიგნალისთანავე მსროლელი პისტოლეტს მიზანს დაუმიზნებს და ესვრის. შემდეგ მიზნის დაუთვალიერებლად ასახელებს იმ ადგილს, სადაც ტყვია მოხვდა. თავდაპირველად ეს იქნება მიახლოებითი განსაზღვრება: მაგალითად, „ცენტრის ქვემოთ“, „მიზნის მარჯვენა კიდე“ და ა.შ. შემდეგ სამჯერ მილში გაიხედავს და თავის ვარაუდს მოხვედრის ადგილს ადარებს. გამოცდილების შეძენისდაკვალად სპორტსმენს უნდა შეეძლოს უფრო ზუსტი კოორდინატის მითითება, მაგალითად: „D 5 საათზე“, „ზონა A-ს ზედა ნაწილი“...

**სავარჯიშო 25. მოქანავე მიზნის დაზიანება.**

ასრულებენ ვაზნებითა და ტაიმერით. ტაიმერი მხოლოდ სასტარტო სიგნალის მისაცემად არის საჭირო.

სავარჯიშო განკუთვნილია მოქანავე მიზნის დაზიანების ტექნიკის სრულსაყოფად.

მოქანავე მიზანი საფრის იქით დგას. ისე, რომ ქანაობისას მხოლოდ ერთი მხრით ჩანს. მიზნის გასააქტიურებლად, 3-5მ მანძილზე, ფრონტის გასწვრივ დგამენ პოპერს. პოპერი მიზანზე ოდნავ წინ უნდა იყოს, რომ პოპერის ზედაპირზე მოხვედრილმა ტყვიის ნამსხვრევებმა არ დააზიანოს მიზანი და გამააქტიურებელი თასმა. თუ მიზანი საფრიდან მარცხენა მხრიდან გამოვა, მაშინ უმჯობესია პოპერიც მარცხნივ იყოს. პოპერამდე მანძილი 8მ-ს უნდა შეადგენდეს, მოქანავე მიზნამდე — 9მ-ს.

სასტარტო პოზიცია. მსროლელი პირით მიზნისკენ დგას. ხელები ჩამოშვებული აქვს. დატენილი პისტოლეტი ბუდეშია. ვაზნა — სავაზნეში, დამცველზე.

შესრულების წესი. ხმოვანი სიგნალისთანავე მსროლელი დააძრობს პისტოლეტს, პოპერს დააზიანებს და მაშინვე დაუმიზნებს იმ ადგილს, სადაც უნდა გამოჩნდეს მოქანავე მიზანი, თან სასხლეტის თავისუფალ სვლას ირჩევს. მიზნის გამოჩენისთანავე გაისვრის. დაუცდის მიზნის მორიგ გამოჩენას და სასხლეტს თავისუფალ სვლას შეურჩევს. მიზნის გამოჩენისთანავე ისვრის. ასე რომ, მიზანს აზიანებს მანამ, სანამ ვაზნები არ გამოელევა. მერე მჭიდს ამოიღებს, იარაღს განმუხტავს და ბუდეში ათავსებს. აიღებს წებოვან ლენტს და მიზნისკენ მიემართება. აუცილებელია ნატყვიარების დათვლა ქაღალდის მიზანზე და მათი რაოდენობის შედარება ვაზნებისას. პოპერზე სროლის გათვალისწინებით, უნდა განისაზღვროს აცდენებიც. ამავდროულად, მსროლელმა მიზანზე ნატყვიარების განთავსება და საკუთარი შეგრძნებები უნდა გააანალიზოს. შეიგრძენო თუ არა მოხვედრა და აცდენა? მერე ნატყვიარებს დააწებებს, მიზანს გააქტიურებს და გააგრძელებს ვარჯიშს.

თუკი დარწმუნდებით, რომ ამ სავარჯიშოს უნაკლოდ ასრულებთ, უნდა გაართულოთ, — ყოველი გამოჩენისთანავე მიზანს ორ-ორჯერ ესროლეთ. შეცვალეთ მიზნის გამოჩენის მიმართულება. გადადგით პოპერი მარჯვნივ და „სვინგერი“ ისე დადგით, რომ მიზანი მარჯვნიდან გამოჩნდეს. გაზარდეთ მანძილი მიზნამდე.

**სტანდარტული სავარჯიშო №27. ბილ-დრილი.**

ასრულებენ ვაზნებითა და ტაიმერით. ბილ-დრილი ფართოდ გავრცელებული სავარჯიშოა ჩქაროსნულ სროლაში ნიშნის გასაკონტროლებლად. ამ დროს აუცილებელია სწრაფი გაორმაგებული სროლა. იყენებენ მუყაოს მიზანს ან ფოლადის გონგს, ზომით 60X40სმ. მუყაოს მიზანს 7მ-ის სიშორეზე დგამენ, გონგს, — 8მ-ზე. ეფექტიანი წვრთნისათვის უმჯობესია გონგის გამოყენება. ჩათვლისათვის მუყაოს მიზანი გამოიყენება. არ დაგავიწყდეთ დამცავი სათვალისა და საყურისების გაკეთება!

სასტარტო პოზიცია. მსროლელი დგას პირით გონგისკენ. ხელები ჩამოშვებული ან ზემოთ აწეული აქვს. დატენილი პისტოლეტი ბუდეშია, ვაზნა — სავაზნეში, დამცველზე.

შესრულების წესი. ხმოვანი სიგნალისთანავე მსროლელი დააძრობს პისტოლეტს და მიზანს ექვსჯერ ესვრის. პისტოლეტს დამცველზე აყენებს და ბუდეში ათავსებს.

მსროლელმა ტაიმერზე უნდა შეამოწმოს საერთო, პირველი გასროლისა და გასროლებს შორის (სპლიტი) დრო. გონგზე ნატყვიარები ჩანს. გააანალიზეთ თითოეული, შეადარეთ ისინი თქვენს შეგრძნებებს გასროლისას. თუ გაქვთ დაყოვნება ან აცდენები, შეადარეთ ისინი თქვენს შთაბეჭდილებებს გასროლისას. გაიმეორეთ სავარჯიშო. გასროლების რამდენიმე სერიის შემდეგ განმუხტეთ იარაღი და ბუდეში მოათავსეთ. გონგი შეღებეთ.

ჩაითვლება მხოლოდ ზონა A-ში მოხვედრა. მიზანი იმდენად სწრაფად უნდა დააზიანოთ, რამდენადაც შეგიძლიათ დასამიზნებელი მოწყობილობების გაკონტროლება. დამიზნება მეორე ვარიანტის მიხედვით ხდება. თითოეული გასროლის



სპორტსმენი აზიანებს ორ მოქანავე მიზანს, რომლებიც ერთდროულად გამოჩნდა. ფილიპინების ღია ჩემპიონატი, მანილა, 2004 წ.

ელექტრონული ბიბლიოთეკა



**სპორტსმენი ელვისუსწრაფესად აზიანებს ახლო მიზნებს, თითოეულს — ორ-ორი გასროლით, შემდეგ კი ესვრის შორ მიზნებს. მათ შორის ერთი მოქანავეა. მსოფლიო ჩემპიონატი. ეკვადორი, 2005წ.**

შემდეგ დასამიზნებელი მოწყობილობა მიზანს უნდა შეუთავსოთ და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოთ მორიგი გასროლა. პისტოლეტი დაუძაბავად უნდა გეჭიროთ, ნუ შეგაშფოთებთ ლულის მაღლა ასროლა უკუცემისას. თუ სწორად, ზედმეტი დაძაბვის გარეშე გიჭირავთ პისტოლეტი, დასამიზნებელი მოწყობილობა თავის ადგილს თავად დაბრუნდება. ამ სავარჯიშოსათვის კარგი დრო 2 წამის ფარგლებში მერყეობს.

სავარჯიშო შეასრულეთ 3, 10, 15, 20 და 25 მ-ის სიშორიდან. ჩასათვლელად სავარჯიშოს მუყაოს მიზანზე ასრულებენ. ჩასათვლელი სერიების შედეგები ცხრილში შეაქვთ.

**სავარჯიშო №28. ორ მიზანზე სიჩქარეთა შეცვლა.**

ასრულებენ ვაზნებითა და ტაიმერით. სავარჯიშოს დანიშნულებაა ახლო მიზნიდან შორეულზე იარაღის გადატანისას სროლის სიჩქარის ცვლის ტექნიკის სრულყოფა. მუყაოს მიზანი 3-5მ-ის სიშორეზე დგას, 30სმ დიამეტრის ფოლადის გონგი კი 25მ-ზე.

სასტარტო პოზიცია. მსროლელი დგას პირით მიზნისკენ. ხელები ჩამოშვებულია. დატენილი პისტოლეტი ბუდეშია. ვაზნა — სავაზნეშია, დამცველზე.

შესრულების წესი. ხმოვანი სიგნალისთანავე მსროლელი დააძრობს პისტოლეტს და ერთი გასროლით დააზიანებს გონგს, შემდეგ დაბრუნდება და ორი გასროლით მუყაოს მიზანს დააზიანებს. მიზნებს დააზიანებს მანამ, სანამ მჭიდში ვაზნები გაუთავდება. სროლის დამთავრების შემდეგ პისტოლეტს განმუხტავს და ბუდეში მოათავსებს. ტაიმერზე ამოწმებს შორ და ახლო მიზნებზე იარაღის გადატანის დროს და შეადარებს მას ახლო და შორ მიზნებზე გადატანის დროს. პირველ შემთხვევაში გადატანის დრო გაცილებით ნაკლები უნდა იყოს. გონგის დაზიანებისას დამიზნების მესამე ვარიანტი გამოიყენება. თუ მსროლელი გონგს ააცდენს, აუცილებელია გაიმეოროს გასროლა და მიზანი დააზიანოს. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა დააზიანოს მუყაოს მიზანი. სროლის სიჩქარის გაზრდისას არ მოდუნდეთ. გაისროლეთ ნიშნის გაკონტროლებასთან ერთად. მუყაოს მიზანი მხოლოდ ზონა A-ში დააზიანეთ.

## დამახასიათებელი შეცდომები და მათი გამოსწორების მეთოდები

მოქანავე მიზნებზე სროლის მთავარი მტერი სროლისას პისტოლეტის დაბლა დახრაა. სვინგერის დაზიანებისას მსროლელს დრო შეზღუდული აქვს, იძაბება, ცდილობს, სწრაფად ისროლოს.

პრობლემა. მაღალი სიჩქარით სროლისას სასხლეტზე სწრაფი განმეორებითი დაჭერისას გასროლა არ ხდება.

შეცდომა. ეს შეცდომა დამახასიათებელია ახლო დისტანციებზე ჩქაროსნული სროლისათვის. მიზეზი სასხლეტზე მაგრად მოჭიდებაა. ეს მაშინ ხდება, როცა მსროლელს ხელის მტევანი ზედმეტად დაძაბული აქვს. აღელვებული სპორტსმენი პირველი გასროლის შემდეგ ცდილობს სწრაფად გააკეთოს მეორე. დაძაბულობით შეზღუდული თითი სასხლეტზე დაჭერის შემდეგ აღარ აკეთებს უკუმოძრაობას. ბუნებრივია, გასროლა არ ხდება, რადგან სასხლეტი უკიდურეს უკანა მდგომარეობაშია. ახლო მანძილზე განთავსებული მიზნების სირბილით დაზიანებისას მსროლელი ორის ნაცვლად ერთ გასროლას აკეთებს და ინერციით მიზანს წინ ჩაურბენს. მერე უკან დაბრუნება და მიზნის ხელმეორედ დაზიანება უხდება. ზოგჯერ გამოუცდელი სპორტსმენი ინერციით ჩაურბენს მიზანს და მეორე გასროლის გაუკეთებლად უკან მობრუნდება, რომ შეცდომა გამოასწოროს და ამასობაში უსაფრთხოების კუთხეს არღვევს. ამისათვის მას დაუყოვნებლივ დისკვალიფიკაციას აძლევენ.

ამ შეცდომას თავს დააღწევთ, თუ სტარტის წინ კუნთების დაძაბულობას მოიხსნით და სავარჯიშოს შესრულებისას კუნთებს გააკონტროლებთ. ამ სავარჯიშოს შესრულება სასურველია 3-5მ-ის სიშორეზე არა ერთი, არამედ ორი და სამი გასროლით პისტოლეტის თითოეულ დამიზნებაზე. სავარჯიშო უნდა შესრულდეს სწრაფი ტემპით, კუნთების მოდუნების გაკონტროლებით. სწორედ ამ დროს დადგება მომენტი, როცა გასროლის თითოეული სერიის ნატყვიარები ახლო-ახლო იქნება ერთმანეთთან. აუცილებლად დაიმახსოვრეთ ეს მდგომარეობა და ეცადეთ, გაიმეოროთ წვრთნებსა თუ შეჯიბრებებზე. ჩქაროსნულ სროლაში კუნთების სწორად მოდუნების შემთხვევაში იზრდება მოქმედებისა და სროლის სისწრაფე, სიზუსტე. მსროლელი სიმსუბუქეს გრძნობს და თავდაჯერებულია.



„არსენალი“ ცდილობს სულ უფრო და უფრო საინტერესო იყოს მკითხველისათვის, ამიტომ გთავაზობთ ახალ რუბრიკას, რომელშიც განვიხილავთ ზოგადად ომების ისტორიას კონკრეტული ბრძოლების მაგალითზე, რომლებიც VI-XV სს-ებში გაიმართა. ვინაიდან თემა ძალიან ტევადია, რუბრიკა გაგრძელებებით იბეჭდება.

# საალყე ტექნიკა შუა საუკუნეებში

გაგრძელება



ომი არის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური ძალების დაპირისპირება, რომლის დროსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება შეიარაღებასა და ბრძოლის ტაქტიკას. თანამედროვე სამხედრო ხელოვნება, რომელიც საკმაოდ განებივრებულია ტექნიკური მიღწევების გამოყენებით, დიდად განსხვავდება მისი განვითარების პირველი საფეხურებისაგან. საბრძოლო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე მთავარი და უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის ფიზიკურ შესაძლებლობებს ენიჭებოდა. სამხედრო ტაქტიკა სამხედრო ხელოვნების შემადგენელი ნაწილია, რომელიც არმიის თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას გულისხმობს. საბრძოლო ხელოვნების ისტორიის მანძილზე ის გამუდმებით იცვლებოდა, რასაც ადამიანთა კულტურული თუ ტექნიკური ევოლუცია განაპირობებდა...



ადრეულ შუა საუკუნეებში ევროპა გამუდმებით ბრძოლაში იყო ჩაბმული. ეს პერიოდი არეულობით, გავლენის სფეროთა გადანაწილებითა და არასტაბილურობით ხასიათდება. ეს ის დროა, როდესაც რომის იმპერია უკვე აღარ არსებობს, მაგრამ მისი გამოცდილება უკვალოდ არ გამქრალა, მათ შორის არც სამხედრო საქმეში. საუკუნეების განმავლობაში თითქმის მთელი ევროპა რომაელების „ნასუფრალით იკვებებოდა“, აღმოსავლეთ რომის იმპერიამ კი საკმაოდ დიდხანს — 1453 წლამდე იარსება. ბიზანტია აგრძელებდა ანტიკური ხანისგან მემკვიდრეობით მიღებული სამხედრო ტექნოლოგიების სრულყოფას. შუა საუკუნეების ადრეული ეტაპის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამონაგონი ე.წ. „ბერძნული ცეცხლი“ იყო, რომლის იდეა რომელიღაც ბიზანტიელ ინჟინერს მიეწერება. ნივთიერების შემადგენლობა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. სავარაუდოდ, მისი მთავარი ინგრედიენტები ფისი და ნავთი გახლდათ. თხევად „ბერძნულ ცეცხლს“ ბიზანტიელები „ზარბაზნებით“ — მარტივი ფოლადის მილებით ისროდნენ. მისი მოქმედების პრინციპი თანამედროვე ცეცხლსატყორცნის მსგავსი უნდა ყოფილიყო. „ბერძნულ ცეცხლი“ განსაკუთრებით ეფექტიანი იყო საზღვაო შეტაკებების დროს, რადგან ხის ხომალდები მყისიერად ცეცხლის ალში ეხვეოდა. არსებობდა სხვა ხერხიც, რომელსაც უპირატესად ხმელეთზე ბრძოლისას იყენებდნენ: სითხით სავსე „ჭურვებს“ ქვის სატყორცნი მანქანებით ისროდნენ. ეს იარაღი VII საუკუნის მიწურულიდან გამოიყენებოდა. თუკი ცნობებს ვენდობით, კონსტანტინოპოლის მახლობლად 672 წელს მომხდარ ბრძოლაში, ბერძნული ცეცხლი არაერთხელ დახმარებია ბიზანტიელებს მტრის მოგერიებაში, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც დედაქალაქს არაბები, რუსები და სხვა დამპყრობლები უტევდნენ. მოგვიანებით ის არაბების ხელთ აღმოჩნდა, რომლებიც მას ჯვაროსნების წინააღმდეგ იყენებდნენ.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, თუ როგორ გადაეცემოდა ხალხებს ერთმანეთისაგან ალყის წარმოების წესები და ტექნიკა ძველ სამყაროში. სწორედ ამავე პრინციპით გავრცელდა რომაული მეთოდები ცივილიზებულ ევროპაში შეჭრილ ბარბაროსებს შორისაც. მათ, როგორც ყველა დამპყრობელს, გალავნებით დაცული ქალაქების აღება და თავდაცვითი ნაგებობების გამოყენებაც უწევდათ. ისტორიკოსები ხშირად სათანადოდ ვერ ან არ აფასებენ ბარბაროსების მტრისგან გამოცდილების შეძენის თვისებას. რომაელები და ბერძნები ხომ მხოლოდ თავიანთ თავს მიიჩნევდნენ ცივილიზებულად, სხვა ხალხები კი მათთვის ველურები, ანუ ბარბაროსები იყვნენ. მაგრამ ეს შეფასება ძალზე პირობითია, რადგან „ცივილიზებული“ ბერძნები და რომაელები არანაკლებ ბარბაროსულად იქცეოდნენ, — ფეხმძიმე ქალებს მუცელს უფატრავდნენ და ნაყოფს ხარშავდნენ.

მიუხედავად ამისა, ბერძნებიც და რომაელებიც მაღალკულტურული ხალხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ. სწორედ მათ კულტურულ მემკვიდრეობაზე აღმოცენდა მთელი დასავლეთევროპული ცივილიზაცია.

ადრეული შუა საუკუნეები პოლიტიკურად ძალზე არასტაბილური იყო. ჯერ კიდევ უძველესი დროიდან ბარბაროსების რაზმეულებს რომაელთა არმიაში დაქირავებული ჯარების სახით იყენებდნენ. რომის იმპერიის ნგრევასთან ერთად დასავლეთში რომის ცივილიზაცია უკვალოდ არ გამქრალა. ახალი ხალხი განაგრძობდა მათ ტერიტორიაზე და ქალაქებში ცხოვრებას, ხშირად მათ მიერ შემუშავებულ მართვის მეთოდებსაც გადაიღებდნენ ხოლმე. სარგებლობდნენ რომაელთა აშენებული გზებით, ალფაბეტითა და ენით. მრავალმა ბარბაროსმა აითვისა და შეისისხლორცა ე.წ. ხალხური, ანუ ვულგარული ლათინური. ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, რომ უცხოტომელებმა ადრეული ეტაპიდანვე დაიწყეს რომაული ტექნიკის გამოყენებაც, მათ შორის საალყო ხელოვნებაც. მაგალითად, ჰუნების მეფე ატილა ორლეანის ალყის დროს ტარანს იყენებდა.

ბარბაროსებს რომაელების საბრძოლო საიდუმლოებებს ხშირად ტყვეები გადასცემდნენ. თუკი VII საუკუნის ბიზანტიელ ისტორიკოსს თეოფილაქტეს ვენდობით, ვინმე ბერძენი ბუსასი ავარების ტყვეობაში ჩავარდნილა. ავარები გამოსასყიდის სანაცვლოდ მის გათავისუფლებაზე თანახმანი იყვნენ, მაგრამ ბუსასის ცოლის საყვარელმა მოლაპარაკება ჩაშალა. ტყვეობაში დარჩენილმა ბიზანტიელმა შურისძიების ნიშნად ავარებს ქვისსატყორცნი მანქანების აგების საიდუმლო გაანდო.

მოგვიანებით რომაელთა ქვის ნაგებობები სხვადასხვა დროს ფრანკების, ოსტგოთების, ვესტგოთებისა და საქსების მფლობელობაში აღმოჩნდა. მათ უწევდათ ამ ციხესიმაგრეების მოვლა, აღდგენითი სამუშაოების ჩატარება, რაშიც, რაც უნდა გასაკვირი იყოს, კვლავაც რომაელები „ეხმარებოდნენ“. საქმე ის არის, რომ რომაელებს თავიანთი გამოცდილების ჩაწერა სჩვეოდათ, ამიტომაც მათი ნაშრომები გვიანი პერიოდის მრავალი არქიტექტურისათვის ძალზე მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე შემოჭრილი ხალხები სხვადასხვა შეიარაღებასა და სამხედრო მეთოდს იყენებდნენ. გრიგოლ ტურელი გვიამბობს ვინმე ლეოდევიზილის შესახებ, რომელიც ფრანკთა მეფის სამხედრო მინისტრი ყოფილა. წყაროს ცნობით, ის „ახალ მანქანებს“, კერძოდ კი ცხოველთა ტყავებით დაფარულ ტარანებს აშენებდა, რომლებსაც 585 წელს სენ-ბერტრან-დე-კომენჟის ალყაში იყენებდა. ფრანგები ხმარობდნენ სატყორცნ მანქანებს (მეტწილად „აალებადი“ ჭურვებით), მოძრავ კოშკებსა და კიბეებს. ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ბარბაროსებს არ ჰყოფნიდათ შეიარაღება და ტექნიკა იმისათვის, რომ საგანგებოდ გამაგრებული ქალაქების თავდაცვით ნაგებობებს გამკლავებოდნენ. მაგრამ ხშირად ყველაზე აუღებელი ციხესიმაგრეებიც კი ეცემოდნენ ბარბაროსული ტომების წინაშე. ასე მოხდა ბრიტანეთში, პრივენსის აღებისას. მისი მძლავრი, რომაელების აგებული კედელი მძლავრ წინაღობას წარმოადგენდა მტრისთვის. და მაინც ბარბაროსებმა ის 491 წელს აიღეს. VI საუკუნის ისტორიკოსი ჰილდუსი თავის თხზულებაში De excidio et conquestu Britanniae („ბრიტანეთის დაპყრობის შესახებ“) წერდა, რომ დიდმა ბრიტანულმა ქალაქებმაც კი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს დამპყრობელთა ტარანებს.

## რომაელთა გავლენა

შუა საუკუნეების მეთაურები ხშირად მიმართავდნენ ძველრომაულ სამხედრო ტრაქტატებს, საიდანაც ტექნიკურ მანევრებსა და ტექნოლოგიურ შეიარაღებას სესხულობდნენ. ძალზე პოპულარული იყო ფლავიუს ვეგეტიუსის (დაახლოებით 385-750 წ.წ.) ნაშრომი Rei militaris instituta (სხვაგვარად Epitoma rei militaris, ანუ „სამხედრო საქმის სახელმძღვანელო“). ტრაქტატში დეტალურად არის აღწერილი ესა თუ ის სამხედრო ხრიკი, კერძოდ კი სანგრების გათხრა, კატაპულტებისა და სხვა სატყორცნი მანქანების გამოყენება. ასევე დიდი გავლენით სარგებლობდა მარკუს ვიტრუვიუსის De architectura, რომელიც სავარაუდოდ, ავგუსტუსის ეპოქაშია დაწერილი (ავგუსტუსი, რომის იმპერატორი ძვ.წ.აღ. 27-ახ.წ.აღ. 14წ.წ.). ვიტრუვიუსმა პირველმა მიაქცია ყურადღება იმ ფაქტს, რომ მრგვალი ციხე უფრო უძლებს ტარანებსა და „ჭურვებს“, ვიდრე ოთხკუთხა. ის ურჩევდა მშენებლებს, შვერილებიანი კოშკები აეშენებინათ, რაც დამცველებს მტრისგან ეფექტიანად დაცვის საშუალებას მისცემდა.

დიჟონის გალავანი, რომელსაც ეპისკოპოსი გრიგოლ ტურელი აღწერს, როგორც ჩანს, ამ რეკომენდაციის გათვალისწინებით ააშენეს: ქალაქს ჰქონდა 30 გამაგრებული კარი, 9მ სიმაღლისა და 4,5 მ სიგანის კედლები, ასევე, 33 შვერილი კოშკი. ასე რომ, VI საუკუნეში რომაულ ფორტიფიკაციებსა და ტექნიკას ბარბაროსები ხშირად იყენებდნენ.

## პარიზის ალყა და ვიკინგები

IX საუკუნეში ბარბაროსები უკვე მთელ ევროპას მოედვნენ და მეტ-ნაკლებად განისაზღვრეს თავიანთი ტერიტორიები. გაქრა ძველი რომაული პროვინციები, მათ ნაცვლად კი ყველგან ფრანკების, გოთების, საქსების, ლანგობარდებისა და სხვათა სამეფოები აღმოცენდა. თითოეულ მონარქს სურდა, დამოუკიდებელი ყოფილიყო და შესაბამისად, თავისი ჯარიც ჰყავდა. მათი სამიზნე ხშირად აღმოსავლეთ რომის იმპერია იყო, უპირატესად კი მაინც ავარები, არაბები და რუსები ესხმოდნენ თავს. ყველაზე მძლავრი ამ პერიოდში ფრანკთა სამეფო იყო, რომელმაც შეძლო რომის იმპერიის დიდებულებას მიახლოებოდა. ფრანკთა სამეფო განსაკუთრებით მეროვინგების დინასტიის პირველი წარმომადგენლების მმართველობის პერიოდში გაფართოვდა. VIII საუკუნეში „ზარმაცი“ მეროვინგები ენერგიულმა ადმინისტრატორებმა — მაიორდომებმა, ანუ „პრემიერ-მინისტრებმა“ ოფიციალურად ჩაანაცვლეს. უმაქნისი მონარქების ნაცვლად სწორედ ისინი მართავდნენ სახელმწიფოს. ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი მაიორდომი კარლ მარტელი და მისი ვაჟი პიპინ მოკლე იყვნენ (ეს უკანასკნელი 751 წელს მეფედ აკურთხეს). ამ დინასტიას, როგორც წესი, კაროლინგების სახელით მოიხსენიებენ. ეს სახელწოდება ყველაზე დიდი მეფის — შარლემანის, ანუ კარლოს დიდის სახელთანაა დაკავშირებული. მან დაიპყრო საკმაოდ დიდი



ეროვნული ბიბლიოთეკა



ტერიტორია და გაამყარა ფრანკების ხელისუფლება მთელ დასავლეთ ევროპაში. მისი ძალაუფლება არ ვრცელდებოდა მხოლოდ ბრიტანეთის, ესპანეთისა და სამხრეთ იტალიის ტერიტორიაზე. მალე ამ თითქოსდა მონოლითურმა სახელმწიფომ დაშლა დაიწყო. კარლოს დიდი იმპერიის მთლიანობას მტკიცე პოლიტიკისა და შეურყეველი ავტორიტეტის საშუალებით ინარჩუნებდა. მას ჰყავდა ემისრებიც, რომელთა დახმარებითაც იმპერატორი საზღვრებგარეთ ტერიტორიებს მართავდა. მისი მემკვიდრის, ლუდოვიკო I-ის დროს (814-840წ.წ.) სახელმწიფო კიდევ ინარჩუნებდა ერთიანობას, მაგრამ უკვე მისმა შვილებმა 843 წელს ოფიციალურად დაინაწილეს იმპერია და სამ ნაწილად გაყვეს: დასავლეთ ნაწილს, ანუ ახლანდელ საფრანგეთს, კარლოს II (875-877) ჩაუდგა სათავეში; აღმოსავლეთ ნაწილს — ლუდოვიკ გერმანელი, ხოლო ცენტრალური ნაწილი — უფროს ვაჟს, ლოთარს დარჩა. სწორედ მისი სახელიდან მომდინარეობს ლოთარინგიის სახელწოდებაც. საბოლოოდ ცენტრალურმა ნაწილმა ვერ შეინარჩუნა სახელმწიფოებრიობა და დანაწევრებული სახით დანარჩენ ორს შეუერთდა. კაროლინგებს სამხრეთიდან სარაცინებთან, აღმოსავლეთიდან მადიარებთან და ჩრდილოეთიდან ვიკინგებთან უწევდათ შერკინება. 885 წელს დასავლეთი ნაწილი ეკუთვნოდა კარლოს III მსუქანს (811-887), ლუდოვიკო II გერმანელის შვილს (855-875), რომელმაც მცირე დროით შეძლო იმპერიის გაერთიანება. დასავლეთ ფრანკთა სამეფო, ფაქტობრივად, დაიშალა და ვიკინგების თავდასხმისაგან დაცვა უკვე დიდებულთა პრეროგატივად იქცა. ყველაზე მეტად ამ საქმეში რობერტ დიდმა გამოიჩინა თავი (მისმა შთამომავლებმა კაპეტინგების დინასტიას დაუდეს სათავე). 861 წელს კარლოს II-მ რობერტ ძლიერი ანჟუს გრაფად დანიშნა. ის ნეისტრიას მართავდა მეფის სახელით და ემისრის ტიტულით სარგებლობდა მენეში, ანჟუსა და ტურში. 863-დან 866 წლამდე მან სამი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა ვიკინგებთან ბრძოლისას. 865 წელს კარლოს II-მ რობერტის თანამდებობა თავის შვილს — ენაბლუ ლუდოვიკოს გადასცა, ხოლო პირველს ბურგუნდია უბოძა, მაგრამ მალევე ბრეტონის მარკიზად გადაიყვანა. 866 წელს რობერტ ძლიერი ბრისარტის მახლობლად, ვიკინგებთან ბრძოლისას დაეცა. მიუხედავად რობერტის დაღუპვისა, ფრანკებმა მაინც გაიმარჯვეს, მაგრამ ამით საფრთხე არ ამოწურულა, პირიქით, კიდევ უფრო გაძლიერდა. ვიკინგები აგრძელებდნენ დარტყმების მიყენებას და უფრო ღრმად შედიოდნენ ფრანკების ტერიტორიებზე. იპყრობდნენ და ძარცვავდნენ ქალაქებს. ყველაზე საშინელი ის იყო, რომ ვიკინგებმა კოლონიზატორების მსგავსად იწყეს მოქმედება. თითქმის ყველგან თავიანთ დასახლებებს ქმნიდნენ. ერთ ასეთ „ბუდედ“ მათ სენის კალაპოტში მდებარე კუნძული უაზელი აქციეს, რომელიც რუანის მახლობლად მდებარეობდა. სავსებით შესაძლებელია, რომ სწორედ მათ მიერ ჩამოყალიბებული ბანაკები იქცნენ შუა საუკუნეების დროინდელ ციხესიმაგრეებად. მანამდე კი მათი ფორტები არ გამოირჩეოდა სიდიდითა და თხრილებით შემოვლებულ მესერს წარმოადგენდა. რობერტ ძლიერის შვილი ედი მამის სიკვდილის დროს ჯერ კიდევ არასრულწლოვანი იყო, მაგრამ მალე დაიბრუნა მამისეული გავლენა და პარიზის გრაფადაც დაინიშნა. სწორედ ამ დროს ქალაქი დიდი გამოცდის — ვიკინგების ახალი რეიდის საფრთხის წინაშე დადგა. სენა ერთ-ერთი ყველაზე მომგებიანი მარშრუტი იყო ნორმანებისათვის, რომელნიც არაერთხელ დასხმიან თავს პარიზს. მაგალითად, 845 წელს მათ შეუტიეს ქალაქს, მოითხოვეს და მიიღეს კიდეც 7000 ფუთი ვერცხლის ოდენობის გამოსასყიდი. 857 წელს პარიზი გაიძარცვა, რაც 861 და 865 წელსაც განმეორდა. ვიკინგები ლუდოვიკო III-ს სიკვდილის შემდეგ შინაარეულობით სარგებლობდნენ (879-882წ.წ.) და 885 წელს გაძარცვეს რუანი, შემდეგ კი პარიზისაკენ დაიძრნენ.



## პარიზის ალყა

პარიზის ალყა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენას წარმოადგენდა. ქალაქი რობერტ ძლიერის ვაჟმა, გრაფმა ედმა გადაარჩინა. გრაფი ამაოდ სთხოვდა იმპერატორ კარლოს მსუქანს დახმარებას თითქმის ერთი წლის განმავლობაში. სწორედ პარიზის ალყამ შეასრულა დიდი როლი ედის გავლენის გაძლიერებაში და საბოლოოდ დასავლეთ ფრანკთა სამეფოს მეფედ აქცია (888-898; რობერტ ძლიერს ჰყავდა კიდევ ერთი ვაჟი, რობერტ I, რომელიც 922-923 წლებში მეფობდა).

პარიზის ალყაზე ზედმიწევნითი წყარო

მოიპოვება. თხზულების ავტორი მოვლენების თვითმხილველი ახალგაზრდა ბერი აბო იყო. ის სენ-ჟერმენ-ლე-პრეს მონასტერში მსახურობდა, რომელიც ქალაქის გალავნის გარეთ, მდინარის მარცხენა სანაპიროზე იდგა. აბომ თავისი ნაშრომი მოვლენიდან 20 წლის შემდეგ დაწერა და გალექსა კიდეც. შუა საუკუნეების ისტორიკოსები ეჭვის თვალით უყურებდნენ ამ ტექსტს, საბატონ მოძღვარიც არც ისე აფასებდა ბერის თხზულებას. თანამედროვე ისტორიკოსები კი შენიშნავენ, რომ ავტორს არც ისე კარგად სცოდნია ლათინური, მიუხედავად ამისა, ხელნაწერი მაინც მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს.

885 წელს ვიკინგები ისევ დაიძრნენ პარიზისაკენ. 24 ნოემბერს დაახლოებით 700 ხომალდით მიადგნენ ქალაქს. მათ ზიგფრიდი მეთაურობდა. სენაზე გადებულ ხიდებსა და ქალაქის გარშემო მათ ახალი ფორტიფიკაციები დახვდათ. მაშინ მთელი ქალაქი სენის ორ კუნძულზე ეტეოდა (ერთ-ერთი — ილ-დე-ლა-სიტე, ხოლო მეორე ილ-დე-სენ-ლუი). მდინარის ორივე მხარეს დასახლება იყო, იდგა მონასტრები. ქალაქის ადმინისტრაცია მის დაცვით ნაგებობებზე კარგად ზრუნავდა.

ილ-დე-ლა-სიტე, რომელიც ვიკინგების გზაზე პირველი კუნძული იყო, დღეს პარიზის გულია. სწორედ აქ მდებარეობს ყველასათვის ცნობილი პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი.

პარიზის ასაღებად ვიკინგებს ხიდების გაკონტროლება სჭირდებოდათ. რეგიონის დამცველი დიდხანს აბატი ჰუგო იყო, მაგრამ 885 წელს ავად გახდა და ამიტომაც ქალაქის დაცვაში ვერ მონაწილეობდა, მალე ის გარდაიცვალა კიდეც. პარიზის ეპისკოპოსმა გოზლენ დე სენ-დენიმ ბევრი რამ გააკეთა ქალაქის გადასარჩენად, მაგრამ 886 წელს ისიც გარდაიცვალა და ქალაქის დაცვის სიმძიმე მხოლოდ გრაფს დააწვა.

უპირველესად ვიკინგებმა ხიდის კოშკის განადგურება სცადეს, რომელიც ილ-დე-ლა-სიტედან სენის მარჯვენა ნაპირამდე გზას ულობავდათ. კოშკი ხიდზე მიმავალ გზას აკონტროლებდა. ამ გამაგრების მშენებლობა საკმაოდ გვიან, 870 წელს დაიწყეს და დასრულება ვერ მოასწრეს. ვიკინგებმა კოშკს ხმელეთიდან შეუტიეს, მაგრამ მისი აღება ვერ მოახერხეს. ღამით ფრანკებმა მოასწრეს გამაგრებების აღდგენა და კიდევ ერთი დონის დამატება. გამთენიისას ვიკინგებმა კვლავ შეუტიეს კოშკს და ისევ უშედეგოდ. ცდილობდნენ, ხის გამაგრებები წერაქვებით გაეჩეხათ, მაგრამ ვერ შეძლეს. მართალია, დასავლეთში იმ დროისათვის „ბერძნული ცეცხლის" გამოყენება არ დასტურდება, მაგრამ აალებადი ნაერთები და სხვადასხვა საწვავი სითხე არსებობდა. გამაგრებულები კუპრსა და ფისს ერთმანეთში ურევდნენ და თავზეასხამდნენ კედლებთან მომდგარ ვიკინგებს. პარიზელებს ჰქონდათ დიდი კატაპულტებიც, რომელთა საშუალებით ერთდროულად შვიდი კაცის მოკვლის უნარის მქონე ისრებს ისროდნენ. აბოს მტკიცებით, კოშკს მხოლოდ 200 ფრანკი იცავდა, მაშინ როცა 40000 ვიკინგი უნდა მოეგერიებინათ.

ვიკინგების დრაკარები 50 კაცზე მეტს არ იტევდა. თუკი კვლავაც აბოს ცნობას ვერწმუნებით, თუ ვიკინგები 700 გემით მოსულან, მათი რიცხვი 30 ათასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. ვიკინგებს თან საალყო ტექნიკაც ჰქონდათ. თხზულებაში ჩვენ ვხვდებით არა მხოლოდ სხვადასხვა სახის კატაპულტების ჩამონათვალს, არამედ ნახსენებია ისიც, რომ მოწინააღმდეგე ხიდისა და გამაგრების განადგურებას ბრანდერებით ცდილობდა. სამი დღის განმავლობაში ვიკინგები დაუღალავად უტევდნენ კოშკს, მაგრამ ფრანკებმა უკან დახიეს მტერი, რამაც ის აიძულა სხვა მიმართულებით ემოქმედა, — ბანაკი გაშალეს მარჯვენა სანაპიროზე და საალყო მანქანების დადგმა დაიწყეს. ვიკინგებმა სამი რაზმეულით ხმელეთიდან და წყლიდანაც შეუტიეს ფრანკებს. ქვეითებმა „კუ" მოაწყვეს და ასე სცადეს კედელთან მიახლოება და თხრილების ამოვსება. ვიკინგებმა რაღაც ბერფრუას მსგავსი ააგეს, ჩასხეს მასში მშვილდოსნები და კოშკთან მიაგორეს. პარიზელებმა არათუ მოიგერიეს მტრები, არამედ მათი ტექნიკაც კი ხელთ იგდეს. თუმც ერთ ადგილას მოიერიშეებმა შეძლეს გამაგრების გარღვევა. გრაფი ედი იძულებული გახდა, რაზმს ჩასდგომოდა სათავეში და ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულიყო მტერთან, სანამ არ გაანადგურა ისინი.

ფრანკების მტერი მარტო ვიკინგი როდი იყო. ამ დროს ქალაქსა და მის შემოგარენში ჭირი მძვინვარებდა, რომელმაც ეპისკოპოსი გოზლენი შეიწირა. ხანგრძლივი ალყისაგან და ეპიდემიისგან ქანცგაწყვეტილი პარიზელები დახმარებას ელოდნენ. კარლოს მსუქანმა, რომელიც 881 წელს იმპერატორი გახდა, პარიზელებს დასახმარებლად საქსების ჰერცოგ ჰენრიხის მეთაურობით ჯარი გაუგზავნა, მაგრამ ჰერცოგს არ გაუმართლა. მცირერიცხოვანი ამალის თანხლებით საბრძოლო პოზიციების დასათვალიერებლად წავიდა და ცხენი ვიკინგების გათხრილ თხრილში ჩაუვარდა. ის დატყვევეს, შემდეგ კი მოკლეს. ალყა ზავით 886 წელს დასრულდა. კარლოს მსუქანმა ვიკინგებთან მოლაპარაკება ამჯობინა და ალყის მოხსნისათვის დიდი გამოსასყიდიც გაიღო. ასე იყო თუ ისე, პარიზი გადარჩა, უპირატესად ქალაქის მცხოვრებთა დაუღალავი ბრძოლით, რომლებიც მამაცურად უმკლავდებოდნენ მტერს. რა თქმა უნდა, დიდი წვლილი მიუძღვის გრაფ ედსაც, რომელიც კარლოს მსუქანის სიკვდილის შემდეგ, 888 წელს, დასავლელ ფრანკთა მეფედ აკურთხეს.



# ქართული ფლოტის გასაჭირი



„აისტის" ტიპის კატარღა 1993 წლის გაზაფხულზე ფოთის პორტში მორიგეობის დროს

ხუთდღიანი ომის შედეგმა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მნიშვნელოვანი საკადრო-სტრუქტურული ცვლილებები გამოიწვია და ერთ-ერთი შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში მყოფ სანაპირო დაცვის ძალებთან სამხედრო-საზღვაო ძალების შეერთებას შეეხო.

ორი საზღვაო ძალის გაერთიანებაზე მსჯელობა რამდენიმე წელია მიმდინარეობს და ვის დაქვემდებარებაში დარჩებოდა ერთიანი ფლოტი, ბოლო დრომდე უცნობი იყო.

საზღვაო ძალების გაუქმება-მიერთების მიზეზები თავად ფლოტის სისუსტეში უნდა ვეძებოთ. 2008 წლის აგვისტოში მტერი ფოთის მიმდებარე წყლებში თავისუფლად მოქმედებდა და სამხედრო-საზღვაო ბაზა დაუბრკოლებლად გაძარცვა-გაანადგურა. ან რა წინააღმდეგობა უნდა გაეწია რუსული სარაკეტო ხომალდებისათვის ტყვიამფრქვევებით აღჭურვილ და „ხანდაზმულ", ჩამოსაწერ ქართულ კატარღებს?

სამხედრო-საზღვაო პოლიტიკის არარსებობამ და სამხედრო ფლოტის განვითარების სახელმწიფო მხარდაჭერის იგნორირებამ ქვეყანა საზღვაო ძალების ლიკვიდაციამდე მიიყვანა.

თუმცა 1992 წლის 30 აპრილს სულ სხვა პერსპექტივა ისახებოდა, როცა საქართველოს მთავრობის №484/6 დადგენილებით საზღვაო ძალების შექმნაზე ოფიციალური განკარგულება გაიცა. იქმნებოდა ჯარების ახალი სახეობა — სამხედრო-საზღვაო ძალები, რომელიც სამხედრო-საზღვაო ძალების სამმართველოს შტაბსა (თბილისი) და შერეულ საზღვაო ბრიგადას (ფოთი) აერთიანებდა.

შერეული საზღვაო ბრიგადის შემადგენლობაში შევიდა: შტაბი, 5 დივიზიონი (საპატრულო-სადარაჯო ხომალდების, პატარა სადესანტო კატარღების, მტრალავების, პატარა სარაკეტო და სატორპედო კატარღების, საავარიო-სამაშველო სამსახურის გემების), რადიოტექნიკური ასეული, ჰიდროგრაფიული სამსახური, უმცროს სპეციალისტთა მოსამზადებელი სასწავლო ცენტრი, საზღვაო ქვეითი ბატალიონი, ბათუმის უმაღლესი საზღვაო სასწავლებლის სამხედრო-საზღვაო კათედრა, საგარნიზონო ჰოსპიტალი, ზურგის სამსახური და ა.შ..

მაშინდელ საზღვაო ძალებს ქაღალდზე ასეთი სტრუქტურა იმის იმედად ჰქონდა, რომ რუსეთი შავი ზღვის ფლოტის ხომალდებისა და კატარღების ერთ ნაწილს გადმოგვცემდა.

1992 წლის ბოლომდე რუსმა სამხედრო მეზღვაურებმა ფოთიდან ყველა ვარგისი და ბრძოლისუნარიანი მცურავი საშუალება ისე გაიყვანეს, რომ საქართველო არც გახსენებიათ. დაგვიტოვეს მწყობრიდან გამოსული და სარემონტო 2 პატარა სადესანტო კატარღა (Д-237 და Д-293), ჰიდროგრაფიული კატარღები БГК-1628 და БГК-176, ნაგავშემგროვებელი МУС-16, ენერგეტიკული გემი ЭНС-4, 250-ტონიანი ნავთობჩამომსხმელი ბარჟა, წყალჩამომსხმელი ბარჟა, მძებნელი კატარღა, მცურავი ყაზარმა და სხვ.

უკეთეს მდგომარეობაში არც სახმელეთო ობიექტები აღმოჩნდა. ბათუმის რადიოტექნიკური პოსტიდან ტექნიკა დემონტირებულ-გატანილი იყო. გაძარცვეს და გაანადგურეს ფოთის სასწავლო ცენტრის კლასები, ყოფილი რუსუ-



საკრეისერო კატარღა „გალი"

ლი საზღვაო ბრიგადის საწყობები და სარემონტო სახელოსნოები.

სამხედრო ქონების დატაცებას ხელს არც მოსახლეობა და არც სხვადასხვა შეიარაღებული ფორმირება აკლებდა.

შედარებით უკეთეს მდგომარეობაში ჰიდროგრაფიული სამსახური იყო, მაგრამ ძარცვას ვერც ის გადაურჩა.

ყველაზე შემაშფოთებელი კი ის გახლდათ, რომ ჩამოყალიბების სტადიაში მყოფ საზღვაო ძალებს არც ერთი საბრძოლო ხომალდი არ ჰყავდა, რასაც საზღვაო ოფიცრების ნაკლებობაც ემატებოდა.

აფხაზეთის ომმა სამხედრო ფლოტის აუცილებლობა მთელი სიმწვავით გამოავლინა. საბრძოლო დანიშნულების მცურავ საშუალებათა უქონლობის გამო სეპარატისტთა აქტიური საზღვაო მიმოსვლისა თუ მეკობრული თავდასხმების აღკვეთა ვერა და ვერ მოხერხდა.

ყველაზე დიდ შენაძენად ბათუმის გემთმშენებელი ქარხნიდან მიღებული 3 „აისტი“ (წყალწყვა 4,7 ტონა) და 2 „სტრიჟი“ (წყალწყვა 3,2 ტონა) ითვლებოდა. გარდა ამისა, საზღვაო ძალების განკარგულებაში იყო: სასეირნო წყალქვეშა ფრთებიანი კატარღა „ნევკა“ (წყალწყვა 5,4 ტონა), საკრეისერო კატარღა „გალი“ (წყალწყვა 12,5 ტონა), ორი პატარა სადესანტო კატარღა №01 და № 02, თევზმჭერი სეინერი „განთიადი“.

რთული ვითარება იყო კადრების მხრივაც. საზღვაო ძალების შტაბს საშტაბო და ხომალდის მეთაურის გამოცდილების მქონე ოფიცრები აკლდა. 13 საზღვაო ოფიცრიდან 6, დიდი ხნის წინ ასაკის გამო დემობილიზებული და პენსიონერი იყო.

ფოთის შერეულ საზღვაო ბრიგადაში 10 ოფიცრიდან საზღვაო განათლების მქონე მხოლოდ 4 და მათ შორის 2 პენსიონერი იყო.

ომის შემდგომი პერიოდის ყველა ამ გაჭირვებას მაშინდელი თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ ვარდიკო ნადიბაიძის „განსაკუთრებული“ შეხედულებები დაემატა. საქართველოს თავდაცვის მინისტრს მიაჩნდა, რომ ქვეყანას სამხედრო ფლოტის შექმნა ძვირი დაუჯდებოდა და 1996 წლის თებერვალში თანამეგობრობის ერთიანი ფლოტისა და საზღვაო უსაფრთხოების საერთო სისტემის ჩამოყალიბების იდეით გამოვიდა.

ამის მიუხედავად, პატრიოტულად განწყობილი ქართველი სამხედრო მეზღვაურები ეროვნული ფლოტის შენარჩუნება-აღორძინების საქმეს შრომას არ აკლებდნენ.

1997 წლის 28 მაისს უკრაინამ და რუსეთმა შავი ზღვის ფლოტის გაყოფის პარამეტრებზე შეთანხმებას მიაღწიეს. ფლოტი ორ ქვეყანას შორის განაწილდა და საქართველოს ფოთში ჩაძირულ-განადგურებულ თუ მიტოვებულ მცურავ საშუალებათა გარდა სხვა არაფერი შეხვდა.

სამგზავრო-სასეირნო კატარღებისა და თევზმჭერი სეინერებისაგან შემდგარი ქართული სამხედრო ფლოტი 1997 წელს სევასტოპოლში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ პროგრამით გამართულ სწავლება „სი ბრიზ-97“-ში სოხუმის პორტზე მიწერილმა სასეირნო თბომავალმა „პსოუმ“ წარმოადგინა, რომლის ერთადერთი იარაღი კაპიტნის ბოგურის სახურავზე დაყენებული კალაშნიკოს სისტემის ტყვიამფრქვევი იყო.

სახომალდო შემადგენლობის გასაძლიერებლად პირველი ნაბიჯები 1997 წელს გადაიდგა და თავდაცვის სამინისტრომ უკრაინაში შეიარაღების გარეშე 2 „გრიფი“, ტორპედმჭერი („ახმეტა“) და კავშირის კატარღა („წყალტუბო“) იყიდა. ოთხივე მცურავი საშუალება არასაშტატო იარაღით უკვე ფოთში აღიჭურვა. 1998 წლის ზაფხულში ორივე „გრიფი“ საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტს გადაეცა.

1998 წლის დასაწყისში ფლოტს დაემატა ისევ უკრაინაში ნაყიდი და იარაღაყრილი 205П პროექტის ყოფილი სასაზღვრო-საპატრულო კატარღა, რომელმაც მოგვიანებით სახელად „ბათუმი“ მიიღო.

მეგობარი ქვეყნებიდან საბერძნეთმა 1998-99 წლებში ორი საპატრულო კატარღა 86 ტონა წყალწყვის „ივერია“ და „მესტია“, ხოლო თურქეთმა 1998 წლის დეკემბერში ასევე საპატრულო დანიშნულების „ქუთაისი“ გადმოგვცა.

1999 წლის 4 ივლისს ფოთში შემოვიდა უკრაინაში ნაყიდი სარაკეტო კატარღის კლასის „თბილისი“, რომელიც, ფაქტობრივად, საარტილერიო კატარღა იყო. „თბილისზე“ ფრთოსანი ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტებით სროლისათვის საჭირო აპარატურა დემონტირებული იყო, შეიარაღებაში 76 მმ-იანი ქვემეხი და 30 მმ-იანი ექვსლულიანი საზენიტო ავტომატი შედიოდა.

მომდევნო საჩუქარი ბულგარეთმა




**საქართველოს სანაპირო ზოლი ტყვიამფრქვევებით აღჭურვილი კატარღის იმედზე რჩება**



საზღვაო ძალების საარტილერიო კატარღა „ივერიას“ შეფერილობა ალბათ ნაცრისფრიდან თეთრით შეიცვლება

გაგვიკეთა და 2001 წელს ორი პატარა სადესანტო ხომალდი ,,გურია“ და ,,ატია“ გვაჩუქა.

2004 წელს ქართულ ფლოტს ბოლო მცურავი საშუალება, საბერძნეთის მთავრობის ნაჩუქარი ,,დიოსკურია“ შეემატა, რომელიც ასევე ფრთოსანი რაკეტების გარეშეა მიღებული.

შექმნის დღიდან ქართული ფლოტი რატომღაც სხვა ქვეყნებიდან მიღებულ დახმარებაზე დამოკიდებული დარჩა. ცხადია გვჩუქნიდნენ იმას, რაც მათ არ სჭირდებოდათ და მოძველებული იყო. ამის გამო ნელ-ნელა გამწვავდა მცურავ საშუალებათა რემონტი-მოდერნიზაციის აუცილებლობა, მაგრამ ამისათვის საჭირო ინფრასტრუქტურის შექმნაზე თავი არავინ შეიწუხა.

ან რა უშლიდა ხელს თანამედროვე საზღვაო ავარიული-სამაშველო სამსახურის ჩამოყალიბებას, რომელიც ყოველთვის საჭიროა და განსაკუთრებით ახლა, როცა სამხედრო პორტი რუსებისაგან ჩაძირული კატარღებისაგან გასუფთავებას მოითხოვს.

გადაუჭრელი პრობლემები საერთაშორისო სწავლებებში ქართული საზღვაო ძალების მონაწილეობაზე პირდაპირ აისახა. მაგალითად, შავიზღვისპირა ქვეყნების საზღვაო თანამშრომლობის ძალებში ბოლო ორ წელიწადს საქართველო მცურავი საშუალების გაგზავნას ვერ ახერხებდა და ქვეყანას შტაბის ოფიცრები წარმოადგენდნენ.

რუსული აგრესიის წინ ქართული სამხედრო-საზღვაო პოტენციალი 1992-93 წლების მდგომარეობიდან ბევრით არ განსხვავდებოდა და ეს პირველ რიგში განვლილი წლების არასწორი სამხედრო-საზღვაო პოლიტიკის შედეგი იყო.

ძნელად ასახსნელია, რომ სამხედრო-საზღვაო ძალების არსებობის თექვსმეტნახევარი წლის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფომ სამხედრო მეზღვაურებისათვის ერთი თანამედროვე, თუნდაც სასწავლო ხომალდის შესაძენი საშუალებები ვერ გამონახა.

სამაგიეროდ, იყიდეს რამდენიმე ათეული სადესანტო კატარღა, რომლითაც, ალბათ, დესანტის გადასხმა და ერთი კონფლიქტის ,,მოგვარება“ იგეგმებოდა. თუმც ამ ავანტიურისტული იდეის ავტორებს გამორჩათ ერთი საყურადღებო დეტალი: საჰაერო თავდაცვას მოკლებულ სადესანტო კატარღებს დესანტიანად მოწინააღმდეგის ავიაცია ისე გაანადგურებდა, რომ ამბის მომტანიც აღარ დარჩებოდა.

სამხედრო ფლოტის მცურავი საშუალებების სანაპირო დაცვისათვის გადაცემა ამ უკანასკნელის ქმედუნარიანობის ამაღლებაზე ბევრად არც იმოქმედებს.

დღემდე სანაპირო დაცვის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა აფხაზეთის პორტებში უკანონო საზღვაო მიმოსვლის აღკვეთა იყო და ამ მიზეზით 1999-2007 წლებში 23 სავაჭრო გემი, ტანკერი თუ თევზმჭერი სეინერია დაკავებული. წელიწადში საშუალოდ 3 დაკავებული გემი უმნიშვნელო მაჩვენებელია, როცა ბევრად უფრო მეტი — 100-120 გემი აფხაზეთის პორტებში შესვლა-გამოსვლას ქართველი საზღვაო მესაზღვრეების გვერდის ავლით მაინც ახერხებდა.

აფხაზეთის პორტებსა და მიმდებარე წყლებში რუსეთის სამხედრო ხომალდების შემოსვლით უკანონო საზღვაო მიმოსვლის აღკვეთა ბევრად გართულდება ან სულაც გადაუჭრელ პრობლემად დარჩება.

არის სხვა საკითხებიც, რომელთა გადაწყვეტის გზა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სანაპირო დაცვის პოლიციურ ფუნქციებს ბევრად სცილდება.

მაგალითად, როგორ უნდა აღიკვეთოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მიმართული მუქარა, სხვადასხვა ფორმისა თუ შინაარსის მქონე ძალის დემონსტრაცია, ტერიტორიულ წყლებში უკანონო სადაზვერვო, ჰიდროგრაფიული ან სხვა სახის საქმიანობა და ა.შ.

ვინ იმუშავებს ზღვაზე ომის წარმოების თანამედროვე ხერხებისა და მეთოდების შესწავლაზე, სამხედრო-საზღვაო შეიარაღებისა და სამხედრო გემთმშენებლობის საკითხებზე, მეზობელი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო ძალებსა თუ საზღვაო პოლიტიკაში მიმდინარე ცვლილებებზე და ა.შ..

უარი უნდა ვუთხრათ საზღვაო გამოცდილების მქონე ქვეყნებს სამხედრო-საზღვაო სფეროში თანამშრომლობაზე. დავკარგოთ კავშირი, რომელიც სამხედრო-საზღვაო ძალებს დასავლეთის ქვეყნებთან ჰქონდა და ოფიცერთა პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნის ამაღლებას ემსახურებოდა.

ხელისუფლების შეცდომების გამო სამხედრო-საზღვაო ძალები გაუქმებას არ იმსახურებს. პირიქით, ახლა არის საჭირო სწორი სამხედრო-საზღვაო პოლიტიკის შემუშავება ქვეყნის საზღვაო უსაფრთხოების ყველა ელემენტის გათვალისწინებით.

საქართველოს, როგორც საზღვაო ქვეყანას, დაბალანსებული და თანამედროვე სამხედრო-საზღვაო ძალები უნდა ჰყავდეს. ამისათვის აუცილებელია სამხედრო-საზღვაო ძალების აღორძინება-განვითარების პერსპექტიული, რამდენიმეწლიანი პროგრამის შექმნა.

8 დეკემბერს განმუხურის მახლობლად საქართველოს ტერიტორიულ წყლებში რუსული სამხედრო ხომალდების შემოსვლით მოსკოვმა ძალის დემონსტრირების კიდევ ერთი გაკვეთილი ჩაგვიტარა და გაგვაფრთხილა.

*თემურ ჩაჩანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოსთან ომის რუსეთის გმირები

## ანუ პრეზიდენტი რისთვის არიგებს გმირობას

რუსეთის პრეზიდენტმა საქართველოს ოკუპაციაში მონაწილე სამხედროებს სახელმწიფო ჯილდოები და შეღავათები უხვად ჩამოურიგა. სპეციალურად საქართველოსთან ომთან დაკავშირებით პრეზიდენტ მედვედევის გადაწყვეტილებით წმინდა გიორგის ორდენითა და წმინდა გიორგის ჯვრით დაჯილდოების სტატუტში ცვლილებები შეიტანეს... შეივიდა. ამიერიდან ამ ჯილდოებით სხვა ქვეყნებში მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებისათვის მიმდინარე ოპერაციებში გამოჩენილი დამსახურება აღინიშნება.



საქართველოსკენ გამოსეირნება ზოგიერთ გმირს სიცოცხლის ფასად დაუჯდა

პრეზიდენტ მედვედევის ბრძანებით რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე 700-ზე მეტი სამხედრო სხვადასხვა ორდენითა და მედლით დაჯილდოვდა, ხოლო 14-მა ქვეყნის უმაღლესი ჯილდო — რუსეთის გმირობა დაიმსახურა.

რუსეთის გმირებიდან 6 მფრინავია და ქვეყნის პირველი პირისაგან ასეთი ყურადღება შემთხვევითი არ არის. ავიაციამ ომის ბლიცკრიგში მართლაც გადამწყვეტი როლი ითამაშა. თუმც, უნდა ითქვას, რომ რუსულ მოიერიშეებსა და ბომბდამშენებს ქართულ საჰაერო დაცვასთან ერთად არანაკლები მონდომებით რუსი მეზენიტეები და ავიაგამანადგურებლები ებრძოდნენ.

ომის პირველ დღეს, 8 აგვისტოს, ჯავის მახლობლად რუსმა მეზენიტეებმა ჩამოაგდეს და ოსმა „ოპოლჩენცებმა" ჰაერში დახვრიტეს 368-ე მოიერიშეთა საავიაციო პოლკის მაიორი ვლადიმირ ედამენკო, როცა ის რუსულ ჯავშანკოლონას უტევდა. ისე ჩამოაგდეს, რომ საბრძოლო მასალების მარაგის



„მშვიდობისათვის" თავდადებული რუსი ჯარისკაცები კოკოითმა საზამთროებით დაასაჩუქრა

სრულად დაცლა ვერ მოასწრო. ჯავის მოსახლეობის უსაფრთხოების მომიზეზებით რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურის თანამშრომლებმა მოიერიშის პილონებზე დარჩენილი გაუსროლელი 64 უმართავი რაკეტა და თვითმფრინავის ნამსხვრევები მეორე დღესვე გაანადგურეს.

პრეზიდენტმა მედვედევმა საჭიროდ ჩათვალა და თავისივე არმიის ხელით მოკლული მაიორი ვლადიმირ ედამენკო სიკვდილის შემდეგ რუსეთის გმირის ოქროს ვარსკვლავით დააჯილდოვა.

ბევრმა რუსმა ოფიცერმა საქართველოსთან ომი იოლ გასეირნებად ჩათვალა, რომელსაც დასაწინაურებლად, ჯილდოების თუ მორიგი სამხედრო წოდების მისაღებად გამოიყენებდა. მაგრამ ზოგიერთს საქართველოში იარაღით გამოსეირნება ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

გაუმართლა 368-ე მოიერიშეთა საავიაციო პოლკის მეთაურს, პოლკოვნიკ სერგეი კობილაშს, როცა პირველივე საბრძოლო გაფრენის შესრულების დროს საზენიტო საშუალებებმა მისი მოიერიშე ისე დააზიანეს, რომ მფრინავს კატაპულტირების გარდა სხვა გზა არ დარჩა. ხელქვეით ედამენკოსაგან განსხვავებით პოლკოვნიკი სერგეი კობილაში გადარჩა და თან ხელი რუსეთის გმირობასაც გამოჰკრა.

არის საფუძვლიანი ეჭვი, რომ რუსმა მეზენიტეებმა შეცდომით კიდევ ერთი რუსული თვითმფრინავი ჩამოაგდეს. ლიპეცკის მე-4 საბრძოლო გამოყენებისა და მფრინავთა გადამზადების ცენტრის ბომბდამშენი Су-24М გაურკვეველ ვითარებაში ჩამოვარდა. ეკიპაჟი: მფრინავი — პოლკოვნიკი ოლეგ სტაროჟუკი და შტურმანი — პოდპოლკოვნიკი ვლადიმირ ბოგოდუხოვი ე.წ. სამხრეთ ოსეთში მშვიდობის იძულების ოპერაციაში მონაწილეობისათვის ოქტომბერში პრეზიდენტმა მედვედევმა რუსეთის გმირის ვარსკვლავებით დააჯილდოვა.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო თავისი საჯარისო საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფების მოქმედებებით „კმაყოფილი“ უნდა იყოს. რუს მეზენიტეთა ეფექტიანი ცეცხლით რუსული ავიაციის არაერთი საჰაერო შეტევა ჩაიშალა, ორი საფრენი აპარატი ჩამოვარდა და კიდევ რამდენიმე დაზიანდა.

მფრინავების მოქმედებით უკმაყოფილო ქვეყნის უმაღლესმა მთავარსარდალმა ჯავრი სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარი შტაბის უფროსზე, გენერალ-ლეიტენანტ იგორ ხვოროვიზე იყარა და თანამდებობიდან გადააყენა.

ქართული არმიის საზენიტო საშუალებებმა 8 აგვისტოს გორის მახლობლად საფრონტო ბომბდამშენი Су-24М ჩამოაგდეს. ხომალდის მეთაური — პოლკოვნიკი იგორ ზინოვი — ქართველმა სამხედროებმა ტყვედ აიყვანეს, ხოლო შტურმანი — პოლკოვნიკი იგორ რჟავიტინი დაიღუპა.

ომს სიკვდილი ყოველთვის თან ახლავს, მაგრამ გმირის ვარსკვლავის მისაღებად მარტო დაღუპვა საკმარისი არ არის და გაჩნდა ისტორია, რომლის თანახმადაც, იგორ რჟავიტინმა თურმე დაბალი სიმაღლიდან კატაპულტირება მოასწრო და მიწაზე დაშვების შემდეგ ქართველ სამხედროებთან უთანასწორო ბრძოლაში გმირულად დაიღუპა. სინამდვილეში რჟავიტინის პარაშუტს თვითმფრინავიდან გადმოხტომისთანავე ცეცხლი მოედო და ის ჰაერშივე დაიღუპა. რჟავიტინი რუსეთის გმირი გახდა, ხოლო ტყვეობიდან გათავისუფლებულ ზინოვს, ჯერჯერობით, ჰოსპიტალში პუტინის ვიზიტი აკმარეს.

გმირის ვარსკვლავი 368-ე პოლკის კიდევ ერთმა მფრინავმა, კაპიტანმა ივან ნეჩაევმა დაიმსახურა. 8 აგვისტოს ცხინვალის მახლობლად ნეჩაევის მოიერიშემ მძიმე დაზიანება მიიღო და მფრინავმა აეროდრომზე დაჯდომა ერთი მომუშავე ძრავით მოახერხა.

რუსეთის გმირთა შორის სამი ოფიცერი ფსკოვის 76-ე სადესანტო-მოიერიშე დივიზიის წარმომადგენელია. დივიზიაში შემავალი 104-ე სადესანტო-მოიერიშე პოლკის ნაკრები ქვედანაყოფი პოდპოლკოვნიკ გენადი ანაშკინის მეთაურობით აგრესორთა კოლონის ავანგარდში იყო და გორიდან თბილისი-სოხუმის ავტომაგისტრალზე პირველებმა გამოაღწიეს.

იმავე პოლკიდან იყო უფროსი ლეიტენანტი ალექსი პუციკინი, რომელიც კოლონასთან ერთად 12 აგვისტოს ჯავის მახლობლად საჰაერო დაბომბვაში მოჰყვა. მედესანტეთა საბრძოლო მანქანას ცეცხლი მოედო და პუციკინი მეორე მანქანაში გადაჯდა.

შემდეგ გაუგებარი ისტორია იწყება: რუსული კოლონა ქართველი სამხედროების ჩასაფრებაში მოჰყვა და სნაიპერმა მიზანში მაინცდამაინც პუციკინის თავი ამოიღო. დაჭრილი ოფიცერი მოგვიანებით ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

კარგად არის ცნობილი, რომ ქართული ავიაცია 8 აგვისტოს დღის მეორე ნახევრიდან საბრძოლო გაფრენებს აღარ ასრულებდა და 12 რიცხვში ჯავის რაიონში ვერ აღმოჩნდებოდა. ასე რომ, რუსეთის გმირი, უფროსი ლეიტენანტი პუციკინი თავისივე ქვეყნის ავიაციის დაბომბვის მსხვერპლი გახდა.

მედესანტე რუსეთის გმირებიდან მესამე — 76-ე დივიზიის მეთაურის მოადგილე პოლკოვნიკი ანდრეი კრასოვია. რუსეთის წინაშე მის დამსახურებებზე არაფერია ნათქვამი და მისი მაღალი თანამდებობიდან გამომდინარე, უმაღლესი ჯილდო, ალბათ, ორგანიზაციული საკითხების მოგვარებისათვის მიიღო.

დანარჩენი გმირები სახმელეთო ჯარების წარმომადგენლები არიან. მათ შორის არის მაიორი დენის ვეტჩინოვიც.

ტანკისტი-განმათავისუფლებელი სამშვიდობო ოპერაციების რუსული სიახლეა



ეროვნული ბიბლიოთეკა



გორთან ჩამოგდებული მფრინავისათვის პუტინის სტუმრობა და რენტგენის სურათის დათვალიერება გმირობაზე ნაკლები დაფასება არ არის

7-დან 8 აგვისტოს ღამით 135-ე მოტომსროლელი პოლკის საბატალიონო ტაქტიკური ჯგუფი განგაშით წამოყარეს და მარშით ცხინვალისაკენ გაგზავნეს. კოლონას სათავეში 58-ე არმიის სარდალი, გენერალ-ლეიტენანტი ანატოლი ხრულოვი ჩაუდგა. როგორც ამბობენ, გენერალს მორიგი ორდენის მიღება ძალიან უნდოდა და კოლონას თავისი „უაზიკით“ გაუძღვა, როგორც მშვიდობიანობის დროს სწავლებებზეა მიღებული.

ხრულოვის კოლონას პირველი გამოცდა ქართველმა არტილერისტებმა მოუწყვეს, საარტილერიო ცეცხლს გადარჩენილ რუს სამხედროებს მეორე სიურპრიზი უკვე ცხინვალის გარეუბან „შანხაისთან“ ელოდა.

ჩასაფრებიდან ნასროლმა პირველივე ჭურვებმა ორი მეწინავე БМП დაწვა და კოლონა შეჩერდა. გენერალი ხრულოვი დაიჭრა. 135-ე პოლკის მეთაურის მოადგილემ, მაიორმა დენის ვეტჩინოვმა წრიული დაცვის ორგანიზება სცადა.

ბრძოლის მომდევნო ეპიზოდებში ახლა გარკვევა ძნელია. ერთი ვერსიით, ვეტჩინოვი მეწინავე ჯავშანტრანსპორტიორისაკენ გაღწევისას დაიჭრა და ჭრილობის მიუხედავად, ბრძოლა ნაალაფარი ტყვიამფრქვევით გააგრძელა, რა დროსაც თავში სასიკვდილო ჭრილობა მიიღო.

პრეზიდენტ მედვედევის თქმით კი, ბრძოლის დროს მაიორი ვეტჩინოვი გენერალ ხრულოვსა და ორ ჟურნალისტს გადაეფარა და თავისი სიცოცხლის ფასად ისინი გადაარჩინა.

ბრძოლაში მასმედიის წარმომადგენელთა გამოჩენამ და ვეტჩინოვის „გმირობამ“ საფუძვლიანი მიზეზი შექმნა, რომ მაიორის დაღუპვა გმირის ვარსკვლავით აღნიშნულიყო.

135-ე პოლკს პოდპოლკოვნიკ კონსტანტინე ტიმერმანის სახით მეორე გმირი ოფიცერიც ჰყავს.

ტიმერმანი ცხინვალში განთავსებულ ე.წ. რუსულ სამშვიდობო ბატალიონს მეთაურობდა. მისი ინიციატივით ჯერ კიდევ ივლისში ბატალიონის საბაზო ბანაკის ინჟინრულად გამაგრება დაიწყო.

ოფიცერს ალღომ არ უმტყუნა. ცხინვალში მიმდინარე ბრძოლების დროს ე.წ. „ვერხნი გოროდოკში“ გამაგრებულმა რუსმა სამხედროებმა და ოსმა „ოპოლჩენცებმა“ ქართულ ქვედანაყოფებს ქალაქის სიღრმისაკენ გაღწევის საშუალება არ მისცეს.

რუსეთის გმირთა სიაში ტანკისტები სამი კაცით არიან წარმოდგენილი. მათი „საბრძოლო შემართება“ იმდენად გაზვიადებულია, რომ თვით ბარონ მიუნჰაუზენსაც შეშურდებოდა.

ცხინვალისაკენ მიმავალ კოლონაში 135-ე პოლკის საბატალიონო ტაქტიკურ ჯგუფთან ერთად 141-ე ცალკეული სატანკო ბატალიონის II ასეულიც იყო. სატანკო ასეულის მეთაური კაპიტანი იური იაკოვლევი გახლდათ.

იაკოვლევის ტანკები ჯერ ცხინვალიდან 12 კილომეტრით დაშორებულ სოფელ ხეთაგუროვოში შეჩერდნენ. ოსი ოპოლჩენცების დახმარებით რუსმა ტანკისტებმა იქიდან ქართული ქვედანაყოფების პოზიციები დაბომბეს.

„შანხაისთან“ მიმდინარე ბრძოლაში იაკოვლევმა თავისი ტანკით კოლონის ერთი ნაწილის ცეცხლის ხაზიდან გაყვანა მოახერხა და შეტევისათვის ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა, თან 7 ჯავშანობიექტი გაანადგურა.

კაპიტანმა იაკოვლევმა ცხინვალში მაინც გააღწია, მაგრამ ჭურვები გამოელია და მიუხედავად ამისა, 1 ტანკი, 2 БМП, 4 ნაღმსატყორცნი, რამდენიმე სნაიპერი და უამრავი ქვეითი გაანადგურა.

ქართველებთან ბრძოლასთან ერთად მამაცი ტანკისტი იაკოვლევი ხელსაყრელ პოზიციას ირჩევდა, ფიქრობდა სამშობლოსა და სიცოცხლეზე, მაგრამ მთავარი მაინც განადგურებული სამიზნეების დათვლა-დამახსოვრება იყო. მთელ ამ ბატალიებში რუსულ T-72-ს მხოლოდ ოთხი ჭურვი მოხვდა, მაგრამ მეთაურის სწორი მანევრირების წყალობით მძიმე დაზიანებას გადაურჩა.

კაპიტანმა ყველა დავალებას თავი შესანიშნავად გაართვა და ამიტომაც რუსეთის გმირობა დაიმსახურა.

იაკოვლევის გმირობას ოდნავ თუ ჩამოუვარდება ასევე 141-ე ცალკეული სატანკო ბატალიონის კიდევ ერთი ტანკის მეთაურის, სერჟანტ სერგეი მილნიკოვის მოქმედებები.

მილნიკოვის ტანკმა „შანხაისთან“ ბრძოლის დროს 3 ჯავშანობიექტი გაანადგურა და ცხინვალში შევიდა, სადაც კიდევ 2 ტანკი და მსუბუქი ჯავშანტექნიკის 3 ერთეული მოსპო. ჭურვების დამთავრების შემდეგ მილნიკოვის ტანკმა 20-კაციანი ჯგუფის უკუგდებაც კი მოახერხა.

მოკრძალებულად გამოიყურება 70-ე მოტომსროლელი პოლკის სატანკო ასეულის ოცეულის მეთაურის — უმცროს ლეიტენანტ ვიტალი ნეფის გმირობა.

ნეფის განკარგულებაში მოძველებული T-62M იყო. ცხინვალში შესვლის შემდეგ, მოტომსროლელი ქვედანაყოფისათვის საცეცხლე მხარდაჭერის მიზნით, მოსკოვისა და ენგელსის ქუჩების გადაკვეთის დაკავების ბრძანება მიიღო.

პოზიციაზე გასვლისას ნეფმა სკოლის ეზოში ნაღმსატყორცნთა გათვლა აღმოაჩინა და პირველივე გასროლით დაფარა, მაგრამ ტანკს მარჯვენა მუხლუხისა და ძრავა-ტრანსმისიის განყოფილებაში ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები მოხვდა.

გაიცა ტანკის დატოვების ბრძანება და ეკიპაჟის უსაფრთხო ადგილზე გაყვანისას ნაღმის აფეთქებისაგან ნეფი მძიმედ დაიჭრა. ტანკში კი დაჭრილი ტანკისტი რჩებოდა, რომლის გადარჩენისას ნაღმის აფეთქებამ უმცროსი ლეიტენანტი იმსხვერპლა.

ეს სია დასრულებული არ არის — გმირობაზე კიდევ რამდენიმე რუსი სამხედროა წარდგენილი.

*თემურ ჩაჩანიძე*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არსენალვორდი




**თარაზულად** 5. ფერად-ფერადი შუშხუნების გაშვება; 6. იტალიური პისტოლეტი; 7. XVI - XVII სს. ჩეხი მხედართმთავარი, გენერალისიმუსი; 13. ფრანგული რევოლვერი; 14. მდინარე საქართველოში; 15. ესპანური პისტოლეტის „გაბილონდოს“ მოდელი 16. ამერიკის შტატი; 20. ფრანგი ფეხბურთელი; 22. ხმის გამაძლიერებელი კონუსური მილი; 23. პოლონური საბაზო-საპატრულო თვითმფრინავი; 26. ფრანგული პისტოლეტი; 27. მხარე იმერეთში; 28. ცივი იარაღი; 29. ძველებური კაჟიანი თოფი; 32. მოკლე უკადო ხმალი; 33. მონღოლეთის არმიის ჯარისკაცი.

**შვეულად:** 1. ზარბაზნებით აღჭურვილი ძველებური სამხედრო გემი; 2. ჯარების გადასხმა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე; 3. საყოველთაოდ აღიარებული ხელმძღვანელი; 4. ალალბედზე მოქმედება; 7. რუსული ავტომობილი; 8. პოლონური 35 მმ-იანი თვითმავალი საზენიტო დანადგარი; 9. ჰოკეის სათამაშო დისკო; 10. ესპანური პისტოლეტი; 11. შვედური პისტოლეტი; 12. რაგბის საერთაშორისო ფედერაცია; 17. დაქირავებული ჯარისკაცი დასავლეთ ევროპაში ძველად; 18. ამერიკული ზებგერითი ჰაერი-ჰაერი ტიპის რაკეტა; 19. შვედური ტანკსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი; 21. „თავისუფლების კუნძული“; 24. ირლანდიის რესპუბლიკის არმია; 25. ქართული ტელეკომპანია; 28. დედმამიშვილი; 30. ინდური ტანკსაწინააღმდეგო - სარაკეტო კომპლექსი; 31. ისრის წვერი.

*ჟურნალის წინა ნომერში გამოქვეყნებული „არსენალვორდის“ პასუხები:* **თარაზულად:** 4. მი; 5. ისკანდერი; 6. ინტენდანტი; 7. კავალერისტი; 10. სიერა; 11. გალეზი; 12. ამპერი; 14. ვარძია; 16. ევრიკა; 17. ბაზუკა; 19. არმადა; 21. ვოროშილოვი; 23. დანი; 24. ჩელსი; 26. შვარცლოზე; 27. ბრიგანტინი. **შვეულად:** 1. რიოლიტი; 2. კასტეტი; 3. ბექთარი; 4. მილიტარიზმი; 7. კავალერგარდი; 8. ვამპირი; 9. ელჩი; 10. სპასალარი; 13. რეკორდი; 15. ძიუდო; 18. ახი; 20. მანევრი; 21. ველროდი; 22. რაიდერი; 25. ტროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# GMG ავტომატური ყუმბარსატყორცნი თანამედროვე ომებისთვის

## გერმანული დაზგის ავტომატური ყუმბარსატყორცნი ამერიკულ Mк19-სა და რუსულ АГС-30-ს ეჯიბრება

ლატვიის არმიის ადაჟის სამხედრო ბაზაზე სტუმრობისას „არსენალი" ლატვიელი სამხედროების კიდევ ერთ (გასულ ნომერში ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნზე AG36-ზე ვწერდით) თანამედროვე იარაღის სახეობას, დაზგის ავტომატურ ყუმბარსატყორცნ GMG-ს გაეცნო.



GMG, ისევე როგორც AG36, ცნობილი გერმანული იარაღის ფირმა Heckler und Koch-ის წარმოებულია და ლატვიის არმიის შეიარაღებაში Glock-17 ტიპის პისტოლეტებთან, G36 ავტომატურ შაშხანებთან, UMP ტიპის პისტოლეტ-ტყვიამფრქვევებსა და MInimi-ს ტიპის ტყვიამფრქვევებთან ერთად მიიღეს.

ამ თანამედროვე იარაღით ლატვიის არმიის მხოლოდ ის კონტინგენტი შეიარაღდა, რომელიც ერაყსა და ავღანეთში სამშვიდობო მისიას ასრულებდა. უბრალოდ, ლატვიას არ ეყო თანხები იმისთვის, რომ თავისი მცირერიცხოვანი არმიაც კი მთლიანად აღეჭურვა თანამედროვე იარაღით. ინფორმაციისთვის: ერთი მოიერიშე ავტომატური შაშხანა G36-ის შეძენა ლატვიის ბიუჯეტს არანაკლებ 1.200 ევრო უჯდებოდა...



ყუმბარსატყორცნის სწრაფსროლა წუთში 350-მდე ადის

რაც შეეხება დაზგის ავტომატურ ყუმბარსატყორცნ GMG-ის, ის ლატვიელმა, ბრიტანელმა და სხვა დასავლეთევროპელმა სამხედროებმა წარმატებით გამოცადეს რეალურ საბრძოლო სიტუაციებში ავღანეთში.

ყუმბარსატყორცნი GMG იყენებს თავისუფალ საკეტზე დაფუძნებულ ავტომატიკას. 40 მმ-იანი ყუმბარების მოწოდება ლენტით ხდება მარცხენა ან მარჯვენა მხრიდან, რაც ძალზე მოსახერხებელია. ცეცხლის გახსნა შეიძლება როგორც ერთჯერადი გასროლებით, ისე ავტომატური ჯერით. გასროლა ორნაირად შეიძლება — ან უკანა სახელურებზე ორივე ხელი გაქვს მოკიდებული და ცერა თითებით აწევები გაშვებს, ან მარჯვენა სახელურზე მოზი-



GMG გამოცდას ერაყში გადის

ხ44/1

**ჩვენი დოსიე:** გერმანული ...ის ავტომატური ყუმბარსატყორცნი GMG საერთო ჯამში 46,7 წონის, საიდანაც 28კგ თავად ყუმბარსატყორცნზე მოდის. 10,7 სამფეხა დაზგა იწონის, 8კგ კი სპეციალური საამორტიზაციო მოწყობილობის მასაა.

ყუმბარსატყორცნის სიგრძე 11...-ია. მისი სწრაფსროლა წუთში 350-მდე ადის. ყუმბარის კალ... 40X53მმ-ია.

წერტილოვანი სამიზნეების ...ნება ყუმბარსატყორცნს 1500მ-ის სიშორეზეც შეუძლია, ფართ... დაბომბვის მაქსიმალური მანძილი კი 2200 მეტრამდეა.




დავ სახელურს (თითქოს მოტოციკლეტის ხელის მუხრუჭს აწვები).

GMG გამოირჩევა სროლის სიზუსტით, რადგან აყენებენ სპეციალურ ამორტიზებულ მოწყობილობაზე, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს უკუცემის ძალას. შესაძლებელია ყუმბარსატყორცნის პირდაპირ სამფეხიან დაზგაზე დაყენება, ამით მცირდება მასა, თუმცა სროლის სიზუსტეც იკლებს.

ქართული არმიის შეიარაღებაში დღეს, ძირითადად, საბჭოთა წარმოების АГС-17 ტიპის დაზგის ავტომატური ყუმბარსატყორცნებია. შსს-ს სპეცდანიშნულების რაზმები კი მცირე რაოდენობით იყენებენ სინგაპურის წარმოების 40AGL ტიპის ავტომატურ ყუმბარსატყორცნებს.

გერმანული GMG საბჭოთა АГС-17-სა და АГС-30-ზე უფრო თანამედროვე და ეფექტიანია, მაგრამ მისი დიდი პარტიით შეძენა (განსაკუთრებით ეს ეხება დასავლური წარმოების 40მმ-იან ყუმბარებს) საქართველოს ბიუჯეტისთვის (ლატვიის ბიუჯეტის არ იყოს) დიდი გამოცდა იქნება.

*ირაკლი ალადაშვილი*






GMG-ის ავტომატური ყუმბარსატყორცნი საბრძოლო მანქანებზეც მონტაჟდება



არსენალი




ISSN 1987-5061
9 771987 506007